ეროვნული ბიბლიოთეკა



ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
24 ოქტომბერი ხუთშაბათი 2013
№251 (14 167) ფასი 80 თეთრი



# რიბორი, გოლანდო და Ibraჩimovic

## ბაიერნი, რეალი და პსჟ ცალი ფეხით მერვედფინალში




8-9

## დვალიშვილი გოლს გვპირდება

ევროპალიგა. III ტურის წინ



4



12

## კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მეოთხე კანდიდატი გამოჩნდა

**მიხეილ გაბრიჩიძე**

## ანამ 25 000-იანი მოგებით გახსნა



11



10

## პირველი მედალი სლოვენიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ემპოლის მესამე ქართველი

ქართველი გულშემატკივრისთვის სასიამოვნო სიახლე - იტალიის სერია B-ს ბინადარ „ემპოლიში", **ლევან მჭედლიძესა** და **ირაკლი შეყილაძესთან** ერთად, 18 წლის **რომან ჭანტურიაც** ვარჯიშობს.

ჭანტურია **გიორგი დევდარიანის** იმ 17-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი აქტიური წევრი გახლდათ, შარშან ელიტრაუნდში რომ იასპარეზა.

*„თავიდან ვასილ მაისურაძის ნაკრების წევრი ვიყავი, მაგრამ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე არ ვყოფილვარ, მხოლოდ გაფართოებულ სიაში მოვხვდი. დევდარიანთან კი ვითამაშე", - გვიყვება ჭანტურია.*

მან ვარჯიში თბილისში, საფეხბურთო სკოლა „ოლიმპში" დაიწყო: *„ძალიან კარგი მწვრთნელი და პიროვნება, შოთა ჭეიშვილი მავარჯიშებდა. მაგრამ მერე თბილისის „ლოკომოტივმა" „ბარსელონასთან" თანამშრომლობის პროექტი წამოიწყო, ესპანეთიდან იაგო აგილარი ჩამოიყვანეს და ბავშვების შერჩევა რომ დაიწყო, მეც დავინტერესდი და მივედი. ამ კლუბში 10 წლიდან დიმიტრი თოფურიძე მავარჯიშებდა და თამამად ვიტყვი - მისი გაზრდილი ვარ. ჩემთან ერთად თამაშობდნენ ნიკა ჭანტურია, მათე ცინცაძე, გიორგი გაბაძე, დათო დარციმელია, დათო ჯიქია - მიხარია, რომ ჩემმა მეგობრებმა თავისი სიტყვა შარშან ევროპის ჩემპიონატზეც თქვეს და მჯერა, უფრო მაღალ დონეზე თამაშსაც შეძლებენ. საამისოდ, თითოეულ მათგანს დიდი შესაძლებლობა გააჩნია".*

„ემპოლის" ქართველი თავდამსხმელი გვიყვება, როგორ მოხვდა იტალიაში: *„იტალიელი მწვრთნელი ჯანი კარნევალე გემახსოვრებათ, რომელიც ადრე „ვიტ ჯორჯიასა" და ბათუმის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი იყო. სწორედ მას მოვეწონე და „ემპოლიში" სინჯებზე წასვლა შემომთავაზა. ეს 2011 წელს მოხდა და მას შემდეგ იტალიაში ვთამაშობ. სამწუხაროდ, კარნევალე ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა. გარდა იმისა, რომ ჩემს წინსვლაში დიდი წვლილი მიუძღვოდა, კარგი ადამიანიც იყო".*

რომანი ამბობს, რომ „ემპოლისთან" ადაპტაციაში ლევან მჭედლიძე დაეხმარა: *„აქამდე, ლევანი ჩემთვის აბსოლუტურად უცხო ადამიანი გახლდათ. მაგრამ გუნდში მისულს ისე დამეხმარა, ისეთ ყურადღებას მაქცევდა, თითქოს, ნათესავი ან პატარა ძმა ვიყავი. ასევე იყო ირაკლი შეყილაძეც. მათ ძალიან ვემადლიერები, რადგან უცხო ქვეყანაში, უცხო კლუბში, სადაც ენაც კი პრობლემა იყო, მათ ხელი შემიწყვეს და პირველი პერიოდის სირთულეები ადვილად გადამატანინეს. სხვათა შორის, ბოლო დროს ნაკრებთან დაკავშირებული უსიამოვნება მისთვის ძალიან დიდი დარტყმა იყო. რა იყო და როგორ, ეს ხალხმა არ იცის, მაგრამ ლევანს რომ ნაკრებში თამაში და შეკრებაზე ჩამოსვლა უხარია, ეს ჩემზე კარგად ბევრმა არ იცის".*

...და მთავარი - რომან ჭანტურია „ემპოლის" ძირითად გუნდში ვარჯიშობს: *„მართალია, 17 წლის ვარ, მაგრამ „ემპოლის" დუბლშემადგენლობაში ვთამაშობ და ძირითად გუნდში ვვარჯიშობ, მეტი გამოცდილება რომ მივიღო და გავიზარდო. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. რა თქმა უნდა, ჯერ ძირითადში თამაშის შანსი არ მაქვს, რადგან ორი გამოცდილი ფორვარდი გვყავს - ფრანჩესკო ტავანო და მასიმო მაკარონე, პლუს მჭედლიძე".*

რომანი მხოლოდ 17 წლისაა და უცნაურია, ქართველი ევროკავშირის წევრ ქვეყანაში რომ თამაშობს. არაევროკავშირელებს ხომ ამის გამო მუდმივად პრობლემები ექმნებათ. თურმე, ჭანტურიას ეს პრობლემა მოუგვარეს:

*„უკვე ერთი წელია, რაც იტალიაში მუშაობის უფლება მივიღე. მალე ეს პრობლემა მამაჩემსაც მოეხსნება და ხელს ალარაფერი შემიშლის. მთავარი მაინც ისაა, რომ საქართველოდან ასეთ საფეხბურთო ქვეყანაში გადასვლა მოვახერხე და იმედია, იტალიაში ბევრს ვისწავლი, გავიზრდები და ადრე თუ გვიან ეროვნულ ნაკრებშიც ვითამაშებ. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ შრომა არ მეზარება - იტალიაში თამაში კი, 17 წლის ასაკში, დიდი შანსია. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უკვე იტალიურიც მშვენივრად ავითვისე, თანაგუნდელებსა და მწვრთნელებს იოლად ვეკონტაქტები და ამით ბევრი ისეთი პრობლემა მომეხსნა, რომლის გარეშეც ყველაზე კარგი ფეხბურთელიც თავს ვერ გამოავლენდა".*

ჭანტურიები ქართულ ფეხბურთში ისე მომრავლდნენ, არ გაგვიკვირდეს, თუკი ერთ მშვენიერ დღეს ეროვნულ ნაკრებში ამ გვარის რამდენიმე მოთამაშე გამოჩნდება: *„ფეხბურთში დასაქმებული არც ერთი ჭანტურია ჩემი ნათესავი არ არის. მხოლოდ ნიკას ვიცნობ და ვმეგობრობთ კიდეც. სამწუხაროდ, სხვა ჭანტურიებს არც ვიცნობ, მაგრამ როცა ჩემი მოგვარეების წარმატებებს ვიგებ, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მახარებს და მეამაყება - ერთი „ვიტესშია", ნიკათი თვით „არსენალი" იყო დაინტერესებული, მე კი იტალიაში ვარ, მწვრთნელებიც სერიოზულ დონეზე მუშაობენ... თუ ერთად მოგვიწევს თამაში, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება", - ამბობს რომან ჭანტურია.*



რომან ჭანტურია (მარცხნივ) ემპოლიში ვარჯიშობს

დაბრუნება

# ირაკლი სამხარაძე: დავამტკიცებ, რომ თამაში კიდევ შემიძლია

„სიონმა" ბოლო ტურში ქუთაისის „ტორპედოსთან" სტუმრად მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლნისურ გუნდში ბევრი ცნობილი მოთამაშე ირიცხება, საკადრო პრობლემები ჯერჯერობით მოუგვარებელი რჩება. ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრისას თბილისის „დინამოდან" იჯარით აყვანილი **არჩილ ტვილდიანი** დაშავდა და ამის გამო „ტორპედოსთან" არ უთამაშია.

კლუბის პრესატაშე **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, ტვილდიანი მინიმუმ ერთი თვე დაისვენებს. მას კოჭი დაუზიანდა და სერიოზული მკურნალობა სჭირდება. „სიონმა" ერთ-ერთ კლინიკასთან ხელშეკრულება გააფორმა და მკურნალობის ხარჯებს საკუთარ თავზე აიღებს. 20 წლის მარჯვენა მცველი ვარჯიშს პირველი ეტაპის დასრულებამდე განაახლებს.

უახლოეს პერიოდში გუნდს ვერც **ლადო ახალაია** დაეხმარება, რომელმაც მიმდინარე სეზონში ფორმა აღიდგინა. 31 წლის ფორვარდს მუხლიც სტკივა და მხარიც ამოვარდნილი აქვს.

სამაგიეროდ, „სიონის" მთავარ მწვრთნელ **გიორგი კიკნაძეს** გამოცდილი ფეხბურთელების ეიმედება. მათ ფორმა აღიდგინეს და „ტორპედოსთან" საკმაოდ კარგადაც ითამაშეს. ლაპარაკია **თორნიკე აფციაურზე**, **დავით იმედაშვილსა** და განსაკუთრებით **ირაკლი სამხარაძეზე**.

სამხარაძე კიკნაძის ერთ-ერთი იმედია. მასზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ „ტორპედოსთან" თავი არა მხოლოდ ულამაზესი გოლით, არამედ, მშვენიერი თამაშითაც გამოირჩინა. 30 წლის ცენტრალური ნახევარმცველი ფეხბურთს ერთწლიანი პაუზის შემდეგ ცხინვალის „სპარტაკში" დაუბრუნდა და ახლა „სიონში" ფორმის აღდგენას ცდილობს. „ტორპედოსთან" მატჩში სამხარაძე სტუმართა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო - მოედნის ცენტრში მისმა აზრიანმა მოქმედებებმა, გადაცემებმა, თამაშის მიმართულების დროულმა და აზრიანმა ცვლამ და ორთაბრძოლებში ეფექტურმა თამაშმაც განაპირობა ის, რომ „სიონმა" ერთ-ერთ ლიდერს ქულები დააკარგვინა.

არადა, დღეს სამხარაძეს საქართველოში კი არა, იქ უნდა ეთამაშა, სადაც დიდი ფეხბურთია. 15 წლის ასაკში მას ფრანგული „ნიცა" და „სენტ ეტიენი" ყოველგვარი სინჯების გარეშე იწვევდნენ და „ქართული ფეხბურთის იმედადაც" მოიხსენიებდნენ. სამხარაძე საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების ლიდერიც იყო. ამას გარდა, 2001-02 წლებში გერმანული „კარლსრუეს" დუბლებში თამაშობდა, 2002-04 წლებში - თბილისის „დინამოში", იყო თბილისის „ლოკომოტივის" ლიდერი და 2008 წლის დასაწყისში კლუბთან 10-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა. ამით ის და **ნიკა გუშარაშვილი** ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში შევიდნენ - არც მანამდე და არც მას შემდეგ, საქართველოში ასეთი ხანგრძლივი კონტრაქტი არავის გაუფორმებია. დასანანი კი ის არის, რომ ნიჭი სრულად ვერ გამოავლინა...

სამხარაძეს კარიერაში დიდი პაუზები ჰქონდა: პირველად - 2004 წელს, როცა თბილისის „დინამო" დატოვა; მეორედ - 2009 წლის მაისში, თბილისის „ლოკომოტივი" პირველ ლიგაში რომ დაქვეითდა და გუნდი ლიდერებთან ერთად დატოვა. ფეხბურთს 2012 წლის თებერვალში, ცხინვალის „სპარტაკში" დაუბრუნდა.

თუმცა შარშან, მაისში, „სპარტაკი" უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა, სამხარაძე კი კვლავ უფეხბურთოდ დარჩა.

*„ჩემზე მეტად გული არავის სწყდება, კარიერა რომ ვერ ავაწყვე. ახლა მსურს დავამტკიცო, რომ თამაში 30 წლის ასაკშიც შემიძლია. 2011 წლის მაისის მერე არ მითამაშია, მხოლოდ ჩემთვის ვვარჯიშობდი. კარიერის დასაწყისშიც რომ ახლანდელივით მონდომებული ვყოფილიყავი, ბევრს მივაღწევდი. მაგრამ ხომ იცით, ჩვენთან როგორც ხდება - 30 წელს მიტანებულ ფეხბურთელს კლუბების უმრავლესობა არ სწყალობს. მხოლოდ გიორგი კიკნაძე მენდო და „სიონში" მიმიყვანა. როცა კაცი გენდობა, არ უნდა უღალატო. მეც ვცდილობ, გუნდს გამოვადგე. თუმცა, ორი წელია მოსამზადებელ შეკრებაზე არ ვყოფილვარ და სასურველ ფორმაში ჯერ არ ვარ. გუნდში ვარჯიშიც მაშინ დავიწყე, როცა შეკრებიდან ჩამოვიდნენ. ფორმაში შესვლას ახლა ვცდილობ. უკვე 4 შეხვედრა ჩავატარე და უკეთესობას ვგრძნობ. მიხარია, ქუთაისის „ტორპედოსთან" გუნდს გოლით რომ დავეხმარე. გაცილებით მეტიც შემიძლია. რაც მთავარია, მონდომებასთან ერთად, ახლა რეჟიმსაც მკაცრად ვიცავ. სხვათა შორის, შემპირდნენ კიდეც - ფორმას თუ აღვიდგენ, უცხოეთში კლუბს მომიძებნიან. ასეა თუ ისე, თამაშის ჟინი ჯერ კიდევ მაქვს", - ამბობს სამხარაძე.*





ირაკლი სამხარაძე (მარჯვნივ) დიდ ფეხბურთს ბოლნისიდან უბრუნდება

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიები თვითმხილველისგან

# დავით კვინიკაძე: ...გავიდა სამი დღე, ჩატარდა ჩემპიონატის ტური და ერთი თამაში მაინც გაიყიდა...



დავით კვინიკაძე

ირვინ შოუ ამბობდა - ისტორია დიდი გაიძვერა რამ არისო და მართლაც, არ არსებობს საზოგადოება ისტორიის გარეშე. ყველა მოვლენას თავისი ისტორია აქვს, ოღონდაც, მილეთმა ყველაფერი არ იცის და ალბათ ყველაფერს ბოლომდე ვერც ვერასდროს გაიგებს...

ცნობისმოყვარეობა კი არ ეშვება ადამიანს, ასეთია მისი ბუნება. მას შემდეგ, რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებელი გახდა, ბევრი რამ გადაიტანა. ეს ისტორია 1990 წლიდან იწყება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გახლდათ, ვინც 1998 წელს გარდაიცვალა. მისი პრეზიდენტობის დროს ფედერაციის გენერალური მდივნის თანამდებობა დავით კვინიკაძეს ეკავა და ცხადია, იმ ყველაფრის საქმის კურსში იქნებოდა, რაც მაშინ ხდებოდა ქართულ ფეხბურთში.

ვფიქრობთ, კვინიკაძესთან ინტერვიუ საყურადღებო იქნება მკითხველისთვის...

**- 1990 წელს დაფუძნდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, უნდა დაწყებულიყო ეროვნული ჩემპიონატი, შესაქმნელი იყო ეროვნული ნაკრები... რა რესურსებით ეჭიდებოდა ამ საქმეს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი ხელმძღვანელობა?**

- როცა რალაც საქმეს იწყებ, ეს განვითარების ბუნებრივი ეტაპია ან ეს არაორდინარულ სიტუაციას მოაქვს. ჩვენს შემთხვევაში, მეორე ვარიანტთან გვქონდა საქმე. ფაქტის წინაშე დავდექით - ეროვნული ჩემპიონატი იყო ჩასატარებელი, ნაკრები ჩამოსაყალიბებელი... მანამდე, ფეხბურთის სამმართველოში ვმუშაობდი, თუმცა ფედერაციაში მუშაობა აბსოლუტურად განსხვავებული აღმოჩნდა, ახალ ხედვას, ახალ ინიციატივებს მოითხოვდა, რისთვისაც საკმარისი დრო და გამოცდილება ფედერაციაში იმ მომენტისთვის არ იყო. თებერვალში გაიმართა პირველი ყრილობა, ეროვნული ჩემპიონატი კი მარტიდან დავიწყეთ. ცნობიერების გარდაქმნაც უნდა მომხდარიყო, ანუ თბილისის „დინამოს" ხაშურში მოუწევდა ჩასვლა „ივერიასთან" სათამაშოდ, „ივერიას" კი - ასეთი გუნდის მასპინძლობა. კადრებს რაც შეეხება, საქართველოში ვინც კი პროფესიონალი იყო, ყველა დასაქმდა ფედერაციის შტატში ან საზოგადოებრივ კომისიებში. ნოდარ ახალკაცს ვლადიმერ ბარქაია უნდოდა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად, მაგრამ ბარქაიამ უარი თქვა. ძალიან დაგვეხმარა ახალკაცის ავტორიტეტი. ვიცე-

> „...ერთი თვის განმავლობაში ვცდილობდით ჩივაძის დაყოლიებას, რათა არ გადამდგარიყო, მაგრამ... ვერაფერი გავაწყვეთ. ჩივაძე გვეუბნებოდა, ბოთლები მე მესროლესო..."

პრეზიდენტად ალექსანდრე ჩივაძე დაინიშნა. მოხდენილი იუმორის გარდა, მას დიდი ქარიზმაც აქვს. რაც შეეხება ფინანსებს, კლუბები იხდიდნენ სამონაწილეო თანხას, რაც მიზერული იყო. სხვადასხვა კომპანიები გვეხმარებოდნენ შემოწირულობის სახით.

**- როცა ეროვნული ნაკრები ჩამოყალიბდა, რისი ფინანსური საშუალება ჰქონდა ფეხბურთის ფედერაციას?**

- ნოდარ ახალკაცის ხელფასი 210 დოლარი იყო, ჩემი და ჩივაძისა კი - 205. ჩივაძე რომ დაინიშნა ეროვნული ნაკრების მწვრთნელად, პირველ შესარჩევში უხელფასოდ მუშაობდა, მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტობის ჯამაგირი ეძლეოდა. სამაგიეროდ, იყო პრემიები - მოგებისთვის გუნდზე 20-30 ათასი დოლარის დარიგებას ვახერხებდით. მაშინ არ იყო ფიფას და უეფას ისეთი პროგრამები, საიდანაც მნიშვნელოვანი თანხები შემოვიდოდა.

**- სიდუხჭირის დროს იზრდება კორუფციის რისკი - რამდენად სუფთად ტარდებოდა ეროვნული ჩემპიონატი მაშინ, მსაჯებში კორუფციის დონე როგორი იყო?**

- დამოუკიდებლობა ახალი მოპოვებული გვქონდა და განწყობაც სათანადო იყო, კლუბებიც მაშინ ღარიბები იყვნენ და კორუფციას დიდი გასაქანი ვერ ექნებოდა. ერთხელ ისე მოხდა, რომ ამ საკითხზე თათბირი ჩავატარეთ, მერე კლუბების ხელმძღვანელებთან ერთად პურის საჭმელად წავედით და კაცურად დავთქვით, რომ კორუფცია არ იქნებოდა. გავიდა სამი დღე, ჩატარდა ჩემპიონატის ტური და ერთი თამაში მაინც გაიყიდა...

**- კლუბები ვახსენეთ და ალბათ ყველაზე საინტერესო ის არის, თუ რა ხდებოდა ყველაზე ტიტულოვან კლუბში...**

- თბილისის „დინამოს" გარკვეული დროით შეღავათები დაუწესეს კომერციული საქმიანობისთვის. სანამ ეს დამტკიცდებოდა, ამის შესახებ ფედერაციაში ვიცოდით. რა თქმა უნდა, ჩვენთვის მიუღებელი იყო, რომ მხოლოდ ერთი კლუბი ყოფილიყო პრივილეგირებულ მდგომარეობაში, მაგრამ ამას ხელი არ შევუშალეთ, რადგან ვიფიქრეთ, რომ მომძლავრებულ „დინამოზე" იქნებოდა სწორება, ანუ დანარჩენი გუნდები შეეცდებოდნენ, არ ყოფილიყო ჩამორჩენა „დინამოსთან" და ისინიც გამონახავდნენ მომძლავრების გზებს. რალაც პერიოდის შემდეგ კი ქვეყნის ხელმძღვანელობას ვუთხარით, რომ ეს იყო დიდი დარღვევა და გავაუქმებინეთ პრივილეგია „დინამოსთვის".

**- საქართველოს ნაკრები მეორე შესარჩევ ციკლში ინგლისს რომ მასპინძლობდა, არასასიამოვნო ინციდენტი მოხდა - გულშემატკივრებმა მოედნისკენ პლასტმასის ბოთლები ისროლეს. ამას მოჰყვა ის, რომ ჩივაძე ნაკრებს ჩამოშორდა. როგორი იყო მაშინ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის პოზიცია?**

- ეს არის ამბიცია, რასაც ვერ ველევით - რატომ, რა კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა მოეგო საქართველოს ინგლისისთვის? ჟურნალისტმა ზურაბ მეძველიამ დაახლოებით ასეთი რამ დაწერა - ინგლისთან მატჩს პაბში ვუყურე და გარეთ გამოსვლის მრცხვენოდაო. ჟურნალისტები ამბობდით, ფედერაციამ გადააყენა ჩივაძეო, მაგრამ ასე არ იყო - ჩვენ ერთი თვის განმავლობაში ვცდილობდით ჩივაძის დაყოლიებას, რათა არ გადამდგარიყო, მაგრამ... ვერაფერი გავაწყვეთ. ჩივაძე გვეუბნებოდა, ბოთლები მე მესროლესო.

**- მახსოვს, მაშინ ლაპარაკიც იყო იმაზე, თუ რატომ არ თამაშობდა საქართველოს ნაკრებში ომარ თეთრაძე. მაინც, რა იყო ამის მიზეზი?**

- თეთრაძესთან მოსკოვში მივავლინეთ ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო გუნდის წევრი თენგიზ კაცია, მაგრამ თეთრაძემ უარი განაცხადა, ინტერვიუებში კი ამბობდა, საქართველოს ნაკრებში არ მეძახიანო...

**- ჩივაძის შემდეგ ეროვნული ნაკრები დავით ყიფიანს ჩააბარეთ. განბილებას მაშინაც ვერ ავცდით, თუმცა წარმატებებიც იყო - პოლონეთს 3:0 მოვუგეთ, იტალიას შინ 0:0 ვეთამაშეთ...**

- იყო შანსი, ჯგუფში მესამე ადგილზე გავსულიყავით. პოლონეთს 3:0-ს რომ ვუგებდით, უკვე დროის გაყვანაზე გადავიდა ჩვენი გუნდი, არადა 4:0 რომ მოგვეგო, მესამე ადგილზე გადავდიოდით. ფედერაციის თანამშრომელ ბადრი ქარქაშაძეს ვთხოვეთ, ჩასულიყო მოედანთან და ეს ყველაფერი გუნდისთვის ეთქვა, მაგრამ სანამ ჩავიდა, თამაშიც დასრულდა.

**- ყიფიანის მუშაობა უარყოფითად არ შეფასებულა, თუმცა ფეხბურთის ფედერაციამ მასთან თანამშრომლობა არ მოისურვა. მიზეზად კი დასახელდა, თითქოს ყიფიანმა ვერ უზრუნველყო კონტაქტი ნაკრების ფეხბურთელებსა და ფედერაციას შორის...**

- ასეთი განმარტება ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან არ ყოფილა.

**- მაშ, რაში იყო საქმე? რა იყო იმის მიზეზი, რომ ყიფიანი ნაკრებს ჩამოშორდა? პოლონეთთან სტუმრად 1:4 რომ წავაგეთ, რა მოხდა უკანა გზაზე თვითმფრინავის სალონში? ამ ფაქტს უკავშირდება ყველაფერი?**

> „...ყიფიანს ნელ-ნელა ხელიდან ეცლებოდა სადავეები, ნაკრების მოწინავე ფეხბურთელებიც არ დაუდგნენ გვერდში ისე, როგორც საჭირო იყო..."

- თვითმფრინავის სალონში ნოდარ ახალკაცს ჩაეძინა, ეძინა დათო ყიფიანსაც. სალონის იქითა მხარეს კი ერთი ამბავი იყო, გაგლეჯილი სმა მიდიოდა. თვითმფრინავში მომსახურე გოგონა მოვიდა და შემოგვჩივლა, თუმცა მოგვიანებით საგაზეთო ინტერვიუში სულ სხვა რამ ილაპარაკა. მოკლედ, რალაც უნდა გვექნა და გამოსავალი ნაკრების მეორე მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა მოძებნა - ფეხბურთელებთან ერთად ჩაჯდა. მეორე დღეს ველაპარაკეთ ყიფიანს და ავუხსენით, რომ ეს ფაქტი უკვე მთელმა საქართველომ იცოდა. სამწუხაროდ, მას ნელ-ნელა ხელიდან ეცლებოდა სადავეები, ნაკრების მოწინავე ფეხბურთელებიც არ დაუდგნენ გვერდში ისე, როგორც საჭირო იყო...

**- ამის შემდეგ ნაკრებში ვლადიმერ გუცაევი დაინიშნა, თუმცა ფედერაციის ხელმძღვანელობის ამ გადაწყვეტილებამ არ გაამართლა...**

- იმ დროისთვის, გუცაევი წარმატებით მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში და გვინდოდა თუ არა, უნდა დაგვენიშნა ეროვნული გუნდის თავკაცად. ცოტა ხანში ნოდარ ახალკაცი გარდაიცვალა, მერე კი ფედერაციას უკვე სხვა მართავდა...

**- გარდაცვალებამდე რას ამჩნევდით ახალკაცს? იყო რამე ისეთი, რაც ცუდად გენიშნათ?**

- ახალკაცი აბსოლუტურად ფლობდა სიტუაციას. 2000 წელს ქართულ ფეხბურთს 100 წელი უსრულდებოდა და სათანადო ღონისძიებებსაც ვგეგმავდით, მსოფლიოს ნაკრების მოწვევა გვინდოდა თბილისში და თუ ეს არ გამოვიდოდა, გერმანიის ნაკრები აუცილებლად ჩამოვიდოდა. გარდა ამისა, ვაპირებდით ბორა მილუტინოვიჩის დანიშვნას საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, გვინდოდა ამიერკავკასიაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მწვრთნელთა მომზადების ცენტრის შექმნა - აი, ასეთი პროექტები გვქონდა...

დავით თავართქილაძე

ლეგიონი

## ფოფხაძის საგოლე პასი პოლონეთის თასზე



გიორგი ფოფხაძე

პოლონეთის თასის 1/4-ფინალში გავიდა „იაგელონია", რომელშიც **გიორგი ფოფხაძე** და **ნიკა ძალამიძე** გამოდიან. „იაგიელონიამ" სტუმრად ვროცლავის „შლასკი" დაამარცხა. მატჩს 11,5 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ფოფხაძე სასტარტოში იყო, 27 წლის მცველმა 90 წუთი მოედანზე გაატარა და საუკეთესოც იყო. თამაში 0:0 სრულდებოდა, როცა ნიკა ძალამიძე ბოლო წუთზე შეიყვანა მწვრთნელმა, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ მე-3 წუთზე გოლიც გავიდა. გოლის შემოქმედნი ქართველები იყვნენ, ძალამიძემ მარცხნივ ფოფხაძე მოძებნა, გიორგი მცველებს გასცდა და ჩაანოდა, შეცვლაზე შესული **პაველ დრაჟბას** თავური ძელს მოხვდა და ისე შევარდა „შლასკის" კარში.

ძალამიძე აქტიურად შევიდა, გოლის მერეც კი მან ინდივიდუალურად გაიბრწყინა, ცალკე სასაუბროა ფოფხაძის კარგი თამაში, რომელმაც მე-12 წუთზე ყვითელი ბარათის მიღებაც მოასწრო.

თამაშის შემდეგ დრაჟბამ საგოლე პასის ავტორი ფოფხაძე შეაქო: „ეს იყო ფანტასტიკური მომენტი, გიორგიმ უბრალოდ დიდებულად ითამაშა".

„იაგიელონიას" ოფიციალურ საიტზე მიმდინარეობს გამოკითხვა, თუ ვინ იყო საუკეთესო ამ შეხვედრაში. 29%-ით ფოფხაძე პირველია, ის გოლის ავტორ დრაჟბასაც (23%) უსწრებს.

### ქართველები შარს ასცდნენ

რუსეთის I დივიზიონში მე-20 ტურის მატჩები გაიმართა, თუმცა იმის გამო, რომ ჩემპიონატში 19 კლუბია, ყველას 19-19 მატჩი დაუგროვდა.

ქართველთა „ალანია" მათ გარეშე (**ოთარ მარცვალაძე** და **გოჩა ხოჯავა** ტრავმირებულნი არიან) ეწვია ნაზრანს და „ანგუშტთან" 0:1 დამარცხდა. ინგუშურ-ოსურმა დაპირისპირებამ ამ მატჩშიც გამოიღო თავისი შედეგები და ფანებს შორის არცთუ მცირე ინციდენტები მოხდა. მატჩი კინაღამ ჩაიშალა.

**ზურაბ არზიანის** „გაზოვიკმა" „სალიუტს" 3:0 მოუგო, ქართველი მოედანზე 73-ე წუთზე გამოჩნდა.

ნალჩიკის „სპარტაკი" „ნეფტეხიმიკს" ეწვია და 0:0 დაუზავდა. **დავით სირაძე** მატჩის მინურულს შეცვალეს, **გუჯა რუხაია** კი ამჯერად არ ყოფილა „სპარტაკის" განაცხადში.

ასევე 0:0 ითამაშა **გიორგი ნავალოვსკის** და **გოგიტა გოგუას** „სკა ენერგიამ" (შინ „როტორთან"). ორივე ჩვენებურმა 90-90 წუთი ითამაშა, გოგუა ბოლოსკენ გააფრთხილეს.

**აკაკი ხუბუტიას** „მორდოვიამ" სტუმრად 3:0 გაანადგურა სანკტ პეტერბურგის „დინამო". ჩვენებურმა სრულად ითამაშა. „მორდოვია" 40 ქულით პირველია და 3 ქულით უსწრებს „ალანიას".

ნიკოლოზ ნეფარიძე

### შეცდომის გასწორება

„ლელოს" გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით - **„ალეკო ჩაკვეტაძე: იმედია, პაოკ-ში ჩავირიცხები"**. წერილს ერთვოდა ფოტო წარწერით: **ალეკო ჩაკვეტაძე**. სამწუხაროდ, მოხდა გაუგებრობა და შეცდომით სხვა ფოტო დაიბეჭდა. დღეს ვბეჭდავთ ალეკო ჩაკვეტაძის იმ ფოტოს, რომელიც გუშინდელ წერილს უნდა დართვოდა. შეცდომისთვის გიხდით ბოდიშს.



ალეკო ჩაკვეტაძე

არშემდგარი ტრანსფერი

# ჟორდანიას გადაწყვეტილებამ ჭანტურიას ვიტესი ჩაუშალა

**მერაბ ჟორდანიამ** „ვიტესის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი რომ გაყიდა, ამაზე უკვე ვწერდით. ცხადია, ეს ამბავი იმდაც გვაინტერესებს, რომ ჰოლანდიის ერედივიზიონის გუნდში სამი ქართველი თამაშობს - **გურამ კაშია, ვალერი ყაზაიშვილი** და **გიორგი ჭანტურია.** ბუნებრივია, იბადება კითხვა - რა ბედი ელით არნემელ ქართველებს?

როგორც შევიტყვეთ, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ჟორდანიამ ფეხბურთელები დაამშვიდა, რომ მათ არავინ შეეხებოდა. თუმცა ერთი არასასიამოვნო ამბავი უკვე მოხდა...

ჟორდანია რომ გამორჩეულ ქართველ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს კლუბში თავის გამოჩენისა და სტაჟირების საშუალებას აძლევდა, არახალია. ერთ-ერთი, ვის აყვანაზეც მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ქუთაისის „ტორპედოსა“ და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მცველი **ნიკა ჭანტურია** გახლდათ. მაგრამ „ვიტესში“ მისი გადასვლა ჩაიშალა.

ჭანტურია ჰოლანდიურ კლუბში 2012 წელს მიიწვიეს, მაგრამ მაშინ მისით ლონდონის „არსენალი“ დაინტერესდა და „ვიტესი“ მოთმინებით ელოდა, ნიკასა და „მეთოფეთა“ ურთიერთობა როგორ გადაწყდებოდა. ეს მოლაპარაკება შეფერხდა და ნიკა ჭანტურიას „ვიტესში“ ჩარიცხვა თითქოს გადაწყვეტილი ჩანდა. ამიტომაც იყო, ზაფხულში თბილისის „ლოკომოტივიდან“ ქუთაისის „ტორპედოში“ გადასულმა ახალგაზრდამ, თანაგუნდელებისგან განსხვავებით, მხოლოდ დროებითი კონტრაქტი რომ გააფორმა. 18 წლის ცენტრალურმა მცველმა ქუთაისურ გუნდში ოფიციალური მატჩები ევროპალიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, სლოვაკური „ჟილინას“ წინააღმდეგ ჩაატარა და მერე კლუბი დატოვა.

როგორც ჩანს, „ვიტესიდან“ ჟორდანიას წამოსვლის ამბავი სწორედ მაშინ წყდებოდა. ეტყობა, ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ჭანტურია ჰოლანდიაში ვერ წავიდა და სექტემბრის დასაწყისში „ტორპედოში“ ხელახლა ჩაირიცხა.



ნიკა ჭანტურიას ჰოლანდიური ტრანსფერი ამ ეტაპზე ჩაიშალა

შეგახსენებთ, რომ ჭანტურია 2012 წელს გამართული 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტია, მონაწილეობა მიიღო წლეულს ლიტვაში ჩატარებულ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც. სულ, ჭანტურიამ 19-წლამდელებში 8 ოფიციალური შეხვედრა გამართა, ხოლო 17-წლამდელებში - 9. საკვალიფიკაციო ეტაპზე მოლდოვის 17-წლამდელთა ნაკრებს გოლიც გაუტანა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# ალვარო ინტერში ბედნიერია

თბილისის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი, „ლელოს“ ვერსიით წინა სეზონის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ნახევარმცველი და სეზონის საუკეთესო გოლის ავტორი (2013 წლის 27 აპრილს, სტუმრად გორის „დილასთან“), 30 წლის ბასკი ნახევარმცველი მიკელ ალვარო ამ სეზონის დასაწყისში ბაქოს „ინტერში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. ალვარომ ევროპის ლიგაზე ფინურ „მარიეჰამნისა“ და ნორვეგიული „ტრომსოს“ წინააღმდეგ „ინტერის“ ძირითადში ითამაშა; ამასობაში აზერბაიჯანის ჩემპიონატიც დაიწყო და „ინტერის“ ქართველი მწვრთნელი კახა ცხადაძე თავისი გუნდის ბასკ ახალწვეულზე დიდ იმედებსაც ამყარებდა. სამწუხაროდ, უკვე მეოთხე ტურში, „ინტერი“-„სიმურგის“ შეხვედრაში ალვარომ მძიმე ტრავმა მიიღო და მე-13 წუთზე შეცვალეს. ეს ყველაფერი 1 სექტემბერს მოხდა, იმის შემდეგ კი ალვარო მკურნალობდა და სულ ახლახან, ბაქოს „ინტერს“ თბილისში რომ ჰქონდა ხუთდღიანი შეკრება, კვლავაც ინდივიდუალური პროგრამით ემზადებოდა. და აი, თითქმის ორთვიანი უქმობა დამთავრდა: ბოლო ტურში, „გაბალასთან“, ალვარო მატჩის მიწურულს გამოჩნდა, მოედანზე და „ინტერის“ ქართველი ლეგიონერი ლაშა სალუქვაძე შეცვალა.



„ინტერის“ ახალწვეულს ამ მატჩის შემდეგ „აზერიფუტბოლმა“ მცირე ინტერვიუ ჩამოართვა.

**- „გაბალასთან“ მატჩმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა?**

- არ უნდა ნაგვეგო; უკვე მერამდენე შემთხვევაა, კარგად ვთამაშობთ, მაგრამ საგოლე მომენტებს ვერ ვიყენებთ. თუმცა, ეს მარცხი უნდა დავივიწყოთ და მომავალ მატჩში, ბაქოს „აზალთან“ მხოლოდ მოგებაზე ვიფიქროთ.

**- რაშია საქმე? რატომ ანიავებს „ინტერი“ ყველა მატჩში ამდენ რეალურ მომენტს?**

- მხოლოდ და მხოლოდ - უიღბლობაა! თუ მომენტებს ვერ შექმნი, ესე იგი, ვერც - თამაშობ; თუმცა, ყველა აღიარებს, რომ „ინტერი“ კარგად თამაშობს, მაგრამ უიღბლობას ვერაფერი მოვუხერხეთ.

**- მოედანზე დიდხანს არ გამოჩენილხართ, ახლაც მხოლოდ 10 წუთი ითამაშეთ...**

- გარკვეული პერიოდი ტრავმირებული ვიყავი და მიხარია, რომ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. მოედანზე კი მაშინ გამოვალ, როცა მთავარი მწვრთნელი მიიჩნევს საჭიროდ.

**- აზერბაიჯანულ პრესაში ინფორმაციამ გაიჟღერა, თითქოსდა „ინტერიდან“ წასვლას აპირებთ...**

- „ინტერიდან“ მივდივარ? მსგავსი რამ არც გამიგია. აქ ყოფნით ბედნიერი ვარ და არანაირი სურვილი არ მაქვს ეს კლუბი დავტოვო. კიდევ ვიმეორებ: ბოლო დროს იმიტომ არ ვთამაშობდი, რომ სერიოზული ტრავმა მქონდა.

მოამზადა
**გია გაგოშიძე**

ფუტსალი

# დაპირისპირება გრძელდება

გუშინ შევიტყვეთ, რომ ფუტსალის ასოციაციაში, რაც დრო გადის, სამწუხაროდ, დაპირისპირება უფრო და უფრო მწვავდება. „ლელო“ გუშინვე დაუკავშირდა ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრ **გიორგი დარჯანიას,** რომელმაც შემდეგი განაცხადა:

„ფუტსალის ასოციაციის 18-მა წევრმა, რომელმაც შარშან ლევან ცქიტიშვილი აირჩია პრეზიდენტად, მოითხოვა ყრილობის ჩატარება, რომელზეც ცქიტიშვილმა თავისი საქმიანობის ფინანსური ანგარიში უნდა წარმოადგინოს და რასაც ცქიტიშვილი პრეზიდენტობის მთელი პერიოდის განმავლობაში არიდებს თავს. მით უმეტეს, ასოციაციის წესდებითაც და საქართველოს კანონმდებლობითაც ეს სავალდებულოა. როგორც ასოციაციის წესდებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით, ლევან ცქიტიშვილი ვალდებულია წარმოადგინოს ფინანსური და სხვა დოკუმენტაცია. პრეზიდენტობის 17 თვის განმავლობაში, მან არაერთხელ განაცხადა უარი საკუთარი ვალდებულების შესრულებაზე, როგორც ასოციაციის გამგეობის, ასევე ყრილობის წინაშე. კონფერენციის კიდევ ერთხელ მოწვევა, რომელზეც, წინასწარი ინფორმაციით, ლევან ცქიტიშვილი კვლავ არ გამოცხადდება, ემსახურება მიზანს, რომ შეიქმნას სრული საფუძველი, ასოციაციის წევრებმა მას ფინანსური ანგარიშის წარმოდგენა სასამართლოს გზით მოსთხოვონ და მისი მხრიდან ასოციაციის საქმიანობაში ხელის შეშლა აღკვეთონ. შესაბამისი მუხლიც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“.

**მერაბ მამულაშვილი**

ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის წინ

# 9 უნაკლო და ქართველები



წინა ტურში, ლადო დვალიშვილი (მარცხნივ) „აპოლონთან“ ვერაფერს გახდა

## 24 ოქტომბერი

### A ჯგუფი

სუონსი-ყუბანი 23:05
ვალენსია-სტ. გალენი 23:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სუონსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. სტ. გალენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 3. ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. ყუბანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

### B ჯგუფი

ჩერნომორეცი-ლუდოგორეცი 23:05
დინამო ზ.-პსვ 23:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლუდოგორეცი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. პსვ | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. ჩერნომორეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. დინამო ზ. | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

### C ჯგუფი

ელფსბორგი-ესბიერგი 23:05
ზალცბურგი-სტანდარდი 23:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2. ესბიერგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 3. სტანდარდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 4. ელფსბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |

### D ჯგუფი

უიგანი-რუბინი 23:05
ვარეგემი-მარიბორი 23:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-2 | 6 |
| 2. უიგანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ვარეგემი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| 4. მარიბორი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-8 | 0 |

### E ჯგუფი

ფერეირა-დნიპრო 23:05
ფიორენტინა-პანდურიი 23:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიორენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. დნიპრო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. პანდურიი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 4. ფერეირა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

### F ჯგუფი

ბორდო-აპოელ 23:05
აინტრახტი-მაქაბი თ. 23:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აინტრახტი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. მაკაბი თ. | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. აპოელ | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 4. ბორდო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

### G ჯგუფი

გენკი-რაპიდი 21:00
დინამო კ.-თუნი 21:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2. თუნი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. რაპიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 4. დინამო კ. | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

### H ჯგუფი

ლიბერეცი-სევილია 21:00
ფრაიბურგი-ეშტორილი 21:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. ლიბერეცი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. ფრაიბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 4. ეშტორილი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |

### I ჯგუფი

ლიონი-რიეკა 21:00
ბეტისი-გიმარაეში 21:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გიმარაეში | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 2. ლიონი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 3. ბეტისი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. რიეკა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |

### J ჯგუფი

ტრაბზონი-ლეგია 21:00
აპოლონი-ლაციო 21:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 2. ტრაბზონი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 3. აპოლონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. ლეგია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

### K ჯგუფი

ანჟი-ტრომსიო 20:00
შერიფი-ტოტენჰემი 21:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. შერიფი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 3. ანჟი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 4. ტრომსიო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

### L ჯგუფი

შახტიორი-ალკმაარი 20:00
პაოკ-მაქაბი ჰ. 21:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პაოკ | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 2. ალკმაარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. შახტიორი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 4. მაკაბი ჰ. | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

ბომბარდირები: 3 - ალანი (ზალცბურგი), ჟერმეინ დეფო (ტოტენჰემი), ხონათან სორიანო (ზალცბურგი).

**დღეს** ევროპალიგის ჯგუფური ეტაპის I წრე დასრულდება. რა თქმა უნდა, პლეი ოფის საგზურს ჯერ ვერავინ გაინაღდებს, მაგრამ 9 კლუბს თავისუფლად შეუძლია მშვიდად იყოს, თუკი დღევანდელ მატჩებსაც მოიგებს. ევროპალიგის ჯგუფური ეტაპის დიდი ქარავანიდან ინგლისურ „სუონსის“ და „ტოტენჰემს“, გერმანულ „აინტრახტს“, ესპანურ „სევილიას“, იტალიურ „ფიორენტინას“, ავსტრიულ „ზალცბურგს“, ბულგარულ „ლუდოგორეცს“, ბელგიურ „გენკსა“ და რუსულ „რუბინს“ აქტივში 2-2 მოგება აქვთ.

## ლადო გოლს შეგვპირდა

ევროპალიგაზე იმდენი წყვილია, რომ მათზე წერას ჩვენი საგაზეთო ფორმატი არ ეყოფა. ამიტომ მხოლოდ ამ ტურნირში მონაწილე ქართველი ლეგიონერების ამბებით შემოვიფარგლებით.

**ლადო დვალიშვილი** ევროთასებს კარგ ხასიათზე ეგებება - 27 წლის ფორვარდმა პოლონეთის ჩემპიონატში დუბლი შეასრულა და 7 გოლით ბომბარდირთა დავაში ლიდერებშია. აი, მას და მის „ლეგიას“ ძალიან უჭირთ ევროპალიგაზე, უქულოდ და უგოლოდ არიან. ფაქტობრივად, დღევანდელი მატჩი „ტრაბზონსპორთან“ პოლონელთა ბოლო შანსია. ვნახოთ, პოლონურ მედიასთან საუბარში ლადო თურქებთან სულ მცირე, ერთ გოლს შეგვპირდა.

სამაგიეროდ, დალაგებული აქვს საქმე ყაზანის „რუბინს“, სადაც **სოლომონ კვირკველია** ასპარეზობს. ახალგაზრდა მცველი ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ზის, თუმცა, შესაძლოა, ინგლისურ „უიგანთან“ თამაშის შანსი მიეცეს.

უკრაინული „დნიპრო“ „პაკუშ ფერეირას“ ესტუმრება. **ჯაბა კანკავა** გუნდის ლიდერთაგანია, აი, **სანდრო კობახიძეს** კი ბოლო დროს თამაშის შანსი არ ეძლევა.

**გია გრიგალავას** „ანჟი“ ნორვეგიულ „ტრომსიოს“ მასპინძლობს, ჯგუფის აუტსაიდერებს შანსი ეძლევათ მე-2 ადგილისთვის ბრძოლაზე სერიოზული განაცხადი გააკეთონ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. დანიელე დე როსი

# სკუდეტო? აბსურდია

## დე როსი: გარსია ბრწყინვალე ფსიქოლოგია

„რომა" ტრადიციულად მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდია და მისი ცხრილის ზედა ნაწილში ყოფნა ჩვეულებრივი ამბავია - თუმცა, რვიდან რვა მატჩის მოგებას და ერთპიროვნულ ლიდერობას მისგან არავინ ელოდა. გასულ სეზონში „ჯალოროსის" ჯერ ზდენეკ ზემანი ედგა სათავეში, შემდეგ კი აურელიო ანდრეაცოლი; ორივე სპეციალისტს დანიელე დე როსისთან შექმნა პრობლემები, რის გამოც ეს უკანასკნელი გუნდიდან წასვლასაც კი ფიქრობდა. დღეს დე როსი იმ გუნდის განუყოფელი ნაწილია, რომელმაც მთელი საფეხბურთო ევროპა აალაპარაკა და ბუნებრივია, ჟურნალისტთა მომატებული ინტერესითაც სარგებლობს. ქვემოთ, დე როსის საინტერესო ინტერვიუს გაეცნობით...

**- როგორ გრძნობთ თავს ევროტურნირების გარეშე?**

- კარგად, რადგან მოტივაციის ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივი. სერია A-ში კონკრეტული მიზანი გვაქვს და ვიცით, რისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ალბათ, ამ კითხვასაც დამისვამთ და აქვე გეტყვით, რომ ჩვენი მიზანი სწორედ ევროსაგზურის მოპოვებაა. მოკლედ, წელს ევროტურნირების გარეშე თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ მომდევნო სეზონში ეს აღარ უნდა განმეორდეს.

**- ასეთი პასუხით გულშემატკივრებს ნამდვილად გაანბილებთ...**

- ყველა მხრიდან მესმის, რომ „რომამ" სკუდეტო უნდა მოიპოვოს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა. მეტსაც გეტყვით, ეს სრული აბსურდია, რადგან ჩემპიონატის დაწყებიდან მხოლოდ რვა ტურია გასული. მადრიდის „ატლეტიკომაც" მოიგო რვა მატჩი, მაგრამ მეეჭვება, ჩემპიონი გახდეს. მთელი ჩემპიონატი წინაა და ნაადრევი დასკვნების გაკეთება არ შეიძლება.

**- „იუვენტუსმა" სამჯერ მოიგო რვა სასტარტო მატჩი და სამჯერვე ჩემპიონი გახდა...**

- კი მაგრამ, ლაპარაკი „იუვენტუსზე" გვაქვს, გუნდზე, რომელიც დაბადებულია იმისთვის რომ სკუდეტო მოიგოს. ამასთან, ეჭვი მაქვს, რომ სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში არნახულად მაღალი კონკურენციაა. ჩემპიონობისთვის „იუვენტუსი" და „ნაპოლი" იბრძვიან, გუნდები, რომლებსაც ბრწყინვალე შემადგენლობა ჰყავთ. არ უნდა დავივიწყოთ მილანური გრანდები და „ფიორენტინა", რომელიც ვინჩენცო მონტელას ხელში პროგრესირებს.



**- გასულ სეზონში, გუნდიდან შესაძლო წასვლის შესახებ არაერთი განცხადება გააკეთეთ; შეიცვალეთ პოზიცია?**

- „რომადან" წასვლა არასდროს მინდოდა, მაგრამ ამის შესახებ რამდენჯერმე მართლაც დავფიქრდი. როდესაც მწვრთნელისგან ნდობას ვერ გრძნობ, იძულებული ხარ, გამოსავალი ეძებო. საბედნიეროდ, ვითარება რადიკალურად შეიცვალა, ახალი მწვრთნელი გვყავს და მეც არსად წასვლას არ ვაპირებ. შესაძლოა შეცვლაზე თამაშობდე, მაგრამ მწვრთნელის ნდობას გრძნობდე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

**- რა შეცვალა რუდი გარსიამ ისეთი, რომ თამაშს თამაშზე იგებთ?**

- რუდი ბრწყინვალე ფსიქოლოგია, რასაც შესანიშნავად იყენებს. იცის, როდის რა თქვას და როგორ განაწყოს გუნდი გამარჯვებისთვის. ზემოთ „ატლეტიკოს" მაგალითი მოვიყვანე და ესეც გარსიას სიტყვები გახლავთ. მან რამდენჯერმე შეგვახსენა, რომ გამარჯვებათა სერიები სხვა გუნდებსაც აქვთ, რაც იმას არ ნიშნავს, რომ ყველა აუცილებლად ჩემპიონები გახდებიან. რუდის ეხერხება საკუთარ თავში რწმენა გაგიმყაროს და ამასთან, ღრუბლებში ფრენის საშუალება არ მოგვცეს. ვფიქრობ, „რომას" მესვეურებმა მისი დანიშვნით იდეალური გადაწყვეტილება მიიღეს.

**- რთული კალენდარი უკან მოიტოვეთ და წინ შედარებით იოლი მატჩები გელით, რაც ალბათ გაიმედებთ, რომ სერია გაგრძელდება...**

- თუ თქვენ ფიქრობთ, რომ უდინეში მოგება იოლია, ძალიან ცდებით. სერია A ურთულესი ტურნირია, სადაც ნებისმიერ შეხვედრაში მაქსიმალურად უნდა მოინდომო. ჯერჯერობით, ყველაზე მარტივად მილანში გავიმარჯვეთ „ინტერთან", რასაც ბევრი არ ელოდა. მოკლედ, იოლ და რთულ კალენდარზე ლაპარაკი ძალიან პირობითია.

**- ზემოთ ახსენეთ, რომ სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში არნახულად მაღალი კონკურენციაა. ანუ, კალჩო პროგრესირებს?**

- გუნდები გაძლიერდნენ და ეს ძალიან კარგია, მაგრამ რეალურ პროგრესზე ლაპარაკი ჯერ მაინც ადრეა. ფაქტია, რომ ბევრ კომპონენტში ევროპის წამყვანმა საფეხბურთო ქვეყნებმა გაგვასწრეს და ეს ჩამორჩენა აღმოსაფხვრელია. პირველ რიგში, ეს საორგანიზაციო საკითხებს და ინფრასტრუქტურას ეხება. ეს ორი თემა ერთმანეთთან გადაჯაჭვულია, რაც კარგად უნდა გვესმოდეს. ახალი სტადიონების აშენება და ძველი არენების რეკონსტრუქციაა საჭირო, საწვრთნელი ბაზების განახლება და ზოგადად, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. სხვაგვარად, კომპლექსურ წინსვლაზე ვერ ვისაუბრებთ.

**- ამ ფონზე, რა მომავალი აქვს იტალიის ეროვნულ ნაკრებს?**

- იტალია საფეხბურთო ქვეყანაა და რაც არ უნდა ბევრი პრობლემა გვქონდეს, 20-25 ექსტრა-კლასის ფეხბურთელს ყოველთვის შევკრებთ. ამიტომ, ეროვნული გუნდი განყენებული თემაა. ვფიქრობ, რომ „სკუადრა აძურა" დღესაც ძლიერია და მსოფლიოს ჩემპიონატზე უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს. ჩვენი ძალა კარგად გამოჩნდა ჯერ ევროპის ჩემპიონატზე და შემდეგ, კონფედერაციათა თასზე.

**- და მაინც, რამდენად რეალურია, რომ „სკუადრა აძურა" ბრაზილიური მუნდიალის ტრიუმფატორი გახდეს?**

- ზოგადად, ევროპელებისთვის ძალიან რთული იქნება მუნდიალის მოგება, მაგრამ ჩვენ თავის დაზოგვას არ ვაპირებთ. ვფიქრობ, იტალიის ნაკრები ფავორიტთა შორისაა, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

**ლაშა წიკლაური**

ამბები



ოგუჩი ონიევუ

### ონიევუ ქუინზ პარკში

ამერიკის ნაკრების 31 წლის ცენტრალური მცველი **ოგუჩი ონიევუ** ევროპაში სათამაშოდ 11 წლის წინ ჩამოვიდა და მას შემდეგ უკვე მე-9 კლუბთან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ათლეტური აღნაგობის ვეტერანი გუშინ „ქუინზ პარკს" შეუთანხმდა 2-წლიან ხელშეკრულებაზე. 2012/13 წლების სეზონი მან „მალაგაში" იჯარით გაატარა, ივლისში კი ლისაბონის „სპორტინგთან" კონტრაქტი დაუსრულდა და თავისუფალი აგენტის სტატუსი მოიპოვა. მთელი ოთხი თვე ონიევუ სამსახურს უშედეგოდ ეძებდა. *„ქუინზ პარკს" პრემიერლიგაში სურს დაბრუნება. აქ იმიტომ ვარ, რომ მას მიზნის მიღწევაში დავეხმარო. გუნდის თავკაცი ჰარი რედნაპი დარწმუნებულია, რომ მე ამას შევძლებ,"* - განაცხადა ფეხბურთელმა.

### ჰოლოვეი გადადგა

გუშინ გვიან სალამოს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "კრისტალ პალასის" მთავარმა მწვრთნელმა **იან ჰოლოვეი** "კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით" პოსტიდან გადადგა. "არწივებმა" პრემიერლიგის საწყის რვა ტურში მხოლოდ "სანდერლენდი" დაამარცხეს, დანარჩენ შეხვედრებში კი უშანსოდ დამარცხდნენ. "პალასმა" ბოლო ტურში შინ "ფულჰემთან" 1:4 წააგო. ჰოლოვეი ალბათ ამ თამაშმა დააფიქრა ყველაზე მეტად.

### დევისი დაისვენებს

შაბათს „სანდერლენდთან" შეხვედრაში „სუონსისა" და უელსის ნაკრების 20 წლის მცველმა **ბენ დევისმა** ფეხი იტკინა, რის გამოც უახლოესი 15-20 დღის განმავლობაში მოუწევს დასვენება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი ევროპალიგაზე „ყუბანთან" ორივე მატჩის (24 ოქტომბერი, 7 ნოემბერი) გარდა „ვესტ ჰემთან" (27 ოქტომბერი) და „კარდიფთან" (3 ნოემბერი) შეხვედრებშიც ვერ ითამაშებს. ოპტიმალურ შემთხვევაში ის გუნდს 10 ნოემბერს „სტოკთან" თუ დაუბრუნდება.

### ისრაელს გრანტი ჩაიბარებს

„ჩელსის", „პორტსმუთისა" და „ვესტ ჰემის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ავრამ გრანტი** ისრაელის ნაკრებში ინიშნება, - იუწყება ებრაული პრესა. საკითხი 100%-ით გადაწყვეტილი ჯერ არ არის, თუმცა მოლაპარაკებების დასრულებას ბევრი აღარაფერი აკლია. 58 წლის სპეციალისტი ამ პოსტზე 2002/06 წლებში უკვე მუშაობდა. ებრაელთა ამჟამინდელი დამრიგებელი **ელი გუტმანი** კი სამსახურს წარუმატებელი მუშაობის გამო ტოვებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ინტერვიუ. დარიო ცვიტანიჩი

# მესი არ არსებობს

## მაშინ დარიო ცვიტანიჩი პირველია

წინა სეზონში ლიგა 1-ის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა **დარიო ცვიტანიჩი** გახდა. ბუენოს აირესის გარეუბანში, კერძოდ კი ბარადეროში დაბადებულმა თავდამსხმელმა 19 გოლი გაიტანა და **პიერ-ემერიკ ობამეიანგთან** ერთად, ბომბარდირთა დავაში მეორე-მესამე ადგილები გაიყო. **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან** ჭიდილი, უბრალოდ, შეუძლებელი გახლდათ. ცვიტანიჩის თითქმის ყველა გოლს „ნიცასთვის" ოქროს ფასი ჰქონდა და მთავარ მწვრთნელ **კლოდ პუელთან** ერთად. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ნიცელებმა კინაღამ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვეს. 29 წლის ფორვარდი კვლავაც ფორმაშია. იგი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას რამდენიმე დიდი გუნდის ყურადღების ცენტრში გახლდათ. თუმცა ფესვებით ხორვატი ფეხბურთელი ჯერჯერობით „ნიცაში" რჩება და მასთან ერთად გუნდი მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას აგრძელებს. დარიო ცვიტანიჩი ახლახან ერთ-ერთი პრესტიჟული ტელეშოუს სტუმარი იყო, და ჩვენც ამ ინტერვიუს ოდნავ სახეცვლილ ვარიანტს გთავაზობთ.

### სად იყო აქამდე?

ცვიტანიჩის კარიერა ბანფილდში დაიწყო. არგენტინულ კლუბში მან 5 წელი გაატარა და 2008 წელს ამსტერდამის „აიაქსში" აღმოჩნდა. სხვათა შორის, იმავე წელს მან მიიღო ისტორიული სამშობლოს - ხორვატიის - მოქალაქეობა და ახლა, როგორც არგენტინის, ასევე ხორვატიის მოქალაქედ გვევლინება.

დარიოს ჰოლანდიური კარიერა დიდი წარმატებით ვერ აეწყო. მან „აიაქსის რიგებში კი შეძლო ჯამში 30 მატჩში 13 გოლის გატანა, მაგრამ ამსტერდამელები მის განათხოვრებას ამჯობინებდნენ. ცვიტანიჩს ჯერ მექსიკაში მოუწყვეს ვოიაჟი, სადაც მან „პაჩუკას" რიგებში გაატარა 2010-2011 წლების სეზონი (32 მატჩი, 13 გოლი), ხოლო შემდეგ ასევე იჯარით სამშობლოში დააბრუნეს და იგიც „ბოკა ხუნიორსს" 34 თამაშში 10 ბურთით შეეწია. 2012 წელს ცვიტანიჩი „ნიცაში" გაიყიდა და მისი აღზევების ისტორიაც აქედან იწყება.

*„ძალიან სასიამოვნოა „რომას" დარი კლუბის ინტერესი, მაგრამ მე ისევ აქ ვარ, მხოლოდ „ნიცაზე" ვფიქრობ და თუ სხვა გუნდები ჩემით დაინტერესდნენ, ეს სწორედ „ნიცას" დამსახურებაა, რომელმაც მე გაბრწყინების შანსი მომცა"* - განაცხადა ცვიტანიჩმა ტელეშოუში.

### დარიო, ისევ ფორმაში

უკვე გითხარით, რომ წინა სეზონის შემდეგ ცვიტანიჩით ბევრი კლუბი დაინტერესდა. ყველაზე აქტიური მართლაც „რომა" გახლდათ, რომელიც ახლა სერია A-ს უდანაკარგოდ ლიდერობს. სწორედ ამ სპეკულაციების და მითქმა-მოთქმების გამო, ცვიტანიჩმა სეზონი მძიმედ დაიწყო და პირველ 4 ტურში მხოლოდ ერთი გოლით გამოირჩა, ხოლო, როგორც კი სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, იძევ ძველებურად ათამაშდა და უკვე 6 გოლი მოუგროვდა. ამჟამად ის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს **რადამელ ფალკაოს** მხოლოდ 1 ბურთით ჩამორჩება.

*„ზაფხულის პერიოდი მართლაც რთული იყო ჩემთვის. ამ მითქმა-მოთქმამ ცოტა თავგზა ამიბნია. ახლა კი მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ და ასე ყოველთვის უფრო ადვილია"* - აღნიშნა დარიომ.

### მეწყვილეები

ცვიტანიჩი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ცხადია ყველაფერს მარტო ვერ გააკეთებს. ამ სეზონში, მას კიდევ ერთი ახალი დამხმარე გამოუჩნდა - ნიჭიერი ბელგიელი შემტევი ნახევარმცველი **კრისტიან ბრიულსი**, რომელიც „ნიცამ" „გენტიდან" ინათხოვრა. 6 გოლიდან 3 დარიოს სწორედ ბრიულსიმ გაატანინა.

*„ჩვენ ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებთ - აგრძელებს საუბარს ცვიტანიჩი - კრისტიანი ჩვენს გუნდში საუკეთესო ფეხბურთელია, ვალენტინ ესერიკთან ერთად. თუ რომელიმე მათგანს ბურთი აქვს, ბოლომდე მზად უნდა იყო, რადგან ნებისმიერ წამს შეუძლიათ მომაკვდინებელი პასი გააკეთონ".*

### ახალი სტადიონი

ნიცა ულამაზესი და ბევრისათვის საოცნებო ზღვისპირა ქალაქია. ამ მშვენიერ ადგილსა და მის საფეხბურთო კლუბს შესაბამისი სტადიონი ესაჭიროებოდა და ხელმძღვანელობამაც არ დაახანა. ამიერიდან, ქალაქს ახალი მშვენება შეემატა - ულამაზესი არენა „ალიანს რივიერა". თქვენი აზრით, ვის უნდა გაეტანა პირველი გოლი ახალ სტადიონზე?

დარიო ცვიტანიჩი: *„ეს საოცრება იყო, დაუვიწყარი დღე და მოვლენა ჩვენთვის და „ნიცას" თითოეული გულშემატკივრისთვის. ახალ სტადიონზე მე პირველი გოლი გავიტანე, რაც სამუდამოდ დარჩება ისტორიაში. ეს 10, 15, 20... წლის შემდეგ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება".*

### მატჩი მარსელთან

გასულ პარასკევს „ნიცამ" ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ჩაატარა. გუნდი „მარსელს" მასპინძლობდა და მოიგო კიდეც. ბანალური იქნებოდა, რომ მეკითხა, აბა თუ იცით, ვინ გაიტანა შეხვედრაში ერთადერთი გოლი-მეთქი... ვდებით ვინ მოაგებინა „ნიცას" და ახლა გუნდს მესამე ადგილთან ანუ ჩემპიონთა ლიგის საწუკვარ საგზურთან ოდენ 3 ქულა აშორებს.

*„მსგავსი მატჩები ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. „მარსელთან", „მონაკოსთან" და „ბასტიასთან" დაპირისპირებები „ნიცასთვის" ერთგვარი დერბია"* - თქვა ცვიტანიჩმა.

### მესი არ ითვლება

38 მატჩი გატანილი 25 გოლით, უკანასკნელი 14 თვის განმავლობაში ცვიტანიჩი ყველაზე პროდუქტიული არგენტინელი თავდამსხმელია **ლიონელ მესის** მერე. მას უფრო მეტი გააქვს, ვიდრე, მაგალითად **სერხიო აგუეროს, გონსალო იგუაინს, კარლოს ტევესს...**

*„დიახ, მე მეორე ვარ, მესის მერე. თუმცა მესი არ ითვლება... ის რეალური პიროვნება არ არის. ასე რომ, სინამდვილეში მე პირველი ვარ, რადგან მესის ვერ გაეჯიბრები, ის სხვა სამყაროდანაა"* - თქვა ღიმილიანმა ცვიტანიჩმა საუბრის ბოლოს.

**გიორგი კაკაბაძე**




დარიო ცვიტანიჩი

● ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. სამშაბათის მატჩების გამოხმაურება

## დორტმუნდის ბორუსია

# ისტორია გვეუბნება: დორტმუნდი ლიგას მოიგებს!

### ინგლისში მოგება ბორუსიასთვის კარგი ნიშანია

ლონდონში გამარჯვების შემდეგ დორტმუნდელებმა თავიანთ ისტორიას გადახედეს და ძალიან საინტერესო რამ აღმოაჩინეს: როცა „ბორუსია" ინგლისში იგებს, საბოლოოდ ევროთასს ეუფლება! „არსენალთან" გამარჯვება (2:1) „დორტმუნდისთვის" ნისლიან ალბიონზე მხოლოდ და მხოლოდ მესამე მოგება 9 თამაშიდან იყო. პირველი ორი გამარჯვების შემდეგ კი დორტმუნდელები საბოლოოდ თასსაც ეუფლებოდნენ.



„ბორუსიამ" ინგლისში პირველად 1965/66 წლების სეზონში, მაშინდელ თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში მოიგო - „ბორუსიამ" მაშინ „ვესტ ჰემი" გასვლაზე 2:1 დაამარცხა, რის შემდეგაც ფინალში „ლივერპულს" მოუგო და თასს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ ეს გახლდათ პირველი ევროთასი გერმანული საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში.

მეორე გამარჯვება კი „ბორუსიამ" ნისლიან ალბიონზე 1997 წელს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მოიპოვა: დორტმუნდელებმა მანჩესტერში „იუნაიტედი" 1:0 დაამარცხეს, ფინალში კი ტურინის „იუვენტუსს" 3:1 მოუგეს და ჩემპიონთა ლიგის თასი აიღეს. ახლა კი „ბორუსიამ" მესამედ შეძლო ინგლისში მოგება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ **იურგენ კლოპის** გუნდი ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, ამას დრო გვიჩვენებს.

**გოტფრიდ ლენცი**

## არსენალი

# ზედმეტი არაფერი ვარგა


ჯეკ უილშირი (მარჯვნივ)

„დორტმუნდთან" წაგების შემდეგ **არსენ ვენგერი** პრესკონფერენციაზე დროულად გამოცხადდა და ჟურნალისტების შეკითხვებს დაუზარებლად უპასუხა. 64 წლის ფრანგის აზრით, გერმანიის ვიცე-ჩემპიონებთან მისმა გუნდმა ზედმეტად მოინდომა და მარცხიც ამის ბრალი იყო. აი, რა თქვა მან:

- უსიამოვნო და გულსატკენი მარცხი ვიწვნიეთ. აშკარაა, რომ შეტევაში უკეთ უნდა გვეთამაშა, ბევრად უფრო სწრაფად. ფეხბურთელებს მოგება ისე ძალიან უნდოდათ, რომ საბოლოოდ დაავიწყდათ, ჯობდა, არწაგებაზე მაინც ეთამაშათ. ცუდია, რომ მეტოქეს უკანასკნელი ძალები დავახარჯეთ, მაგრამ შედეგი მაინც ვერ მივიღეთ. ალბათ ზომაზე მეტად ვნერვიულობდით, რამაც „ბორუსიას" საკუთარი ძალების რწმენა გაუძლიერა. ანგარიშში ჩამორჩენის შემდეგ გარკვეული პერიოდი გაგვიჭირდა სადავეების ხელში ჩაგდება. მეორე ტაიმში უკვე საგრძნობ უპირატესობას ვფლობდით, როცა მეორე გოლი მივიღეთ. იმედგაცრუებულები ვართ, მაგრამ არა უშავს, ეს გუნდის შენების პროცესის ნაწილია. მართალია, ძლიერ ჯგუფში ვართ, მაგრამ პლეი ოფში გასვლა ნამდვილად შეგვიძლია. მიზნის მისაღწევად ახლა გასვლით შეხვედრებში მოგვიწევს ბრძოლა.

### უილშირი: ყველაფერი კარგად არის

ვენგერმა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ჯეკ უილშირი** მე-60 წუთზე შეცვალა, რისი მიზეზიც კოჭის ტრავმა გახდა. 21 წლის ფეხბურთელი აღნიშნული პრობლემის გამო თავის დროზე 17 თვე ვერ თამაშობდა. გულშემატკივარი ამჯერადაც შეშფოთდა, თუმცა უილშირმა ისინი თავად დაამშვიდა. „ყველაფერი რიგზეა. უბრალოდ ტკივილმა შემაწუხა. მსგავსი რამ ადრეც არაერთხელ მომსვლია. თავს უკვე კარგად ვგრძნობ," - გვამცნო ფეხბურთელმა „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ბარსელონა

# ჩავი: კარგ ფორმაში ვართ

„სან სიროზე", „მილანთან" 1:1-ის შემდეგ, ჟურნალისტებს „ბარსელონას" ნახევარმცველი **ჩავი ერნანდესი** შეხვდა და იტალიური მატჩის გარდა, ორი სიტყვა მომავალ „ელ კლასიკოზეც" თქვა.

„ფრე ცუდი შედეგი არაა. ამ სტადიონზე თამაში ყველა გუნდს უჭირს. მატჩის პირველ ხუთ წუთს თუ არ ჩავთვლით, მთლიანობაში, საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, საგოლე მომენტებიც შევქმენით, მაგრამ გადამწყვეტი გოლი ვერ გავიტანეთ. რა თქმა უნდა, გამარჯვების მოპოვება გვსურდა, მაგრამ უკმაყოფილონი არც ქულით ვართ," - განაცხადა ჩავიმ.

რაც შეეხება „ელ კლასიკოს: „ჩვენ კარგ ფორმაში ვართ. ამ სეზონში ჯერ თამაში არ წაგვიგია, გუნდი კი საკმაოდ კარგად თამაშობს. „რეალთან" შეხვედრას თავდაჯერებულნი და კარგ განწყობაზე მყოფნი ვხვდებით".


ბარსელონას კაპიტანი ჩავი კმაყოფილია

● სტატისტიკა

# უეფას ექსპერტები: დიეგო კოშტა საუკეთესო იყო

სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის 8 მატჩი გაიმართა. ვნახოთ, რომელი ფეხბურთელები იყვნენ საუკეთესოები. გთავაზობთ, უეფას ექსპერტთა ჯგუფის რეიტინგებს და საინტერესო სტატისტიკას.

**მატჩების საუკეთესო მოთამაშეები**

| ფეხბურთელი | თამაში | ექსპ. |
|---|---|---|
| დიეგო კოშტა | აუსტრია-ატლეტ. | 9,0 |
| რიკარდო მონტოლივო | მილანი-ბარს. | 9,0 |
| ფერნანდო ტორესი | შალკე-ჩელსი | 8,7 |
| მარკო დიასი | სტიაუა-ბაზელი | 8,0 |
| გიორგიოს სამარასი | სელტიკი-აიაქსი | 8,0 |
| რობერტ ლევანდოვსკი | არსენალი-დორტმ. | 7,8 |
| ჰალკი | პორტუ-ზენიტი | 7,5 |
| დრის მერტენსი | მარსელი-ნაპოლი | 7,5 |

*შენიშვნა: ექსპ. - უეფას ექსპერტთა საშუალო შეფასება*

**ტოპ-5**

ექსპერტების რეიტინგით: 9,0 - **დიეგო კოშტა** (ატლეტიკო); 8,7 - **რიკარდო მონტოლივო** (მილანი); 8,0 - **ფერნანდო ტორესი** (ჩელსი), **მარკო დიასი** (ბაზელი), **გიორგიოს სამარასი** (სელტიკი)

**ფანების რეიტინგით:** 8,5 - **ფერნანდო ტორესი** (ჩელსი), **დიეგო კოშტა** (ატლეტიკო); 8,1 - **კაკა** (მილანი); 7,8 - **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **ტიბო კურტუა** (ატლეტიკო)

სამშაბათის მატჩების ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **მაქს მაიერი** (შალკე - 18 წლის

დუბლი: **ფერნანდო ტორესი** (ჩელსი), **დიეგო კოშტა** (ატლეტიკო)

**ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ:** 23 - პორტუ
**ყველაზე მეტი დარტყმა კარში:** 11 - პორტუ
**ყველაზე მეტი ჯარიმა:** 17 - სტიაუა, ბაზელი
**ყველაზე მეტი კუთხური:** 9 - სელტიკი
**ყველაზე მეტი თამაშგარე:** 6 - სტიაუა
**ბურთის ფლობა** (%): 65% - ბარსელონა

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


დიეგო კოშტა

## მილანი


რიკარდო კაკამ (მარცხნივ) შესანიშნავი მატჩი ჩაატარა

# კარგი, უკეთესის იმედით

### მილანმა ცოტა კრიტიკა, მეტი ხოტბა დაიმსახურა

მიუხედავად იმისა, რომ „მილანი"-"ბარსელონას" შეხვედრაში ტერიტორიულ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ და თუ სტატისტიკას ჩავხედავთ, კარშიც გაცილებით მეტჯერ სწორედ კატალონიელებმა დაარტყეს, ფრე მაინც ლოგიკური შედეგი იყო და ამაზე საფეხბურთო ექსპერტთა თუ ჟურნალისტთა უმეტესობა შეთანხმდა. შესაბამისად, „მილანი" უფრო მეტად აქეს, ვიდრე გააკრიტიკეს და ეს სრულიად ბუნებრივიც გახლდათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლომბარდიული გრანდი დიდი დანაკლისით შეხვდა ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან პაექრობას. განსაკუთრებით ეს შეტევაზე ითქმის - **სტეფან ელ შაარავი** და **ჯამპაოლო პაცინი** განაცხადშიც არ იყვნენ, **მარიო ბალოტელიმ** კი მხოლოდ დასკვნითი ნაწილი ითამაშა და ისიც გამაყუჩებლით. მოკლედ, ეს ის იშვიათი შემთხვევა გახლდათ, როდესაც „მილანი" „სან სიროზე" ფავორიტი არ იყო და შესაბამისად, ქულა აქტივში ჩაეწერა. ნამატჩევს, არც **მასიმილიანო ალეგრი** უჩიოდა უგუნებობას:

„მთლიანობაში, ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან მრისხანე მეტოქეს არაფერი დავუთმეთ და ქულა ავიღეთ. დღეს შევქმენით გაცილებით მეტი მომენტი, ვიდრე გასულ სეზონში, როდესაც „ბარსა" „სან სიროზე" 2:0 დავამარცხეთ. ერთი ეგაა, რომ მეორე ბურთი ვერ შევაგდეთ და ერთ ეპიზოდში დაცვაში დაშვებული შეცდომა ძვირად დაგვიჯდა. როდესაც „ბარსელონასთან" თამაშობ, კონცენტრაცია ერთი წუთითაც არ უნდა დაკარგო, რადგან ხიფათი ნებისმიერი ზონიდან შეიძლება გემუქრებოდეს. ჩვენ ის ერთი შეცდომა დავუშვით, მაგრამ ამის გამო, შეგირდებს ვერაფრით ვუსაყვედურებ. მათ ყველაფერი გააკეთეს დადებითი შედეგის მისაღწევად, რაც გამოუვიდათ კიდეც. დიახ, „ბარსასთან" ფრე ურიგო შედეგი სულაც არაა, მით უმეტეს, მდევარ „სელტიკს" ორი ქულით ვუსწრებთ. რაც მთავარია, ამ „მილანს" გაცილებით მეტი შეუძლია".

### მოგებამდე სითამამე დააკლდათ

„მილანმა" ერთი ფორვარდით ითამაშა და ბუნებრივია, რომ გულშემატკივრებს **რობინიო**-ბალოტელის ტანდემის ხილვა სურდათ. ბევრის აზრით, მარიოს შეტევაში ინერტული **ვალტერ ბირსა** უნდა შეეცვალა, ფლანგზე ბრაზილიელი გადასულიყო და მისი ადგილი სწორედ ბალოტელის დაეკავებინა. ალეგრიმ ბირსას შეცვლა ვერ გარისკა, რობინიო მოხსნა თამაშიდან და ამით, მასპინძელთა შემტევი პოტენციალი შეასუსტა. „კორიერე დელო სპორტმა" პირდაპირ დაწერა, რომ კარგად მოთამაშე „მილანს" გამარჯვებისთვის ალეგრის სითამამე დააკლდა, მწვრთნელს თავისი პოზიცია აქვს:

„ჩვენი ლაზარეთი ჯერ კიდევ სავსეა, დარჩენილი ფეხბურთელები კი იდეალურ ფიზიკურ ფორმაში არ არიან. ბოლო წუთებში, ზონების მოშიშვლება დამღუპველი იქნებოდა და ამიტომ, ბირსას ნაცვლად ბალოტელის შეყვანა არც კი მიფიქრია. ვალტერი ურბი ემანუელსონმა შეცვალა, რომელსაც თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში როგორც შეტევაში, ისე დაცვაში".

### ბრავო კაკა

**რიკარდო კაკამ** ისე ითამაშა, როგორც ძველ, კარგ დროს. თითქოს წინაშიც დაკლებულია, ან შესაძლოა „მილანის" მუქი ფერების ფორმა ახდუნებს, მაგრამ ფაქტია, რომ „ბარსელონასთან" ვიხილეთ ისეთი რიკი, რომელიც სწორედ **კარლო ანჩელოტის** „როსონერიდან" გვახსოვს. კაკამ უზარმაზარი სამუშაო გასწია დაცვაში და ეფექტური იყო შეტევაში - მარტო საგოლე პასი რად ღირს, რომელიც რობინიოს „დაუხატა". როგორც მასიმილიანო ალეგრიმ განაცხადა, კაკამ „მილანს" თავდაჯერებულობა შემატა - რომ აღარაფერი ვთქვათ ტექნიკასა და ზოგადად, კლასზე.

**ლაშა ნიკლაური**

## ჩელსი

# გამოცდილება, პანიკა და თავბრუსხვევა

„ჩელსიმ" ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებელი სტარტის შემდეგ ზედიზედ მეორე გასვლითი მატჩი მოიგო დიდი ანგარიშით და თანაც ისევ „მშრალად". ლონდონელები E ჯგუფს სათავეში ჩაუდგნენ. **ჟოზე მოურინიოს** უკვე 7-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. ერთია სტატისტიკა, მთავარი მაინც თამაშის ხარისხია, ამ მხრივ კი „ჩელსის" არაფერი დაეწუნება. პორტუგალიელი პრესკონფერენციაზე შესანიშნავ განწყობაზე გახლდათ.

- ყველაზე მარტივი გამოსავალი იქნებოდა, რომ გოლების ავტორები გამომეყო, რადგან ტორესიც და აზარიც ბრწყინვალედ გამოიყურებოდნენ. თუმცა ჩვენს წარმატებას უკანა ხაზის დამაჯერებელმა თამაშმა ჩაუყარა საფუძველი. ვიცოდით, რამდენად სახიფათო შეიძლებოდა ყოფილიყო „შალკე" საკუთარ კედლებში და ტაქტიკაც ამის მიხედვით ავირჩიეთ. რაც ჩავიფიქრეთ, თითქმის ყველაფერი გამოგვივიდა. პირველი ტაიმის მიწურულს ცოტა გაგვიჭირდა, რადგან მასპინძლებმა უპირატესობა მოიპოვეს. მიუხედავად ამისა, კარგად ვითამაშეთ და სამი ქულა აღალად დავიმსახურეთ. საშინაო მარცხის შემდეგ ბოლო ადგილზე ვიყავით, დღეს კი უკვე ლიდერები ვართ. საკმაო გამოცდილება მაქვს იმისთვის, რომ პირველივე ფეხის დაცდენის შემდეგ პანიკაში არ ჩავვარდე და მომდევნო წარმატებების შემდეგ სიხარულისგან თავბრუ არ დამეხვეს. ვცდილობ, ყველაფერი მშვიდად გავაანალიზო. ამ წუთისთვის ჩვენი მთავარი ამოცანა ჯერ კიდევ ჯგუფიდან გასვლაა, თუმცა შინ ორი თამაში გვაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ ამას აუცილებლად მოვახერხებთ.

### ფერნანდოს მეასე

**ფერნანდო ტორესმა** „შალკესთან" თავისი მე-100 თამაში ჩაატარა „ჩელსის" რიგებში. „ელ ნინიოს" დიდი ხანია ბრალს სდებენ და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ შედეგიანობას უკლო. ამჯერად კი ყველაფერი რიგზე იყო. რომ არა უიღბლობა, ესპანელი ჰეთთრიკსაც გამოჰკრავდა


ტორესი (მარცხნივ) და მოურინიო

ხელს. მეორე ტაიმში მან **ოსკარის** გადაცემის შემდეგ ბურთი ძელს მოარტყა, **ედენ აზარის** გოლის ეპიზოდში კი ბელგიელს შეეძლო მისთვის გაემართა ხელი, რადგან ის აშკარად უკეთეს პოზიციაზე იმყოფებოდა. აი, რა თქვა მან „ჩელსის" ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში: „ანგარიშის მიუხედავად რთული თამაში გამოვიდა, რადგან ეს ის შემთხვევა იყო, როცა შედეგი არ ასახავს იმას, რაც მოედანზე ხდებოდა. პირველ ტაიმში შანსები 50/50-ზე იყო, ჩვენ უბრალოდ გაგვიმართლა, როცა ადრეული გოლი გავიტანეთ. დიდწილად ეს ჩვენი ფეხბურთელების ინდივიდუალურმა კლასმა განაპირობა".

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა ციფრებში

# სწრაფი გოლი და სწრაფი გაძევება

**კვირის დღევანდელ მიმოხილვაში საინტერესო ევროპული ამბების გარდა, ჩრდილოეთ ამერიკასაც გადავწვდებით და ტიმ კეჰილის გოლზეც ვისაუბრებთ...**

**100** - გოლი პრემიერლიგაში - **სტივენ ჯერარდი** ისტორიაში მეოთხე ნახევარმცველია, **ფრენკ ლამპარდის, რაიან გიგზის** და **პოლ სქოულზის** შემდეგ, ვინც ამ ნიშნულს მიაღწია. 33 წლის ფეხბურთელმა „ნიუკასლთან" (2:2) პენალტი გამოიყენა და საიუბილეო გოლი თავის 449-ე შეხვედრაში გაიტანა. „სტივი ჯის" გარდა, „ლივერპულის" მაისურით პრემიერლიგაში 100 გოლი მხოლოდ **რობი ფაულერს** და **მაიკლ ოუენს** გაუტანიათ.

თავისი სადებიუტო ბურთი ჯერარდმა 14 წლის წინ, „შეფილდ უენსდეისთან" შეხვედრაში გაიტანა. ასევე აღსანიშნავია, რომ „ლივერპულის" კაპიტანმა ზედიზედ მე-20 11-მეტრიანი გამოიყენა.

„ნიუკასლთან" თავი **დანიელ სტარიჯმაც** გამოიჩინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინგლისის ნაკრების ფორვარდს ბოლო 6 საგარეო შეხვედრაში აქვს გატანილი. ამაზე უკეთესი შედეგით მხოლოდ **რობინ ვან პერსის** შეუძლია იამაყოს - ჰოლანდიელმა თავის გამოჩენა სტუმრად ჩატარებულ ზედიზედ 9 შეხვედრაში მოახერხა.

**64** - შეხვედრის განმავლობაში მინიმუმ ერთი გოლი გაჰქონდა „ბარსელონას", რაც ესპანეთის ჩემპიონატის რეკორდი გახლავთ. კატალონიელთათვის სამწუხაროდ, ეს სერია, რომელიც სათავეს 2012 წლის იანვრიდან იღებდა, შაბათს, „ოსასუნასთან" შეხვედრაში შეწყდა - 0:0. აქვე გეტყვით, რომ წინა რეკორდი მადრიდის „რეალს" ეკუთვნოდა, რომელიც 35 შედეგიანი მატჩისგან შედგებოდა.

ასევე, „ბარსამ" ვერ გაიმეორა „სამეფო კლუბის" კიდევ ერთი რეკორდი და სეზონის სტარტზე ზედიზედ 8 მოგებაზე შეჩერდა, თუმცა **ხერარდო მარტინოს** შეგირდებს ამ სეზონში 14 მატჩია არ წაუგიათ და აქედან, 8-ჯერ გუნდმა კარი მშრალად შეინახა. პამპლონური მატჩის შემდეგ, **ვიქტორ ვალდესი იკერ კასილიასს** დაეწია და ახლა, ორივე მეკარეს ლა ლიგაში 165 მშრალი შეხვედრა აქვს ჩატარებული.

**8** - წამი იყო გასული მატჩის დაწყებიდან, როდესაც **ტიმ კეჰილმა** MLS-ის ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა. ავსტრალიელმა მთელი სამი წამით გააუმჯობესა **დუეინ დე როსარიოს** მიღწევა (2003 წლის) და საკუთარი სახელი ამერიკის საფეხბურთო ლიგის ისტორიაში ჩაწერა. ავსტრალიელის გოლმა, რომელიც მისთვის ბოლო 5 შეხვედრაში მე-4 იყო, „ნიუ იორკ რედ ბულსის" მიერ „ჰიუსტონ დინამოს" განადგურებას (3:0) ჩაუყარა საფუძველი. ბოლო ტურში „რედ ბულსი" „ჩიკაგო ფაიერს" მასპინძლობს და თუ იმარჯვა, რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდება.


„პორტუს" ნახევარმცველმა ექტორ ერერამ უკვე მე-6 წუთზე მოედანი დატოვა

**2** - ყვითელი ბარათი მიიღო 20 წამის ინტერვალში „პორტუს" ნახევარმცველმა **ექტორ ერერამ** და „ზენიტთან" გამართული მატჩის უკვე მე-6 წუთზე მოედანი დატოვა. ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, პირველ 6 წუთში ორი ყვითელი ბარათი არავის მიუღია, თუმცა უფრო სწრაფი გაძევებებიც ყოფილა. შეხვედრის მეხუთე წუთზე, პირდაპირ წითელი ბარათი „ნიუკასლის" ფორვარდმა **კრეიგ ბელამიმ** და „ვერდერის" მცველმა **ვალერიან ისმაელმა** მიიღეს - ორივემ მილანის „ინტერის" წინააღმდეგ.

„პორტუს" მექსიკელი ნახევარმცველის გაგდების შემდეგ გაუჭირდა და ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მეორე საშინაო მარცხი განიცადა, ასეთი რამ კი პორტუგალიის ჩემპიონს უკანასკნელად 11 წლის წინ დაემართა.

ასევე საკუთარ მოედანზე დამარცხდა „შალკე", ვისაც შინ 0:3 აქამდე არასდროს წაეგო. „ჩელსის" ამ გამარჯვებით დასრულდა **ჟოზე მოურინიოს** ძალიან უილბლო, 6-მატჩიანი სერია, რომლის დროსაც პორტუგალიელი სპეციალისტის გუნდები გერმანიაში მარცხდებოდნენ.

ბუქარესტის „სტიაუამ" კი ტურნირის ახალი რეკორდი დაამყარა და ზედიზედ მე-12 საშინაო შეხვედრაში ვერ მოახერხა გამარჯვების მოპოვება. რუმინელებმა მოსკოვის „სპარტაკის" (2001-2006 წლებში) „მიღწევა" გააუმჯობესეს.

**1** - გაშვებული ბურთი სერია A-ს პირველ რვა ტურში იტალიის ჩემპიონატის რეკორდია, რომელიც წელს „რომამ" გაიმეორა. „ჯალოროსიმ" რვავე შეხვედრაში იმარჯვა, რაც ამ კლუბის ისტორიაში პირველად მოხდა. აქამდე ასეთი შედეგი მხოლოდ „იუვენტუსს" ჰქონდა, რომელმაც 1930/31, 1985/86 და 2005/06 სეზონები ანალოგიურად დაიწყო.

„იუვემ", თავის მხრივ, „ფიორენტინასთან" 2:4 წააგო, არადა, პირველი ტაიმის შემდეგ 2:0-ს იგებდა. ფლორენციულმა კლუბმა საძულველი მეტოქე საკუთარ მოედანზე ბოლოს 1998 წელს დაამარცხა, როდესაც შეხვედრის ერთადერთი გოლი ლეგენდარულმა **გაბრიელ ბატისტუტამ** გაიტანა. ისე, თუ დააკვირდით, **კარლოს ტევესმაც** და **პოლ პოგბამაც**, გოლები სწორედ არგენტინელის სტილში აღნიშნეს, რითაც ფლორენციელებს დასცინეს, მაგრამ ბოლოს მაინც „ფიორენტინამ" გაიცინა.

შეხვედრის გმირი **ჯუზეპე როსი** გახდა, რომელმაც კარიერაში პირველი ჰეთ-ტრიკი შეასრულა. „იუვემ" კი **ანტონიო კონტეს** ხელმძღვანელობით პირველად გაუშვა ერთ შეხვედრაში 4 გოლი და გარდა ამისა, 10-მატჩიანი (ყველა ტურნირზე) დაუმარცხებელი სერია შეწყვიტა.

ტატო ბაციკაძე

ამბები


პაბლო ოსვალდო

## ოსვალდო შეიძლება იტალიაში დაბრუნდეს

**პაბლო დანიელ ოსვალდო** ჯერ პრემიერლიგას ხეირიანად არ შეჰგუებია, რომ უკვე მის შესაძლო წასვლაზე ალაპარაკდნენ. მართალია, მან ნელ-ნელა დაიწყო „საუთჰემპტონისთვის" სარგებლის მოტანა და ინგლისური კლუბის 15 მილიონის გამართლება, მაგრამ თუ იტალო-არგენტინელის მსურველი მიმზიდველი წინადადებით მიმართავს „წმინდანებს", ისინი შეიძლება მოიხიბლონ კიდეც. მსურველი კი ისეთია, როგორიც უნდა... ტურინის „იუვენტუსი". მართალია „ბებერ ქალბატონს" ფორვარდები რაოდენობრივად არ აკლია, მაგრამ **ანტონიო კონტე** ულაპარაკოდ ვერცერთს ვერ ეყრდნობა და ბოლომდე კმაყოფილი არ არის. თანაც, ოსვლადო იტალიის ნაკრებში დამკვიდრებას და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას ლამობს, რისი შანსიც მას „იუვენტუსის" რიგებიდან ბევრად დიდი ექნება.

## ბარსამ უილშირს თვალი დაადგა

„ბარსელონას" 21 წლის **ჯეკ უილშირის** გადაბირება მონდომებია. კატალონიელებს ის ფაქტი სულ არ აშინებთ, რომ ნიჭიერმა ნახევარმცველმა არც ისე დიდი ხნის წინ თავი კიდევ 5 წლით დაუკავშირა „არსენალს". თითქოს, მისი და „მეთოფეების" სიყვარულის ისტორია სამუდამოა. უილშირს მწვრთნელიც ენდობა, გულშემატკივრებსაც ძალიან უყვართ და თავადაც ბედნიერი ჩანს „არსენალის" რიგებში. თუმცა ამბობენ, „ბარსა" არაფერს დაიშურებს, რადგან უილშირი **ჩავის** შემცვლელად ესახება. ისე, „კამპ ნოუს" ბინადრებს ლონდონელთა რიგებიდან ფეხბურთელების გადმოყვანის გამოცდილება რომ აქვთ, ყველასათვის ცნობილია. გარდა ამისა, კატალონიელები მადრიდის „ატლეტიკოს" ნახევარმცველს კოკესაც რომ უტრიალებენ, ალბათ, მოგეხსენებათ და მზად არიან მასში 15-20 მილიონი ევრო გადაიხადონ.

გიორგი კაკაბაძე

ინტერვიუ. ნეიმარი

# მინდა ბარსელონას ისტორიაში შევიდე

**„ბარსელონას" 21 წლის ბრაზილიელმა ახალწვეულმა ნეიმარმა ტელეჟურნალ „ლა ლიგის სამყაროს" ბლიცინტერვიუ მისცა, რომელსაც თითმის უცვლელად გთავაზობთ...**

**- რას გრძნობთ, როდესაც იმავე გუნდში თამაშობთ, რომელშიც მესი?**

- პასუხისმგებლობას, თუმცა ეს ძალიან სასიამოვნო პასუხისმგებლობაა, რადგან, ჩემი აზრით, მესი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია.

**- აქ ჩამოსვლამდე „ბარსელონას" სათამაშო სტილს თუ იცნობდით?**

- რა თქმა უნდა. ვფიქრობ, „ბარსელონას" სათამაშო სტილი ყველა ფეხბურთელს უნდა მოსწონდეს. „ბარსაში" გადმოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მისი სტილი და ფილოსოფია იყო.

**- კარიერის განმავლობაში ყველაზე მეტად ვინ გეხმარებოდათ?**

- მამაჩემი. ის ყოველთვის მხარს მიჭერდა და საჭირო რჩევებს მაძლევდა. ყველა ჩემს წარმატებას ყოველთვის მას ვუძღვნი.

**- ბრაზილიაში იმ გუნდში თამაშობდით, რომელშიც ლეგენდარული პელე...**

- „სანტოსი" დიდი კლუბია, რომელშიც ძალიან ბევრ საოცარ ფეხბურთელს უთამაშია. ვფიქრობ, ამ კლუბის ისტორიაში ჩემი სახელი ჩავწერე.

**- „ბარსელონაში" თამაში თქვენი ოცნება იყო?**

- ამ გუნდის მაისურის ჩაცმა დიდი პატივია. „ბარსაში" უამრავ ვარსკვლავს უთამაშია და ახლა მეც ამ კლუბის ნაწილი ვარ. ეს საოცარი შეგრძნებაა, აქ გადმოსვლით ოცნება ავისრულე.

**- და რა არის თქვენი მიზანი?**

- ჩემი მიზანია, რომ „ბარსელონას" ისტორიაში შევიდე და ყველა შესაძლო ტიტული მოვიგო.

## მენოტი: ნეიმარი პელე არ არის

22 ოქტომბერს, ლეგენდარულ არგენტინელ მწვრთნელ **სესარ ლუის მენოტის** დაბადების დღე ჰქონდა. „ბარსელონას" ყოფილი დამრიგებელი 75 წლის გახდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, „რადიო მარკა" 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონს პირდაპირ ეთერში დაუკავშირდა და იუბილე მიულოცა. არგენტინელმა ესპანელ ჟურნალისტებთან სხვადასხვა საინტერესო თემაზე, მათ შორის **ნეიმარზეც** ისაუბრა...

*„არგენტინას მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება ნამდვილად შეუძლია. ამის შანსი არის, რადგან, როდესაც გუნდში ლეო მესი გყავს, შანსი ყოველთვის გაქვს. მესის გარდა, არგენტინას რამდენიმე უმაღლესი დონის ვარსკვლავი ჰყავს - აგუერო, დი მარია, იგუაინი... მთავარია, მწვრთნელმა ზუსტ ფილოსოფიას მიაგნოს და ის გუნდს იდეალურად მოარგოს".*

ნეიმარის შესახებ მენოტიმ შემდეგი განაცხადა: *„ის უმეტესად მარცხენა ფლანგზე თამაშობს და მოედნის მთელ სივრცეზე ვერ მოქმედებს. ის ისეთივე დომინანტი არაა, როგორიც პელე, ან ზიკო, ნეიმარი უფრო გარემარბია".*

*მოგეხსენებათ, შაბათს „კამპ ნოუზე" ერთმანეთს „ბარსელონა" და „რეალი" დაუპირისპირდებიან. ლეგანდარულმა არგენტინელმა რამდენიმე სიტყვა მომავალ შეხვედრაზეც თქვა: „იმისთვის, რომ „ელ კლასიკოში" იმარჯვო, საუკეთესო მატჩი უნდა ჩაატარო. ეს განსაკუთრებული დაპირისპირებაა, რომელსაც ფავორიტი არ ჰყავს. „რეალი" საკუთარი სტილის ძიებაშია და ამ გუნდს დრო ჯერ კიდევ სჭირდება იმისთვის, რომ გულშემატკივრებს საუკეთესო ფეხბურთი შესთავაზოს".*

ტატო ბაციკაძე


ნეიმარი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## დააკავებულია 78 ადამიანი

ბელგიურმა პოლიციამ „ანდერლეხტსა" და „პარი სენ-ჟერმენს" შორის ჩემპიონთა ლიგის წუხანდელი მატჩის წინ საშიში ხულიგნები დააკავა. სულ პოლიციის მარწუხებში 78 ადამიანი მოექცა, რომელთაგან უდიდესი უმრავლესობა ფრანგია. 78 ადამიანიდან მხოლოდ 7 ბელგიელი და 3 პოლონელია. დაკავებულთა ნაწილზე ბელგიელ სამართალდამცავებს ინფორმაცია ფრანგმა კოლეგებმა მიაწოდეს, ნაწილს კი ჯიბეებში დანები, ე.წ. კასტეტები და ნარკოტიკული საშუალებები აღმოუჩინეს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ღონისძიება პროფილაქტიკური ხასიათისა იყო და გარკვეულწილად სწორედ ამის დამსახურებაა, რომ ქალაქში მასობრივი ჩხუბები არ გამართულა. ბრიუსელის პოლიციამ მატჩის მიმდინარეობისას სტადიონზე წესრიგის უზრუნველსაყოფად 400-მდე თანამშრომელი მიავლინა.

## მოურინიო სასჯელს შეეგუა

„კარდიფთან" შეხვედრაში ზღვარსგადასული ემოციურობის გამო **ენტონი ტეილორის** მიერ გაძევებული ჟოზე მოურინიო შეეგუა ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას და უარი თქვა ახსნა-განმარტებითი ბარათის დაწერაზე. პორტუგალიელი ჯარიმად 8 ათასი ფუნტს გადაიხდის, სამაგიეროდ „მანჩესტერ სიტისთან" IX ტურის ცენტრალურ შეხვედრაში გუნდს ის სათადარიგოთა სკამიდან უხელმძღვანელებს.

## ტოტენჰემი 28 მილიონს იხდის

„დეილი სტარის" ინფორმაციით, „ტოტენჰემი" მზად არის, „ასტონ ვილას" 28 მილიონი ფუნტი გადაუხადოს 22 წლის **კრისტიან ბენტეკეს** ტრანსფერში. შეგახსენებთ, რომ „დეზები" ბელგიელში ზაფხულზე მხოლოდ 20 მილიონს ჩამოდიოდნენ, რაზეც „ვილამ" კატეგორიული უარი თქვა. ამჯერად ჩრდილოლონდონელები მოლაპარაკებების დაწყებას იანვრამდე გეგმავენ. შეგახსენებთ იმასაც, რომ 2012 წლის აგვისტოში „ვილას" „გენკიდან" მოთამაშის გადაბირება ზუსტად 4-ჯერ ნაკლები, 7 მილიონი დაუჯდა.

**ლევან ბიბილაშვილი**



კრისტიან ბენტეკე

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური

# A ჯგუფი: ორი ნამდვილი ერთი მოჩვენების შემდეგ



ლევერკუზენში ბადე წესრიგში იყო, კისლინგიც

შესაძლოა, ინგლისურ პრემიერლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედის" საქმეები მთლად კარგად ვერ მიდის, შესაძლოა, არც ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობს ინგლისური გრანდი დამაჯერებლად, მაგრამ ფაქტია, **დევიდ მოიესის** გუნდმა I წრე კომფორტულად, პირველ ადგილზე დაასრულა. ფეხბურთში კი ტაბლო ძალიან ბევრს ნიშნავს. „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ოლდ ტრეფორდზე" 3 ქულა ესპანეთის ნაკრების ახალწვეული მცველის, **ინიგო მარტინესის** ავტოგოლით მოიპოვა. გოლი კი ყველაზე სწრაფი იყო მე-3 ტურში, ის უკვე მე-2 წუთზე გავიდა: **უეინ რუნიმ** მცველები მოატყუა, კარშიც კარგად დაარტყა, მაგრამ ძელმა ბურთი უკან უკუაგდო, აი, ზუსტად აქ შეცდა მარტინესი.

**რობინ ვან პერსის** გარეშე (ჰოლანდიელს ცერა თითი აქვს გასიებული) მოთამაშე „იუნაიტედს" აშკარად აკლდა შეტევაში სიმწვავე. მოიესი იძულებული იყო შუახაზში 90 წუთი დაყრდნობოდა 39 წლის **რაიან გიგზს.** ვეტერანმა თითქმის 11 კილომეტრი გაირბინა, რაც დიდებული შედეგია მისი ასაკის ფეხბურთელისთვის. მეორე ტაიმის მიწურულს, როცა ბასკებმა ზურგი მოაშიშვლეს, **ეშლი იანგსა** და რუნის გოლების გატანა შეეძლოთ, თუმცა „სოსიედადის" მეკარე **კლაუდიო ბრავო** დიდებულად თამაშობდა. ბასკებმა წრე ნული ქულით დაასრულეს და მათი რეალური მიზანი ევროპალიგის პლეი ოფის საგზურისთვის ბრძოლა თუ იქნება.

**იუნაიტედი–სოსიედადი 1:0**

**გოლი:** 1:0 ი. მარტინესი (2 ს.კ.)

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2):** დე ხეა - რაფაელი (59. სმოლინგი), ჯონსი, ევანსი, ევრა - ვალენსია, კერიკი, გიგზი, კაგავა - ხ. ერნანდესი (80. ე. იანგი), რუნი

**რეალ სოსიედადი (4-3-3):** ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ზურუტუზა (75. გ. კასტრო), ბერგარა, ჩაბი პრიეტო (68. პარდო) - ველა, სეფეროვიჩი (75. აგირეჩე), გრიზმანი

**გაფრთხილება:** რაფაელი, კაგავა - ველა, ბერგარა, ჩაბი პრიეტო

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 18-15; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 18-12 (10-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 74 500

„ბაი არენაზე" ყველასთვის მოულოდნელად უკრაინულ „შახტარს" **სამი ჰიიპიას** ბიჭებმა კუდით ქვა ასროლინეს - 4:0 მოუგეს. დუბლი შეასრულა **შტეფან კისლინგმა**, რომელიც მუდმივად ყურადღების ცენტრშია, ხან იმიტომ, რომ შედეგიანი თამაშის მიუხედავად, არა და არ ეძახიან გერმანიის ნაკრებში, ხან კი კურიოზული გოლების გატანით. შეგახსენებთ, რომ ბუნდესლიგის ბოლო ტურში მან კარის ბადეს გარედან მოარტყა ბურთი, ბადე გარღვეული იყო და ბურთი კარში აღმოჩნდა. შედეგად კი 2013 წლის ყველაზე კურიოზული გოლი მივიღეთ.

კისლინგმა დაამტკიცა, რომ „მოჩვენება-გოლების" გარდა ნამდვილების გატანაც კარგად შეუძლია. ისევე როგორც 5 დღის წინ, კისლინგმა თავურით გაიტანა, მაგრამ ამჯერად წესების სრული დაცვით. მე-2 ტაიმში ისევ კისლინგმა იყოჩაღა: **დარიო სრნასთან** ორთაბრძოლაში მსაჯს პენალტი გამოსტყუა, რომელიც **როლფესმა** გოლად აქცია. შემდეგ **სიდნი სემმა** იყოჩაღა, ვისაც ბრწყინვალე სეზონი აქვს, ბოლოს კი „შახტარის" რბევა ისევ კისლინგმა ახლო მანძილიდან დაასრულა მეკარე პიატოვის ძალიან უხეში შეცდომის შემდეგ.

**ლევერკუზენი–შახტარი 4:0**

**გოლები:** 1:0 კისლინგი (22), 2:0 როლფესი (50-პენ), 3:0 სემი (57), 4:0 კისლინგი (72)

**ლევერკუზენი (4-3-3):** ლენო - დონატი, სპაჰიჩი (56. ვოლშაიდი), თოფრაქი, ბოინიში - ჩანი, როლფესი, კასტრო - სემი (57. ), კისლინგი (76. დერდიოკი), სონი (71. ჰეგელერი)

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - სრნა, რაკიცკი, კუჩერი, შევჩუკი - ფერნანდო (61. ილსინიო), ჰუბშმანი - დუგლას კოშტა, ალექს ტეიშეირა, ტაისონი (46. ბერნარდი) - ადრიანო (78. ფ. ფერეირა)

**გაფრთხილება:** დონატი, კისლინგი, ჩანი - სრნა

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 13-11 (9-7); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 27 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 2. ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-5 | 6 |
| 3. შახტარი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| 4. სოსიედადი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |

**მომდევნო ტური**

5 ნოემბერი: შახტარი-ლევერკუზენი, რეალ სოსიედადი-მანჩესტერ იუნაიტედი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# C ჯგუფი: იბრას პოკერი

როგორც მოსალოდნელი იყო, „პარი სენ-ჟერმენმა" „ანდერლეხტს" მოუგო, თუმცა ასეთი ანგარიში ნამდვილად გაკვირვებას იწვევს. სტუმრებმა შეხვედრის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს - **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** 36-ე წუთზე ჰეთთრიქი გაიფორმა, მოგვიანებით კი მეოთხე გოლიც გაიტანა და ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში გახდა სულ მე-10 ფეხბურთელი, ვინც პოკერი შეასრულა.

განსაკუთრებით აღსანიშნავი შევდის მე-2 და მე-3 გოლები იყო. 22-ე წუთზე იბრამ ქუსლით შეაგდო და აქვე შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ფორვარდმა „ბასტიას" ასევე ქუსლით გაუტანა. მესამე გოლი კი მატჩის მშვენება გამოდგა - პსჟ-ს ლიდერმა შორიდან დაარტყა და „ანდერლეხტის" სარეზერვო გოლკიპერ **კამინსკის** ბურთი „ცხრიანში" ჩაუსვა.

ორი საგოლე პასით გამოიჩინა თავი **გრეგორი ვან დერ ვილმა, ტიაგო მოტამ** კი ამ სეზონში უკვე მესამე საგოლე გადაცემა მიითვალა. იბრას გარდა, პარიზელების კიდევ ერთი გოლი **ედინსონ კავანიმ** გაიტანა. საბოლოოდ, 0:5 და პსჟ-მ არა მარტო მერვედფინალისკენ, ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისკენაც გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა.

ამ გამარჯვებით პარიზელებმა ჩემპიონთა ლიგაში დაუმარცხებელი სერია 11 მატჩამდე გაზარდეს, რაც საკლუბო რეკორდი გახლავთ. „ანდერლეხტის" უიღბლობა კი გრძელდება - ბრიუსელელებმა, ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ბოლო 28 მატჩიდან მხოლოდ 2 მოიგეს, 6 ფრედ დაასრულეს და 20 წააგეს.

**ანდერლეხტი–პსჟ 0:5**

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმოვიჩი (17), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (22), 0:3 იბრაჰიმოვიჩი (36), 0:4 კავანი (51), 0:5 იბრაჰიმოვიჩი (65)

**ანდერლეხტი** (4-2-3-1): კამინსკი - მბემბა, კუიატე, ნუიტინკი, ნსაკალა - ტილემანსი, კლიესტანი - ჟილე, პრეტი (72. მილივოიევიჩი), მ. სუარესი (46. აჩეამპონგი) - მიტროვიჩი (72. სირიაკი)

**პსჟ** (4-3-3): სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი (55. ზ. კამარა), მარკინიოსი, მაქსველი - ვერატი, ტიაგო მოტა, მატუიდი (63. რაბიო) - კავანი, იბრაჰიმოვიჩი, ლავეცი (71. ლუკას მოურა)

**გაფრთხილება:** ნსაკალა

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 16-14 (11-12); **ბურთის ფლობა:** 35%-65%

**მაყურებელი:** 18 465

„ანდერლეხტის" ბედოვლათობიდან გამომდინარე, „ბენფიკას" და „ოლიმპიაკოსის" დაპირისპირება პრაქტიკულად მეორე ადგილისთვის შეხვედრა იყო. ბერძნები სამ ქულასთან ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ სტუმრებმა ბოლომდე ვერ გაძლეს და ქულას დასჯერდნენ, თუმცა სიტუაციიდან გამომდინარე, ფრე „ოლიმპიაკოსისთვის" ცუდი შედეგი ნამდვილად არაა.

ანგარიში 29-ე წუთზე **ალეხანდრო დომინგესმა** გახსნა, რომელმაც **კოსტას მიტროღლუს** პასი გამოიყენა. მიტროღლუს ჩემპიონთა ლიგის ბოლო 9 შეხვედრაში 8 გოლი ჰქონდა გატანილი. ბერძენმა ფორვარდმა ამ შეხვედრაშიც გაიტანა, თუმცა არბიტრებმა საეჭვო თამაშგარე დააფიქსირეს. შედეგად, ამ მომენტიდან ზუსტად ერთ წუთში ბურთი **რობერტო ხიმენესის** კარში აღმოჩნდა - **ოსკარ კარდოსომ** სტუმართა გოლკიპერის შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა.




ზლატან იბრაჰიმოვიჩი მხოლოდ მე-10 ფეხბურთელია, ვინც ლიგაზე პოკერი შეასრულა

საინტერესოა, რომ „ოლიმპიაკოსს" ჩემპიონთა ლიგის მატჩი ფრედ 2009 წლის შემდეგ არ ჰქონდა დასრულებული („ალკმაართან" 0:0). ბერძნების უკომპრომისო სერია 17 მატჩის განმავლობაში (8 მოგება, 9 წაგება) გრძელდებოდა.

**ბენფიკა–ოლიმპიაკოსი 1:1**

**გოლები:** 0:1 ა. დომინგესი (29), 1:1 ო. კარდოსო (83)

**ბენფიკა** (4-3-3): არტური - ანდრე ალმეიდა, ლუიზაო, გარაი, სიკეირა - ე. პერესი (82. რუბენ ამორიმი), მატიჩი, გაიტანი (82. როდრიგო) - ლიმა, ჯონი (46. ივან კავალეირო), ო. კარდოსო

**ოლიმპიაკოსი** (4-2-3-1): რობერტო - ლეანდრო სალინო, მანოლასი, სიოვასი, ჰოლებასი - მანიატისი, სამარისი - დ. ფუსტერი (69. იატაბარე), ა. დომინგესი (88. მეჯანი), ვაისი (56. ნდინგა) - მიტროღლუ

**გაფრთხილება:** ე. პერესი, გაიტანი - დ. ფუსტერი, ვაისი, მიტროღლუ

**კუთხური:** 7-0; **ჯარიმა:** 25-16; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 8-10 (4-7); **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 37 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 3 | 3 | 0 | 0 | 12-1 | 9 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 3. ბენფიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 4. ანდერლეხტი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-10 | 0 |

**მომდევნო ტური**

5 ნოემბერი: პსჟ-ანდერლეხტი, ოლიმპიაკოსი-ბენფიკა.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## მეთოფეებმა მიზანში ლორენტე ამოიღეს?

ბრიტანულ პრესას თუ ვენდობით, ლონდონის „არსენალს" **ფერნანდო ლორენტეს** დამატება უნდა და ამას იანვარშივე შეეცდება. ბასკი ტურინის „იუვენტუსის" რიგებში ვერაფრით დამკვიდრდა და დიდი სათამაშო დრო არ აქვს, რითაც ბედნიერი ნამდვილად ვერ იქნება. გამორიცხული არ არის, მხარეებმა საბოლოოდ განათხოვრებაზე მოილაპარაკონ და ლორენტე იჯარის წესით აღმოჩნდეს „მეთოფეთა" რიგებში.

**არსენ ვენგერმა** ცოტა ხნის წინ მოსწრებულად აღნიშნა, ჩემი აზრით, **ოლივიე ჟირუს** ათამაშების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ძებნით და სპეკულაციების მიუხედავად, საბოლოოდ ზაფხულში ფორვარდი ვერ ვიყიდეთ და ფრანგს ფსიქოლოგიური წნეხი მოეხსნა, ჟირუმ იმის დამტკიცება და ჩვენება დაიწყო, რომ ბევრად მეტი შეუძლიაო. ფრანგმა სპეციალისტმა ისიც დასძინა, უახლოეს თვეებში თავდამსხმელზე ნაკლებად ვფიქრობო, მაგრამ ხშირად გინახავთ, სასურველ სატრანსფერო სამიზნეებზე ღიად ლაპარაკობდნენ?

**გიორგი კაკაბაძე**



ფერნანდო ლორენტე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# B ჯგუფი: გოლანდო!


რონალდომ დუბლი შეასრულა

ერთ დროს **ანტონიო კონტე** „იუვენტუსის" ფეხბურთელი იყო, ხოლო **კარლო ანჩელოტი** მისი მთავარი მწვრთნელი. დღეს კი ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ დღის მთავარ მატჩში წარდგნენ. ოთხმცველიან ტაქტიკაზე გადართულმა ტურინელებმა მე-4 წუთზევე გაუშვეს - **ანხელ დი მარიამ** დაამტკიცა, რომ მართლაც კარგ ფორმაშია. იმ ეპიზოდში არგენტინელმა ქარივით ჩაიქროლა, **რონალდოს** მოძრაობაც დაინახა და დახვეწილი გადაცემა გაუკეთა პორტუგალიელს, რომელიც ოსტატურად გაუსწორდა **ჯანლუიჯი ბუფონს** და ანგარიში გახსნა. ტურინელთა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ „იუვე" არ გატყდა. მეტიც, სტუმრები მშვენივრად კომბინირებდნენ და მეტოქეზე უკეთაც გამოიყურებოდნენ. გარჯა „ბებერ ქალბატონს" 22-ე წუთზე დაუფასდა, როდესაც **პოლ პოგბას** თავური **იკერ კასილიასმა** კი მოიგერია, მაგრამ **ფერნანდო ლორენტეს** დამატებულს ველარაფერი მოუხერხა. აქედან 7 წუთში კი **ჯორჯო კიელინიმ** რატომღაც ხელი შემოხვია **სერხიო რამოსს**, რომელიც თავის მხრივ, მოხერხებულად დაეცა და **მანუელ გრეფემ** პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა თითი. რასაკვირველია, გარდასახვა რონალდომ შემოგვთავაზა და მისი მაჩვენებელი გამაოგნებელია - 3 მატჩში 7 გოლი!

ყველაფერი მეორე ტაიმის დებიუტში გადაწყდა - რონალდომ ჩვეულ სტილში შეიგდო ბურთი და საქმეში სისწრაფე ჩართო, კიელინიმ კი მას იდაყვი გაუწია და პორტუგალიელიც დაეცა. მანუელ გრეფეს ნამდვილად შეეძლო მხოლოდ ყვითელი ბარათით შემოფარგლულიყო, მაგრამ გერმანელმა არბიტრმა ტურინელები გაწირა, ხოლო კიელინი უდავოდ მატჩის ანტიგმირად იქცა. ამის შემდეგ, კონტემ შემადგენლობაც შეცვალა, ტაქტიკაც... ალაგ-ალაგ რამდენიმე ნახევრადმომენტი „იუვენტუსმა" შექმნა კიდეც და ბოლომდე უშანსოდ არ იყო, მაგრამ საბოლოოდ, „რეალმა" დინჯად მიიყვანა მატჩი 3 ქულამდე. მადრიდელები თავს ნამდვილად ალარ იკლავდნენ, რადგან კარლო ანჩელოტიმ დამახასიათებელი პრაგმატიზმი ჩართო საქმეში - „რეალს" 26 ოქტომბერს „კამპ ნოუზე" „ელ კლასიკო" ელის.

### რეალი–იუვენტუსი 2:1

**გოლები:** 1:0 რონალდო (4), 1:1 ლორენტე (22), 2:1 რონალდო (29-პენ.)

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო - ილიარამენდი (72. ისკო), ხედირა - დი მარია (79. მორატა), მოდრიჩი, კ. რონალდო - ბენზემა (67. ბეილი).

**იუვენტუსი (4-3-1-2):** ბუფონი - კასერესი, ბარძალი, კიელინი, ოგბონა (69. ჯოვინკო) - ვიდალი, პოგბა, პირლო (59. ასამოა) - მარკიზიო - ლორენტე (50. ბონუჩი), ტევესი.

**არბიტრი:** მანუელ გრეფე (გერმანია)

**გაფრთხილება:** ილიარამენდი, ვიდალი, კასერესი, მოდრიჩი, სერხიო რამოსი

**გაძევება:** კიელინი (48)

**კუთხური:** 4-5 **ჯარიმა:** 13-15 **თამაშგარე:** 1-1 **კარში დარტყმა:** 13-13(7-7) **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 71 000

რობერტო მანჩინის „გალათასარაიმ" მატჩის ბედი პირველსავე ტაიმში გადაწყვიტა და უმნიშვნელოვანესი 3 ქულა ჩაიჯიბა. ბედის ირონიით, „იუვენტუსის" ჯგუფში ჩარჩენაში **ფელიპე მელომ** შესაძლოა დიდი როლი ითამაშოს , მელომ, რომელიც ტურინიდან ნაწყენი გამოუშვეს. ბრაზილიელმა მე-10 წუთზე გახსნა ანგარიში. მეორე და მესამე გოლები პირველი ტაიმის მინურულს გავიდა და ორივე ემანუელ ებუეს აქტიურობას მოჰყვა, ხოლო მათი ავტორები თურქთაგან ბოლო დღეებში ცოტა მოძულებული **უესლი სნეიდერი** და მისი ალმატებულება **დიდიე დროგბა** გახდნენ. მეორე ნახევარში „გალა" მშვიდად იყო, მანჩინიმ გუნდის ენერგია დაზოგა. „კოპენჰაგენმა" ერთადერთი რაც შეძლო, მატჩის ბოლოსკენ კლოდემირის მიერ გატანილი გოლი გახლდათ, ბრაზილიელმა მოკლე და ეფექტური კომბინაცია დააგვირგვინა.

### გალათასარაი–კოპენჰაგენი 3:1

**გოლები:** 1:0 ფელიპე მელო (10), 2:0 სნეიდერი (38), 3:0 დროგბა (45), 3:1 კლოდემირი (88)

**გალათასარაი (4-3-1-2):** მუსლერა - ებუე, შეჯუ, კაია, ნუნკუ - ფელიპე მელო (76. გიულშელამი), სელჩუკ ინანი, ბრუმა - სნეიდერი (80. ამრაბატი) - დროგბა (86. უმუთ ბულუთი), ბ. ილმაზი.

**კოპენჰაგენი (4-4-2):** ვილანდი - იაკობსენი, მელბერგი, სიგურდსონი, ბენგტსონი - ბრაატენი (84. ტუტუ), კლაუდემირი, დელანი, გისლასონი (46. ბოლანიოსი) - იორგენსენი, ვეტოკელე (46. ადი).

**არბიტრი:** ალექსანდრ სტავრევი (მაკედონია)

**გაფრთხილება:** დელანი

**კუთხური:** 2-4 **ჯარიმა:** 12-17 **თამაშგარე:** 2-2 **კარში დარტყმა:** 9-8(7-4) **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 51 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 12-2 | 9 |
| 2. გალათასარაი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-8 | 4 |
| 3. იუვენტუსი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 4. კოპენჰაგენი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-8 | 1 |

**მომდევნო ტური**

5 ნოემბერი: იუვენტუსი-რეალი, კოპენჰაგენი-გალათასარაი

გიორგი პაპაზაძე

# D ჯგუფი: ყანა ჩვენ რას დაგვაკლებს?!


ფრანკ რიბერიმ ჩეხთა კარში დუბლი შეასრულა

ჯგუფის პირველ შეხვედრაში „ხიმკის" საშინელ საფარზე ცსკა-მ „სიტის" უმასპინძლა. მიუხედავად ამისა, „ქალაქელთა" ლიდერები მაინც ახერხებდნენ საკუთარი ტექნიკური არსენალის დემონსტრირებას. ამ მხრივ განსაკუთრებით **დავიდ სილვა** და **სერხიო აგუერო** გამოირჩეოდნენ. სტუმართა უკანა ხაზში არსებულმა პრობლემებმა ისევ იჩინა თავი. **ხავი გარსიამ** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დაცვაში თამაში მისი საქმე არ არის. ესპანელმა **აკინფეევის** გრძელი პასის შემდეგ მეორე სართულზე ნააგო ბრძოლა, **ტოშიჩი** მეკარესთან პირისპირ დარჩა და ტექნიკური დარტყმით ბურთი **ჰარტს** თავზე გადაავლო. „სიტიმ" მალევე უპასუხა. **იგნაშევიჩმა** მოგერიების ნაცვლად აგუეროს ბურთი მოხერხებულად გაუსწორა. არგენტინელმა ახლოდან იოლი ბურთი შეაგდო. ათ წუთში ისევ სერხიო აღმოჩნდა „საცეცხლე პოზიციაზე". „ვესტ ჰემთან" მატჩის შემდეგ ტანმორჩილმა თავდამსხმელმა ზედიზედ მეორედ დასცხო შედეგიანი თავური. თამაშის დასრულებამდე ყველაზე რეალური მომენტი სილვას შეექმნა, თუმცა ძლიერი დარტყმა ალარ გამოუვიდა და ბურთს მეკარე ადგილზე დახვდა.

### ცსკა–მანჩესტერ სიტი 1:2

**გოლები:** 1:0 ტოშიჩი (32), 1:1 აგუერო (34), 1:2 აგუერო (42)

**ცსკა (4-2-3-1):** აკინფეევი - ნაბაბკინი, ვ. ბერეზუცკი (6. ა. ბერეზუცკი), იგნაშევიჩი, შჩენიკოვი - ვერნბლუმი, მილანოვი - ზუბერი (50. მუსა), ჰონდა, ტოშიჩი - დუმბია

**სიტი (4-2-3-1):** ჰარტი - საბალეტა, ნასტასიჩი, ხ. გარსია, კოლაროვი - ფერნანდინიო, ი. ტურე - ნავასი, დ. სილვა (80. ნასრი), აგუერო (89. კლიში) - ნეგრედო (72. ჯეკო)

**გაფრთხილება:** ვერნბლუმი, იგნაშევიჩი, მუსა - ნეგრედო, ი. ტურე, საბალეტა

**კუთხური:** 3-7 **კარში დარტყმა:** 17-27 (8-10) **თამაშგარე:** 1-3 **ჯარიმა:** 12-15 **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 14 000

მეორე შეხვედრას, რაც შეეხება: მოდი, თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ მატჩის დეტალებზე ლაპარაკს, სადაც ერთი გუნდი მეორეზე ხუთჯერ მეტ პასს აკეთებს, სალ აზრს მოკლებულია. გულწრფელად ვალიარებთ, სხვანაირ შედეგს არც ველოდით, თუნდაც იმის გამო, რომ მასპინძელს მე-5 წუთზევე შეეძლო 3:0 ნაეყვანა ანგარიში. მეორე მხრივ, ალსანიშნავია, რომ წუხელ „ალიანს არენაზე" დამყარდა ჩემპიონთა ლიგის ანტირეკორდი, რომლის „გაუმჯობესებას" უკვე ველარავინ მოახერხებს - „პლზენს" **მანუელ ნოიერის** კარის მიმართულებით ერთხელაც არ დაურტყამს. ბურთს მონატრებული გერმანელი მეკარე რამდენჯერმე საჯარიმოდანაც კი გამოიქცა. მეორე ტაიმს თავისი ხიბლი შესძინეს შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა. **მარიო გიოტცემ** მოედანზე გამოჩენიდან რამდენიმე წამში გააკეთა საგოლე გადაცემა, მერე კი შეხვედრას წერტილიც დაუსვა. **არიენ რობენმა** დაასრულა სარეკორდო 5-მატჩიანი საგოლე სერია, რომელიც ჯერ კიდევ შარშანდელი გათამაშების 1/2-ფინალებში დაიწყო.

### ბაიერნი–პლზენი 5:0

**გოლები:** 1:0 რიბერი (25-პენ), 2:0 ალაბა (37), 3:0 რიბერი (61), 4:0 შვაინშტაიგერი (64), 5:0 გიოტცე (90+1)

**ბაიერნი (4-1-4-1):** ნოიერი - რაფინია, კონტენტო, ვან ბუიტენი, ალაბა - ლამი (63. გიოტცე) - შვაინშტაიგერი, კროოსი, რიბერი (67. მიულერი), რობენი - მანჯუკიჩი (71. პისარო)

**პლზენი (4-2-3-1):** კოზაჩიკი - რეზნიკი, ჩიშოვსკი, პუბნიკი, ლიმბერსკი (75. კოვარიკი) - პროპაზკა, ჰორვატი (63. დურისი) - რაიტორალი, ჰორავა, პეტრჟელა (86. ტეცლი) - კოლარჟი

**გაფრთხილება:** - პუბნიკი, ლიმბერსკი, კოზაჩიკი

**კარში დარტყმა:** 55-0 (21-0) **კუთხური:** 10-2 **თამაშგარე:** 4-1 **ჯარიმა:** 6-15 **ბურთის ფლობა:** 70%-30%

**მაყურებელი:** 68 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-1 | 9 |
| 2. სიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 3. ცსკა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| 4. პლზენი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-11 | 0 |

**მომდევნო ტური**

5 ნოემბერი: პლზენი-ბაიერნი, მანჩესტერ სიტი-ცსკა

ლევან ბიბილაშვილი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ამბები


მაიკლ კერიკი

## ახალი კონტრაქტი კერიკს

32 წლის **მაიკლ კერიკს** გადაწყვეტილი აქვს, რომ კარიერას „მანჩესტერ იუნაიტედში" დაასრულებს, შესაბამისად, კლუბისგან ის ახალ ხელშეკრულებას ითხოვს. ამჟამად მოქმედ კონტრაქტს ვადა მომავალი წლის ზაფხულზე გასდის. გაზეთების ცნობით, „ეშმაკები" მზად არიან, ფეხბურთელს „ოლდ ტრეფორდზე" დარჩენა მინიმუმ ორი წლით (ერთი წლით ავტომატურად გაგრძელების პერსპექტივით) შესთავაზონ. გარიგების ფინანსური მხარე უცნობია. ამჟამად კერიკი კვირაში 100 ათას ფუნტს იღებს. მაიკლის გარდა „იუნაიტედთან" ხელშეკრულება სეზონის დასრულებისთანავე ეწურებათ **პატრის ევრას**, ვინც კარიერას სავარაუდოდ „მონაკოში" გააგრძელებს, **რიო ფერდინანდს**, **ნემანია ვიდიჩსა** და **რაიან გიგზს**.

## გალასი ავსტრალიაში წავიდა

„ჩელსის" (2001/06), „არსენალისა" (2006/10) და „ტოტენჰემის" (2010/13) ყოფილი ფეხბურთელი, 36 წლის **ვილიამ გალასი** ივნისის შემდეგ უქმად იყო. იმის მიუხედავად, რომ თავისუფალი აგენტია, ვეტერანმა ევროპული კლუბებისგან ღირსეული წინადადება ვერ მიიღო. და აი, როგორც იქნა, ხანგრძლივი დასვენების შემდეგ მან ავსტრალიურ „პერთ გლორისთან" ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. აღსანიშნავია, რომ აქამდე მწვანე კონტინენტის ლიგაში ფრანგს არასოდეს უთამაშია.

ლევან ბიბილაშვილი

## კუენკა ოსასუნაში?

„ოსასუნა" **ისააკ კუენკას** იჯარით აყვანაზე ფიქრობს. ბოლო ტურში, „ბარსელონას" წინააღმდეგ ჩატარებულ შეხვედრაში, პამპლონური კლუბის შემტევმა **სისიმ** მძიმე ტრავმა მიიღო და მწყობრიდან რამდენიმე თვით გამოვიდა. კუენკა ნავარელებს სწორედ სისის შემცვლელად სჭირდებათ.

22 წლის ფეხბურთელი, რომელიც შარშან „აიაქსში" იყო განათხოვრებული, სათამაშო პრაქტიკის გარეშეა დარჩენილი (ამ სეზონში საერთოდ არ უთამაშია) და იჯარა მისთვისაც სასარგებლო იქნება. პამპლონური კლუბი ფორვარდს იმავე ხელფასს ვერ გადაუხდის, რასაც ის „ბარსელონაში" იღებს, მაგრამ თუ კატალონიელები ჯამაგირის ნაწილის გადახდაზე თანახმა იქნებიან, კუენკა „ოსასუნას" იანვარში შეუერთდება და სეზონს ამ გუნდში ჩაამთავრებს.

ტატო ბაციკაძე



ძიუდო. მსოფლიოს პირველობა ახალგაზრდებში

# ჭელიძის ბრინჯაო მსოფლიოზე

## მაიტა ბრინჯაო!



ჭელიძე წარმატებებს აგრძელებს

ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **ლერი ჭელიძე** (55) ამ ასაკში აწ უკვე მსოფლიოს მესამე პრიზიორია. ამ წარმატებას მან ლიუბლიანაში მიაღწია, სადაც აღნიშნული ტურნირი გუშინ დაიწყო, ჩვენებურმა კი ბრინჯაოსთვის შეხვედრაში იაპონელი **რიუჯუ ნაგაიამა** ვაზარით დაამარცხა. ამ მედლით გუნდსაც წარმატებული სტარტი გამოუვიდა, რადგან გუშინ ჩვენგან მხოლოდ ჭელიძე ჭიდაობდა (60 კილოგრამში საერთოდ არ გვყავს მონაწილე). იმედია, ჩვენები დღესაც ასე წარმატებით გააგრძელებენ.

არადა, ჭელიძემ ნაკრებში ადგილი ერთ-ერთმა ბოლომ გაინაღდა, ბოლო შეკრების მიწურულს, საკონტროლო შეხვედრების შედეგად. შარშანდელი ევროვერცხლის შემდეგ მისი საქმეები დაღმა წავიდა და კონტინენტის წლევანდელ პირველობაზე საერთოდ ვერ მოხვდა გუნდში. ეტყობა, ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ **გია გუგავას** აღლომ არც ამჯერად უმტყუნა – ის აქცენტს არა ყველა წონ ის დაკომპლექტებაზე, არამედ მედლის მოპოვების რეალურ კანდიდატებზე აკეთებს. ამიტომ იქნებ რომელიმე წონა ჩააგდოს, სანაცვლოდ კი რამდენიმე წონა გააოროს, თუ იქაურ პრეტენდენტებში უფრო მეტ შესაძლებლობას დაინახავს.

ჭელიძემ სლოვენიაში ერთადერთი შეხვედრა წააგო – მეოთხედფინალში ის ბრაზილიელმა **ვიტორ ტორენტემ** პირწმინდად დაჩაგრა და სამივე სინჯის გდება ჩაუტარა ერთი იუკოს სანაცვლოდ. ეს იმის ბრალი გვგონია, რომ დასვენება და ძალების აღდგენა ვერ მოასწრო – ჩვენებურს მერვედფინალური შეხვედრის შემდეგ ჯერ ხომ ისედაც მალე უწევდა ტატამზე გასვლა და მეტოქეს ამ მხრივ ცოტა უპირატესობა ჰქონდა, ოდნავ მეტს ისვენებდა, მისდა სავალალოდ, წინა პაექრობაც ვადაზე ადრე დასრულდა – ყველასათვის მოულოდნელად, ამ ჩემპიონატის მთავარმა სიურპრიზმა, ვენესუელელმა **არმანდო მაიტამ** სულ რაღაც ერთ წუთში იპონზე გამოცელა აზერბაიჯანელთა ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **დავუდ მამადოვი** და ჭელიძეს მოსალოდნელზე ბევრად ადრე უხმეს ტატამზე. ჩვენებური ისედაც არ გამოირჩევა კარგი ფიზიკური მომზადებით – ძალიან ბევრს იკლებს და ევროპაზეც ძირითადად ამიტომ ვერ მოხვდა ნაკრებში, ახლა კი მართლაც ცაიტნოტში აღმოჩნდა. ჭელიძე ფიზიკურად მთლად კარგ ფორმაში რომ ვერ იყო, ცხადად გამოჩნდა იმ შეხვედრებში, სადა ბოლომდე მოუწია ჭიდაობა – პირველსა და ბოლო პაექრობებში მონღოლსა და იაპონელთან, ცაიტნოტი კი მისთვის ალმართში მიწეული ქვა იყო. ძირითადად, ალბათ ამიტომ დაუთმო ინიციატივა ტორენტოსაც და ვერაფრით იპოვა საკუთარი ჭიდაობა, როცა სხვებთან ეს კარგად გამოსდიოდა. ბრაზილიელთან მან დასრულებამდე 1.9 წუთით ადრე გაიბრძოლა, როცა ლეიბიდან ბრუნზე დაატრიალა და იუკო მიითვალა. სამწუხაროდ, ეს „გედის სიმღერა" აღმოჩნდა – ამის შემდეგ მოიშალა და ჯერ ვაზარი, მერე კი იპონიც გაატარა.

მთლიანობაში, მან საკმაოდ დამაჯერებლად და ძლიერად იჭიდავა. მართალია, გამძლეობაშიც გვარიანად მოიკოჭლებდა და ტექნიკური არსენალიც ძალიან მწირი იყო, მაგრამ რასაც აკეთებდა, დახვეწილად ასრულებდა (ეგრეთ წოდებული, კოზირად ქცეული ფანდით გადიოდა ფონს) და ტაქტიკურადაც ჭკვიანურად ირჯებოდა. ამიტომ გვგონია ტორენტოსთან მისი წაგება დაღლილობის ბრალი, თორემ შესვენების შემდეგ იაპონელსაც ხომ აჯობა, მანამ ზემოხსენებული აზერბაიჯანელი მამადოვი ერთ წუთში გააბითურა, რომელიც, ვიმეორებ, ევროპის წლევანდელი გამარჯვებულია.

ლიუბლიანაში ჭელიძის კოზირად ჩავლებიდან უკუკოტრიალით, ზურგს უკან მეტოქის გადასროლა იქცა – ასე დააიპონა ავსტრიელი **მარკ ტობინი**, უზბეკი **სობიტ ხუჯამოვი** და დამამშვიდებელში –მამადოვიც. თან ყველასთან საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, ინიციატივა მტკიცედ ეპყრა ხელთ და შეხვედრის მიმდინარეობას კარნახობდა. ასე მაგალითად, ავსტრიელს თავიდანვე ქორივით დააცხრა თავს და იპონამდე იუკოც აართვა. ასევე წარმართა უზბეკთან შეხვედრაც – დიდი უპირატესობა და იპონამდე – იუკო, მამადოვზე, ამ ევროპის ჩემპიონზე კი სათქმელიც არაფერია – როგორც იტყვიან, მას მისალმებაც არ აცალა.

ჩვენებურმა პირველ შეხვედრაში მონღოლ **ბატბაირ ბარსურენს** ვაზარით აჯობა და ბოლოში იაპონელსაც ასეთივე ანგარიშით მოუგო. მომგებიანი ქულა მან მეორე წუთის მიწურულს მოიპოვა, როცა კარგად დაუჭირა ცალი ხელი, თვითონ კი წარმატებით გადაავლო, ტატამიდან ეფექტურად ააგლიჯა და ტრიალში სავაზარედ გაისროლა. ამის შემდეგ ტაქტიკაც შეცვალა – ჩავლებებსა და ჩამშლელ ჭიდაობაზე გადაერთო, ისე რისკიანად აღარ უტევდა, თუმცა გამოცერვის მცდელობაზე და შეტევის ნაკლებრისკიან მცდელობებზე უარს არ ამბობდა. თუმცა ამ შეხვედრაში დანის პირზეც იარა – დასრულებამდე 40 წამით ადრე მსაჯმა მესამედ გააფრთხილა და წაგებას თვალებშიც ჩახედა. მით უფრო, ამ დროს დაღლა უკვე აშკარად ეტყობოდა და მოძრაობაც უჭირდა. ასეთ დროს არბიტრს ბევრი რეალური საბაბი ეძლევა გასაფრთხილებლად, მაგრამ არც თვითონ მოიქცა ძალიან მკაცრად (მით უფრო – უსამართლოდ) და ჩვენებურმაც სწორი ჩავლებით ბევრი გასაქანი არ მისცა ნაგაიამას. პირიქით – უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ბოლო წამები თვითონ გაატარა შეტევაში.

ტურნირი ფრანგმა **ვინსენტ მანქომ** მოიგო, ვინც ევროპის წლევანდელი ფინალისტია – მამადოვთან წააგო. ვფიქრობთ, ყველასთვის მოულოდნელი იყო სლოვენიურ ფინალში ვენესუელელი მაიტას გასვლა. არადა, მან წლეულს ბრინჯაო მოიპოვა პანამერიკის თამასებში უფროსებშიც და ახალგაზრდებშიც და მოიგო პანამერიკის თასი, რაც ევროპული ღია იქაური თასის ანალოგია. თან რამდენიმე ვენესუელელმა აგვისტოში რიოში გამართულ მსოფლიოს პირველობაზეც ნორმალურად იჭიდავა (საგულისხმოა, რომ მათ ნაკრებს ქალი წვრთნის). ამდენად, ეს ქვეყანა თანდათან იკრებს ძალას ძიუდოში... ლიუბლიანაში კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ბრაზილიელი ტორენტო დადგა.

დღეს ლუბლიანაში სამი ქართველი იასპარეზებს: **გელა კელიხაშვილი** (66), **ლევან გუგავა** და **ფრიდონ გიგანი** (ორივე – 73). კელიხაშვილი პირველ წრეში მონღოლ **ტუმენნასან ერდენეტოგტოკს** შეხვდება, ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი გუგავა - პოლონელ **დამიენ სტეპიენს**, გიგანს კი მეტოქედ იტალიელი **ანტონიო ესპოზიტო** ერგო.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი**

**ბიჭები**

**50 კგ.** 1. ვინსენტ მანქო (საფრანგეთი); 2. არმანდო მაიტა (ვენესუელა); **3. ლერი ჭელიძე (საქართველო)**; 2. ვიტორ ტორენტო (ბრაზილია).

**60 კგ.** 1. ბაულ ანი (კორეა); 2. დიორბეკ უროზბოევი (უზბეკეთი); 3. აჰმეტ შაჰინ კაბა (თურქეთი), იუმა ოშიმა (იაპონია).

**გოგონები**

**44 კგ.** 1. ანასტასია პავლენკო (რუსეთი); 2. ანდრეა სტეფანესკუ (რუმინეთი); 3. ოლფა საოუდი (ტუნისი), ჰონოკა იამაუჩი (იაპონია).

**48 კგ.** 1. ირინა დოლგოვა (რუსეთი); 2. ალექსანდრა პოპი (რუმინეთი); 3. ამანდინე ბუჩარდი (საფრანგეთი), ტამამი იამაზაკი (იაპონია).

ხელბურთი



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ეროვნულ ნაკრებს სამინისტროში უმასპინძლეს

წლეულს 30 ოქტომბერს სტარტს აიღებს ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც ევროპიდან 20 გუნდი იასპარეზებს. ისინი 5 ჯგუფში არიან განთესილი. პირველ ჯგუფში საქართველოსთან ერთად ლიტვა, თურქეთი და ფინეთი იასპარეზებს პლეი ოფში გასასვლელი ერთადერთი საგზურისთვის. გუშინ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის მესვეურებს, ეროვნული ნაკრების წევრებსა და მწვრთნელებს სპორტისა და ახალგაზდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი** და მისი მოადგილე **თამაზ თევზაძე** შეხვდნენ. შემდეგ ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე რამდენიმე თემაზე გამახვილდა ყურადღება, კერძოდ, თუ როგორ ემზადება ნაკრები 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. ითქვა, რომ ნაკრები ამჟამად თბილისშია და სერბი სპეციალისტის - **ჯორჯ რასიჩის** ხელმძღვანელობით სასპორტო კომპლექს „არენაში" ფიზიკური კონდიციების ამაღლებასთან ერთად მომავალ მეტოქეებთან საპაექროდ ტაქტიკურ-ტექნიკურ არსენალს ამუშავებს. ეროვნული გუნდი 26 ოქტომბერს კიევში გაემგზავრება და 27-28 ოქტომბერს უკრაინის ნაკრებთან ორ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავს. 29 ოქტომბერს ქართველი ხელბურთელები ვილნიუსში ჩაფრინდებიან და 30 ოქტომბერს ლიტველებთან შესარჩევი ეტაპის პირველ ორთაბრძოლას გამართავენ. ამავე დღეს ფინელები თურქებს შეხვდებიან. 3 ნოემბერს ჩვენი ბიჭები ფინელებს 18 საათზე სპორტის სასახლეში უმასპინძლებენ. ლიტვის ნაკრები კი თურქეთში ითამაშებს. შესარჩევი ეტაპის დანარჩენი შეხვედრები 2014 წლის 2 იანვრიდან განახლდება.

პრესკონფერენციაზე ისიც აღინიშნა, რომ არანაკლები ბრძოლა მოგველის 27 ოქტომბერს ყატარში, სადაც ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართება. ამ ფორუმზე უნდა გაირკვეს, 2017 წელს 19-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატს თუ ვინ უნდა უმასპინძლოს. განაცხადი ორ ქვეყანას აქვს შეტანილი - საქართველოს და ხორვატიას. ვის მიანიჭებენ უპირატესობას, სამიოდე დღეში გაირკვევა.

აქვე საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრების შემადგენლობასაც გაგაცნობთ:

**მეკარეები:** შოთა თევზაძე, გიგა ტორონჯაძე; მოედნის მოთამაშეები: **სერგო დათუკაშვილი, ვლადიმერ რუსია, რატი მსხვილიძე, რევაზ ჭანტურია, ირაკლი ჩიქოვანი, აკაკი ტალახაძე, ლევან ბერძენიშვილი, ილია გოგალაძე, გიორგი გვაზავა, უჩა გამზარდია, ზურაბ აბრამიშვილი, ოთარ ამირანაშვილი.** მთავარი მწვრთნელი: ჯორჯ რასიჩი, მწვრთნელები: **ირაკლი კეკელიძე, ბექა ორჯონიკიძე.**

**ვაჟა დანელია**

თავისუფალი ჭიდაობა. ნაკრები

# ტარასიდან კადიროვამდე

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ხუთკაციანი გუნდი გუშინ ყაზახეთში გაფრინდა, სადაც 25-26 ოქტომბერს ქალაქ ტარასში (ყოფილი ასტარა) საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებს. **დავით პოლოსიანის** ხელმძღვანელობით იქ **გიორგი ედიშერაშვილი, გიორგი ლობჟანიძე** (ორივე – 60), **იაკობ მაქარაშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84) და **ომარ გუსოშვილი** (100) გაემგზავრნენ. იქ **კონსტანტინე ხაბალაშვილიც** (66) უნდა წასულიყო, მაგრამ ბოლო დღეებში ვარჯიშზე მხარი იტკინა და მის ნაცვლად ლობჟანიძე გაემგზავრა.

აღსანიშნავია, რომ იქ მასპინძლებმა საკუთარი ხარჯით მიგვიწვიეს. ჩვენები პირველად შარშან გამოვიდნენ ამ შეჯიბრებაში და მაშინ ედიშერაშვილი მესამეზე გავიდა, მძიმე წონაში კი **გიორგი საკანდელიძემ** გაიმარჯვა.

სამაგიეროდ, ჩვენები წლეულს პირველად გამოვლენ გროზნოში, ჩეჩნეთის პრეზიდენტ **რამზან კადიროვის** სახელობის ტურნირში, რომელიც წლეულს მეხუთედ ტარდება. ის პირადად კადიროვის ინიციატივაა და მისი პრესტიჟის ასამაღლებლად არც ფულს იშურებს და არც – ძალისხმევას.

ამ ტურნირში საჭიდაოდ ამ დილით იქ ქართველ „თავისუფალთა" სამკაციანი გუნდი გაემგზავრა **მარლენ ოსიყმაშვილისა** და **არჩილ ქიტიაშვილის** ხელმძღვანელობით – **მალხაზ ზარქუა, მალხაზ ქურდიანი** (ორივე – 60) და **დავით მოძმანაშვილი** (120). ეს შეჯიბრება შაბათ-კვირას იმართება.

**ირაკლი თავაძე**



გიორგი ედიშერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი. ინტერვიუ გია გიორგაძესთან

# რეზერვს მწვრთნელთა კორპუსის გაძლიერებაში ვხედავ

ამას წინათ ბუდვაში (ჩერნოგორია) დამთავრდა 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს 27 წარმომადგენელი მონაწილეობდა, თუმცა ვერც ერთი მათგანი კვარცხლბეკს ვერ შესწვდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ **გია გიორგაძეს** ვესაუბრეთ.

- ფაქტებით მინდა დავიწყო: ასაკობრივ პირველობებში ყოველთვის ორ-ორ მოჭადრაკეს ვაფინანსებდით - საქართველოს ჩემპიონებს მსოფლიოს, ვერცხლის მედალოსნებს კი ევროპის პირველობებზე. წლეულს დებულებაში ცვლილებები შევიტანეთ და 8-10-12 წლის მოჭადრაკეებისთვის, სადაც წარმატების მეტი შანსი გვქონდა, თანაც კონტინენტის პირველობაზე, თითო ადგილი დავამატეთ. ამასთანავე, თხოვნით მივმართეთ რამდენიმე ქალაქის მესვეურთ და მათაც რამდენიმე მოთამაშე დააფინანსეს. იმის თქმა მინდა, რომ ქართველ მოჭადრაკეთაგან, ვისაც ოდნავ მაინც ჰქონდა მედლის მოპოვების შანსი, შინ არ დაგვიტოვებია.

ბუდვაში წამსვლელთათვის ცალკე მოვაწყვეთ შეკრებები. ახალგაზრდებთან მეცადინეობებს ატარებდნენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ხვიჩა სუპატაშვილი, დიდოსტატი ლაშა ჯანჯღავა, რომელიც არა მარტო საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო თეორეტიკოსად მიიჩნევა, და დათო ჯოჯუა - ხვიჩა სუპატაშვილი, ლაშა ჯანჯღავა და ლევან ბახტაძე. ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ ჩერნოგორიიდან უმედლოდ არ დავბრუნდებოდით; მართალი გითხრათ, უფრო უმცროსი ასაკის მოჭადრაკეების იმედი გვქონდა. დიანა ლომაიამ, თამარ ესაძემ, ნიკოლოზ კაჭარავამ ხომ წლეულს ბუდვამდე თითქმის ყველა ასპარეზობა მოიგეს. იქ კი ვერაფერს გახდნენ. სხვებზე უკეთ სწორედ უფროსი ასაკის მოჭადრაკეები გამოვიდნენ, ვისიც ნაკლებად გვეიმედებოდა.

**- ლოკალური შეკრებები კარგია, მაგრამ მოჭადრაკეებთან მთელი წლის განმავლობაში მუშაობაა საჭირო. მოზარდებთან მომუშავე მწვრთნელებზე რას იტყვით?**

- ცოდვა გამხელილი ჯობია - მწვრთნელების მხრივ მართლაც დიდი დეფიციტი გვაქვს: მოგვიმრავლდნენ თვითნასწავლი მწვრთნელები, ამიტომ შედეგებიც არ ჩანს. დიდი დალი დაგვასვა თავის დროზე სპორტის აკადემიის გაუქმებამ. ყველაფერს ვილონებთ, მომავალ სპორტის უნივერსიტეტში ჭადრაკის მწვრთნელთა სპეციალობის ალსადგენად. ტალანტების ნაკლებობას არ განვიცდით, ამიტომ სამომავლო რეზერვს მწვრთნელთა კორპუსის გაძლიერებაში ვხედავ. იმათ მოსაზრებასაც ვიზიარებ, ვინც ამბობს, რომ ჭადრაკის ფედერაციამ მწვრთნელების კვალიფიკაციაზე მეტი უნდა იზრუნოს. მესმის, რომ ოჯახი ჰყავთ სარჩენი და რამდენირებას მაინც აწყობთ. ხომ არ იქნებოდა სასურველი, თითოეულ ასაკში საქართველოს პირველობებზე პირველ-მეექვსე ადგილებზე გასული მოჭადრაკეებისთვის იმ საწვრთნელი შეკრებებისას გრან პრი გაგვეთამაშებინა ოთხ ეტაპად, სამი საუკეთესო შედეგი საერთო ჩათვლაში შესულიყო და გამარჯვებული დამატებით დაგვეფინანსებინათ ევროპის პირველობაზე გასამგზავრებლად.

- საინტერესო მოსაზრებაა. ფედერაციის სხდომაზე განვიხილავთ, რა ფორმით ჩავატაროთ ეს შეჯიბრება. მთავარია, დროის გამოთავისუფლება. მომავალი წლიდან ამ მხრივაც უკეთესი მდგომარეობა გვექნება. საქმე ის არის, რომ საქართველოს ასაკობრივი პირველობების ჩასატარებლად კონკურსი გამოვაცხადეთ; უკვე მივიღეთ განაცხადები ქუთაისიდან, ფოთიდან და მარნეულიდან. ქუთაისის მერიამ გვაცნობა, რომ მოზარდთა შეჯიბრებების საპრიზო ფონდისთვის 15.000 ლარს გამოყოფენ, რაც სოლიდური დაფინანსებაა. მარნეულს მხარში ამოუდგა კომპანია „სოკარი". გამარჯვებულებს ლეპტოპებით დავაჯილდოვებთო თან თბილისიდან მარნეულში წასაყვანად და უკან დასაბრუნებლად შეჯიბრების მონაწილეებს ყოველდღიურად კომფორტული ავტობუსი მოემსახურება. ასე რომ, საინტერესო წინადადებები შემოგვთავაზეს. რაც მთავარია, რეგიო-



საქართველოს ქალთა ნაკრებისა და დიდოსტატ ბელა ხოტენაშვილის პირადი მწვრთნელი. მოზარდთა მომზადების საქმეში აქტიურად ჩაერთო თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო აკადემია. კარგად გვესმის, რომ მარტო წვრთნით შორს ვერ წავალთ. ახალგაზრდებისთვის სათამაშო პრაქტიკის მისაღებადაც რამდენიმე ტურნირი გავმართეთ. ასაკობრივი პირველობების გარდა, ისინი მონაწილეობდნენ ბუხუტი გურგენიძის, შოთა ინწკირველისა და ვახტანგ ქარსელაძის მემორიალებში, ტყიბულისა და ბათუმის ბავშვთა ტურნირებში, ევროპის თასზე, რომელსაც ურეკმა უმასპინძლა, ნანა ალექსანდრიის თასზე ფოთსა და ნონა გაფრინდაშვილის თასზე - თბილისში. რამდენიმე მოჭადრაკე ჯერმუკის ორ ტურნირზე გავგზავნეთ. ასე რომ, საკმაოდ დატვირთული გრაფიკი გვქონდა. ბუდვაში ევროპის პირველობის ორგანიზატორებმა მოასპარეზეებს თამაშისა და აქტიური დასვენების ყოველგვარი პირობა შეუქმნეს. ისიც მინდა დავძინო, რომ შეჯიბრებაზე წავიყვანეთ ნიჭიერი მოჭადრაკეები - ირაკლი ბერაძე და ნატო იმნაძე, რომლებსაც ამ პირველობის საგზური არ ჰქონდათ. ბუდვაში ჩვენს გოგო-ბიჭებს კონსულტაციებს უწევდნენ მე ადგილას მუშაობენ, ხარისხზე მეტად რაოდენობაზე ზრუნავენ, მაგრამ მოზარდებმა რა დააშავეს. მეტი უნდა ვიფიქროთ ამ პრობლემის მოგვარებაზე და დროულად გადავდგათ ნაბიჯები. თუმცა ფედერაცია ყველაფერს ვერ გასწვდება ფინანსურად, ამიტომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანადგომით გვინდა რეგიონებში თითო კვალიფიციური მწვრთნელი მაინც გვყავდეს, რომლებთანაც პირადი მწვრთნელების დახმარებით ოსტატობას აიმაღლებენ განსაკუთრებით ნიჭიერი მოჭადრაკეები. მუნიციპალიტეტები ამგვარი მწვრთნელების თუნდაც ნილობრივ დაფინანსებაზე თუ დაგვთანხმდებიან, დიდი საქმე გაკეთდება. შეკრებებზე მყოფ მწვრთნელებს არაერთხელ დაუჩივლიათ, ბავშვები დებიუტებში ვერ ერკვევიანო, ან უფრო დახურულ დებიუტებს მიმართავენ. ჩვენს დროს კი პირიქით იყო - მასწავლებლები უფრო ღია დებიუტებს გვათამაშებდნენ, რომ ფანტაზიისთვის მეტი გასაქანი მიგვეცა. სამწუხაროდ, დღევანდელ მოზარდთა პარტიებში იშვიათად ნახავთ თვითშემოქმედებას.

**- თქვენ თქვით, რომ ნიჭიერი მოჭადრაკეებისთვის წელიწადში 3-4 შეკ**ნებში საქართველოს პირველობების გამართვა პერიფერიებში ჭადრაკს გამოაცოცხლებს.

**- სასკოლო ჭადრაკზეც მინდა გკითხოთ: გარი კასპაროვის პროექტი რატომ არ ამოქმედდა?**

- ჩვენი მხრიდან ამ პროექტს დაბრკოლება არ ექნება, შევარჩიეთ 100 სკოლა და ამდენივე მწვრთნელი, რომლებიც მოსწავლეებთან იმუშავებენ. მათს გადამზადებასაც ვაპირებდით, მაგრამ განათლების სამინისტრომ ეს პროექტი დააკონსერვა. საქმე ის არის, რომ მის ასამუშავებლად სერიოზული პრობლემები არ არსებობს: გასარკვევია, მეცადინეობების ჩასატარებლად ერთი თუ ორსაათიანი გაკვეთილებია ოპტიმალური, თან რომელი კლასიდან დაიწყოს მისი ამოქმედება, როგორ ჩაჯდეს სასწავლო პროგრამაში. საცოდაობაა, ასეთი პროექტი გქონდეს და ვერ იყენებდე. იმედია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ყველა ღონეს ვიხმართ მის ასამუშავებლად, მაშინ ტალანტების მოძიებაც გაგვიადვილდება და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასაც ხელი შეეწყობა.

**ვაჟა დანელია**

ალპინიზმი



ლევან ყიფიანი აჯილდოებს ბიძინა გუჯაბიძეს (მარცხნივ) და ლევ სარქისოვს

# 90 წლის იუბილე

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და მთამსვლელთა ფედერაციის ერთობლივი ორგანიზებით, 22 ოქტომბერს საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გაიმართა ქართული ალპინიზმის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი დასკვნითი საიუბილეო სალამო.

ღონისძიებაზე საზეიმოდ დაჯილდოვდნენ მოქმედი და ვეტერანი მთამსვლელები, მათ შორის რამდენიმე ვეტერან სპორტსმენს - **აფი გიგანს, რომან გიუტაშვილს, ბიძინა გუჯაბიძეს, ლევ სარქისოვსა და ბენო ქაშაკაშვილს** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა - **ლევან ყიფიანმა** სპორტის რაინდისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდებები გადასცა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, რამდენიმე ვეტერანი მთამსვლელი წარდგენილია ღირსების ორდენზე.

მთამსვლელობის 90 წლის იუბილეს აღსანიშნავ დასკვნით საზეიმო ღონისძიებას ვეტერანი მთამსვლელები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, მოწვეული სტუმრები და ჟურნალისტები დაესწრნენ.

სალამოზე, რომელიც ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს - **ელგუჯა ბერიშვილს** მიყავდა, ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი ალპინიზმის ისტორიის შესახებ, სტუმრებმა ასევე მოისმინეს მოხსენება მთამსვლელობის 90-წლიანი სპორტული ისტორიის თაობაზე.

**„საქართველოს სპორტის რაინდის" წოდება მიენიჭათ**

**1. აფი გიგანი**

„თოვლის ჯიქი", ევერესტზე პირველამსვლელი ქართული ჯგუფის წევრი

**2. რომან გიუტაშვილი**

სპორტის ოსტატი, „თოვლის ჯიქი", ევერესტზე პირველამსვლელი ქართველი

**3. ბიძინა გუჯაბიძე**

„თოვლის ჯიქი", ევერესტზე პირველამსვლელი ქართული ჯგუფის წევრი

**4. ლევ სარქისოვი**

„თოვლის ჯიქი", ევერესტზე პირველამსვლელი ქართული ჯგუფის წევრი

**5. ბენო ქაშაკაშვილი**

ევერესტზე პირველამსვლელი ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი; პირველი და დღემდე ერთადერთი ქართველი, რომელმაც ყველა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალი დალაშქრა

**„საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის" წოდება მიენიჭათ**

**1. ბესარიონ ბაქრაძე**

საქართველოს მეკლდეურთა თითქმის ყველა შეჯიბრების მსაჯი და ერთ-ერთი ორგანიზატორი

**2. გიორგი ბერძენიშვილი**

სპორტის ოსტატი, არაერთი ალპინისტური ექსპედიციის ხელმძღვანელი

**3. ნოდარ კანკავა**

საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი

**4. ლუიზა ნარიმანიშვილი**

საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი ქალი 1960-70-იან წლებში

**5. ზაურ ჩართოლანი**

მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი

**6. ივანე ჯაფარიძე**

მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ალ.ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპიური კლუბის ყოფილი დირექტორი

**7. ვლადიმერ ქურასბედიანი**

მთამსვლელობაში და მეკლდეურობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ალპიური ბანაკის „ზესხოს" დირექტორი

**8. პირიბე გვარლიანი**

სპორტის ოსტატი, მიხეილ ხერგიანის ჯგუფის უცვლელი წევრი

**9. ზურაბ კუჭავა**

საქართველოს მთამსვლელთა და მეკლდეურთა ასოციაციის პრეზიდენტი.

**სამინისტროს პრესსამსახური**

ჩოგბურთი

# მოგებით დაიწყო

ამერიკული ფლორენსი ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირს (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მასპინძლობს. თბილისელმა **ანა ტატიშვილმა** ასპარეზობის სტარტზე გუშინ უაილდ ქარდით მიწვეული ჩალენა შოლი (აშშ) გაანადგურა - 6:0, 6:1. მეორე წრეში ჩვენებური ამერიკელი ქეითლინ მკარდის მძლეველ (6:3, 6:2) ჯოსი კულმანს (აშშ) დაუპირისპირდება.

წარმატებით ითამაშა იაპონურ ჰუმამაცუში 25.000-იანი ტურნირის წყვილთა პაექრობაში **სოფიო შაფათავამ** - შვეიცარიელ ბელინდა ბენჩიჩთან ერთად იაპონელებს - მიიაბი ინოეუს და ჩიაკი ოკადაეს (ორივე - იაპონია) მოუგო - 3:6, 6:2, 10:5 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც კუმიკო იჯიმას და აკიკო იონემურას (ორივე - იაპონია) დუეტთან გაარკვევს ურთიერთობას.



ანა ტატიშვილი

ანტალიის (თურქეთი) 10.000-იან ტურნირს შემორჩა **ეკატერინე გორგოძე,** რომელმაც, როგორც ერთეულებში, ისე წყვილებში, პირველი ბარიერი დაძლია. რაც შეეხება **სოფიო ქვაცაბაიას,** გუშინ იგი კიმბერლი ციმერმანთან დამარცხდა - 1:6, 4:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა, რადგან მანამდე წყვილებშიც ესენ კოკჩესთან (თურქეთი) ერთად დათმო პირველი წრის შეხვედრა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები ევროთასზე

# შერმადინის 14, სარაგოსას –4

ევროთასის წლევანდელ გათამაშებაში მეორე მატჩი ჩაატარა ქართველთა „სარაგოსამ". იგი გერმანიას ესტუმრა და ბერლინის „ალბასთან" სამი ქულის სხვაობით, 68:71 დამარცხდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სარაგოსელებმა (რომელთა სასტარტო ხუთეულში იყო **გიორგი შერმადინი**, ხოლო სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო **ვიქტორ სანიკიძე**) შეხვედრა კარგად დაიწყეს, პირველი პერიოდი 21:15 მოიგეს, მეორე და მესამე ათწუთეულების შემდეგაც წინ იყვნენ, მაგრამ მეოთხე რაუნდში მასპინძლებმა 7 ათას გულშემატკივარს იმედი არ გაუცრუეს 16:11 იმარჯვეს და, როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, ესპანელებს გამარჯვება არ დაანებეს.

ევროთასის პირველ ტურში „სარაგოსამ" „მონსი" დაამარცხა და სადღეისოდ, ისევე როგორც ესპანეთის პირველობაზე, თითო მოგება-წაგება აქვს. სატურნირო ცხრილს ბოლოს შემოგთავაზებთ, აქ კი გეტყვით, რომ მომდევნო ეტაპზე ყოველი ჯგუფიდან 3 საუკეთესო გუნდი გავა. მათ დაემატებათ ევროლიგის პირველი ეტაპიდან გამოვარდნილი რვაეული და ევროთასის მეორე ეტაპზე 8 ოთხგუნდიანი ჯგუფი შედგება.

დავუბრუნდეთ ბერლინურ შეხვედრას, რომელშიც გიორგი შერმადინმა 26 წუთი ითამაშა, 14 ქულა (8-დან 4 ორქულიანი, 6-დან 6 საჯარიმო), 6 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო - 16.

ვიქტორ სანიკიძესთვის „ალბასთან" დაპირისპირება შარშანდელივით კარგად გასახსენებელი ვერ გამოდგა (შეგახსენებთ, გასულ სეზონში სანიკიძემ „მონტეპასკისთან" ერთად გერმანიიდან ორი ქულა წამოიღო). ქართველმა ფორვარდმა 25 წუთში 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა. ვიქტორი შეტევაში ჩვეული სიზუსტით ვერ გამოირჩა: 6-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, ხოლო სამი სამქულიანი ტყორცნიდან მიზანს ერთმაც ვერ მიაღწია.

„სარაგოსა" ევროთასზე მომდევნო თამაშს 30 ოქტომბერს ისევ გერმანიაში გამართავს - რევანშის შანსი ბონის „ტელეკომთან" მიეცემა.

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| ალბა (გერმანია) | 2 | 2 | 0 | 4 |
| გრაველინი (საფრანგეთი) | 2 | 2 | 0 | 4 |
| სარაგოსა (ესპანეთი) | 2 | 1 | 1 | 3 |
| რომა (იტალია) | 2 | 1 | 1 | 3 |
| მონსი (ბელგია) | 2 | 0 | 2 | 2 |
| ბონი (გერმანია) | 2 | 0 | 2 | 2 |

პრეზენტაცია



მარცხნიდან: ზურაბ თალაკვაძე, დავით გიორგობიანი და მიხეილ გაბრიჩიძე

# მიხეილ გაბრიჩიძე პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინეს

**მიხეილ ახვლედიანი, ვლადიმერ ბოისა, კახა შენგელია**... ამ თანმიმდევრობით განაცხადეს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის სურვილი ზემოთ ჩამოთვლილმა კანდიდატებმა. მათ გუშინ **მიხეილ გაბრიჩიძე** შეუერთდა. „ჰიუნდაი ავტო საქართველოს" ხელმძღვანელმა დავით გიორგობიანმა პრეზენტაციაზე „თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირისა" და საკალათბურთო სოლა „ჰიუნდაის" ერთობლივი განცხადება გაგვაცნო:

*„საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მომავალი არჩევნები უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ამ პროცესმა მომავალი ოთხი წლის განმავლობაში უნდა განსაზღვროს ფედერაციის მართვის სადავეებში მყოფი პიროვნებების და იმ გუნდის ვინაობა, თუ ვის ანდობს საკალათბურთო საზოგადოება ჩვენი უსაყვარლესი სპორტის სახეობის მართვას. კალათბურთის მომავალი და პერსპექტივა ჩვენი საერთო საქმის მომავალი და პერსპექტივაა. ეს ჩვენი ცხოვრების დიდი ნაწილია.*

*ბოლო პერიოდში გავდიოდით კონსულტაციებს საკალათბურთო და ბიზნეს-წრეებთან, სპეციალისტებთან, გულშემატკივრების ჯგუფებთან და მივილეთ გადაწყვეტილება, რომ საკალათბურთო საზოგადოებას და ქართული სპორტის გულშემატკივარს წარვუდგინოთ ჩვენი საერთო კანდიდატი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე, მიხეილ გაბრიჩიძე."*

იგი სხვადასხვა დროს თამაშობდა „დინამოში", სტუ-ში, „შევარდენში", „მერანსა" და სდასუ-ში; 1983 წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ითამაშა; ამჟამად კი „ჰიუნდაი ავტო საქართველოს" ტოპ მენეჯერია.

მოვუსმინოთ თავად მიხეილ გაბრიჩიძეს:

*- კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა 1-2 დღეში არ გადამიწყვეტია. ჩემს გუნდთან ერთად დიდი ხნის განმავლობაში ვბჭობდი აღნიშნულ საკითხზე და გადაწყვეტილება ერთობლივად მივიღეთ. 40 წელიწადია კალათბურთში ვარ. კარიერის დასრულების შემდეგაც არ გამიწყვეტავს კავშირი სპორტთან, სხვადასხვა ფორმით ვმონაწილეობდი, რისი გაკეთებაც შემეძლო, ვაკეთებდი კალათბურთისთვის. ჩვენი კომპანია საქართველოში ერთ-ერთი წარმატებულთაგანია და კალათბურთს მხარში უდგას. ბიზნეს-წრეებთან და უცხოელებთან კავშირი დამეხმარება ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ორგანიზაციის კარგად მართვაში. ამასთან, ყველას გვერდში დგომას ვთხოვ.*

ჟურნალისტებმა ბატონ მიხეილს ქართულ საკალათბურთო სამყაროში არსებულ დაპირისპირებაზე საკუთარი აზრის გამოთქმა ვთხოვეთ.

*- სამწუხაროა, რომ მედიის საშუალებით ვრცელდება ინფორმაციები ზემოთ ნახსენებ სიტუაციაზე. ამას დაპირისპირებას ვერც დავარქმევდი, უფრო გაუგებრობაა. არადა, შეიძლება ორივე მხარე პირისპირ დაჯდეს და დისკუსია-კამათში გადაწყვიტოს ყველა საჭირბოროტო საკითხი. თუ საჭიროა, ამ საქმეში მეც დავეხმარები. საკალათბურთო სამყარო პატარაა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აქ არამეგობარი არ მყავს.*

ინტერვიუ გია სანაძესთან

# როცა 9 წაგებას ვახსენებთ, 9 მოგებაზეც უნდა ვთქვათ

90-იან წლებში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ბომბარდირი **გია სანაძე** გახლდათ. 20 მატჩში მას 220 ქულა აქვს ჩაგდებული. მისი ვაჟი დუდა კვალს მიჰყვა და წლეულს პირველად მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა. იგი ამჟამად ამერიკაშია და სან დიეგოს უნივერსიტეტთან ერთად ახალი ეზონისთვის ემზადება.

გუშინ გავესაუბრეთ გია სანაძეს როგორც ამერიკულ, ასევე ქართულ კალათბურთში ბოლო დროს განვითარებულ ამბებზე.

*- დუდას ამერიკაში წასვლამდე საქართველოს უმაღლეს ლიგაში ჰქონდა ნათამაშები, რაც უკვე პროფესიონალურ კალათბურთად ითვლება და ამიტომ კოლეჯების ლიგის ხელმძღვანელობამ შარშან თამაშის უფლება არ მისცა. გასულ სეზონში დუდა მხოლოდ ვარჯიშობდა და ემზადებოდა წლევანდელი პირველობისთვის. წინასასეზონო შეხვედრები ნოემბერში დაიწყება, რასაც მალე ოფიციალური შეჯიბრება მოჰყვება. მინდა ჩემი მოსაზრება დავაფიქსირო ამერიკაში კალათბურთისადმი მიდგომაზე. იქ მიაჩნიათ, რომ თუ განათლებული არ ხარ, დიდი კალათბურთის თამაშის მცირე შანსი გაქვს. ამიტომ კოლეჯებში დიდ ყურადღებას აქცევენ სწავლას, თუ დაბალ ნიშანს მიიღებ, თამაშის უფლება არ გექნება. ასეთი მიდგომა ჩემთვის მისაღებია, თუმცაღა დუდა ძალიან დატვირთულია: დღეში 4 საათი ვარჯიშობს, დადის გაკვეთილებზე და დამატებით სამი მასწავლებელი დაუქირავეს...*

მკითხველს შევახსენებთ, რომ გია სანაძემ საკალათბურთო კარიერა 90-იანების ბოლოს დაასრულა. მას მერე ჯერ ბავშვთა საკალათბურთო აკადემიას დირექტორი იყო, შემდეგ - „დინამოს" მენეჯერი, ამჟამად კი „ჰიუნდაის" საკალათბურთო სკოლის დირექტორია.

*- მეამაყება, რომ ჩვენი კლუბი წარმატებით გამოდის სხდასხვა შეჯიბრებებში. მაგალითად, 2012-13 წლების სეზონში მოვიგეთ 18, 14 და 13-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატები. წლეულსაც კარგი გუნდები გვყავს. ჩვენი მთავარი ამოცანა ახალგაზრდა თაობის სწორად აღზრდაა.*

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი **მიხეილ გაბრიჩიძე** სწორედ კომპანია „ჰიუნდაი ავტო საქართველოს" ტოპ მენეჯერია. გია სანაძემ მასზეც ილაპარაკა:

*- რამდენიმე წელიწადია ფუნქციონირებს „ჰიუნდაის" საკალათბურთო სკოლა, რომელშიც ბევრი ბავშვი უფასოდ ვარჯიშობს. ამასთან, მიხეილ გაბრიჩიძეს კარგი მენეჯერული თვისებები, კონტაქტი აქვს უცხოელებთან და ვთვლი, რომ პრეზიდენტის პოსტზე ნამდვილად კარგი კანდიდატია.*

საინტერესოა ვეტერანი გია სანაძის მოსაზრება ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების წინ შექმნილ სიტუაციაზე.

*- როცა საქმე გვაქვს არჩევით პოსტთან, ორი და მეტი დაპირისპირებული მხარე აუცილებლად გამოჩნდება. ჯანსაღი კონკურენცია ყველა სფეროში მისაღებია, მაგრამ ერთმანეთზე გადაბრალება და ყველაფერზე ხაზის გადასმა არ შეიძლება. იოლია ლაპარაკი, როცა საქმეში ბოლომდე არ ხარ ჩახედული. შეიძლებოდა ფედერაციას ზოგი რამ უკეთესად გაეკეთებინა, მაგრამ ბევრი კარგიც ხომ გაკეთდა? როცა ვამბობთ, კალათბურთში საქმე ცუდადაა, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა წლეულს 9 თამაში წააგო, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შარშანწინ 9 მოიგო და ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. საქართველო იმ რესურსის ქვეყანა არ არის, სადაც ყველა თაობაში შეიძლება ძლიერი გუნდის გაკეთება. ჩვენთან აღმავლობების პარალელურად ჩავარდნებს თავს ვერ ავარიდებთ,* - გვითხრა გია სანაძემ და დაამატა:


გია სანაძე კალათბურთელობისას

*- სპორტის განვითარებაში დიდი წვლილი სახელმწიფომ უნდა შეიტანოს. მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რა მნიშვნელობა აქვს სპორტს ქვეყნისთვის. იგი მარტო ჯანმრთელობა როდია. მაგალითად, ამერიკაში გართობის საშუალება და უსაქმურობასთან ბრძოლის პირველი ხერხია. იქ ყოველ შაბათ-კვირას ასიათასობით ადამიანი ამერიკული ფეხბურთისა თუ ბეისბოლის თამაშს ესწრება, კალათბურთის დარბაზებიც გადატენილია. ხალხს აქვს დროის კარგად გატარების საშუალება. რაც შეეხება სპორტსმენებს, ბევრია ისეთი, რომლებსაც მიდრეკილება ცუდისკენ აქვს, მაგრამ სპორტი ფულის შოვნის უკეთეს შანსს აძლევს და ამიტომაც ამჯობინებს მოედანზე გასვლას ქუჩაში ყოფნას. მაგალითისთვის უამრავი სპორტსმენის მოყვანა შეიძლება, რომლებიც სპორტით რომ არ დაკავებულიყვნენ, ციხეს ვერ ასცდებოდნენ. საქართველოში კი ყველა სპორტი მშობლების ხარჯზეა. თუ გვინდა 10-15 წლის შემდეგ ძლიერი, სალი ქვეყანა გვქონდეს, ახალგაზრდების ჯანსაღად, სპორტულად აღზრდაზე ახლავე უნდა ვიფიქროთ.*

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



დუდა სანაძე და მარკ გასოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია

# საუკეთესო ცხრა ნომრები რაგბის ისტორიაში

მსოფლიოს რაგბის ისტორიაში წარუშლელი კვალი ძალიან ბევრ მაღალი დონის ცხრა ნომერს დაუტოვებია. მათი რიგებიდან საუკეთესოთა ამორჩევა ურთულესია. №9 ყოველთვის გამორჩეული ფიგურაა მოედანზე და მისი შემჩნევა გულშემატკივარს არ გაუჭირდება, რადგან ის ყველაზე მეტჯერ ეხება ბურთს და თავისი აქტიური ქმედებით ცდილობს გუნდის ორი ძირითადი ელემენტი, შერკინება და უკანა ხაზი ერთდროულ ურთიერთქმედებაში მოიყვანოს. მისი უშუალო მოვალეობაა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე შექმნილ მოლთან თუ რაკთან დროულად მისვლა, ბურთის მოპოვება და ახალი შეტევის წამოწყება.
ცხრა ნომერი უნდა გამოირჩეოდეს მაღალი სისწრაფით, გონებამახვილობით და სწრაფი აზროვნების უნარით, რიგ შემთხვევებში მოეთხოვება არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება და გუნდის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანა. იგი აუცილებლად კარგად უნდა თამაშობდეს ფეხით, დაცვაში გარჯისას კი, უბრალოდ, არ აქვს შეცდომის დაშვების უფლება, რადგან მათი გამოსწორება ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება. ამ კრიტერიუმებთან ერთად ამ პოზიციაზე მოასპარეზე მორაგბე ბუნებისგან უხვად უნდა იყოს დაჯილდოებული ლიდერის თვისებებით, რადგან რაგბის ისტორიას არ ახსოვს გუნდი, რომელშიც ცხრა ნომერი მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა.


ირაკლი აბუსერიძე

## ჯორჯ გრეგანი
(ავსტრალია)

**ჯორჯ გრეგანი** მსოფლიო რაგბის ლეგენდაა. 1994-2007 წლებში მან ავსტრალიის ნაკრების რიგებში 139 კეპი მოიხვეჭა და ამ მაჩვენებლით ყველა დროის რეკორდსმენი გახდა. გრეგანი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ელეგანტური სათამაშო სტილით და მკაცრი დისციპლინით.

1994 წელს, სრულიად ახალგაზრდა ჯორჯმა ახალ ზელანდიასთან დაპირისპირების ბოლო წუთზე ჰაერში შესრულებული ბრწყინვალე ბოჭვით შეაჩერა ლელოს ხაზთან მისული **ჯეფ ვილსონი** და ბლედისლოუს თასი მოაგებინა ავსტრალიას. ამ მოვლენით დაიწყო გრეგანის დიდი კარიერაც. მისმა და **სტივენ ლარქემის** დაუვიწყარმა დუეტმა თითქმის შეუძლებელი შეძლო და თვით „ოლ ბლექსიც" დაჩრდილა 1998-2002 წლებში. „ვოლაბებმა" ზედიზედ ხუთჯერ მოუგეს ბლედისლოუს თასი პრინციპულ მეტოქეს, ხოლო ორჯერ სამი ერის გათამაშება (2000-01). 1999 წელს გრეგანი მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა, ხოლო 2003 წელს ავსტრალიაში გამართულ მსოფლიოს თასზე დრამატულ ბრძოლაში წააგო ფინალურ დაპირისპირებას ინგლისის ნაკრებთან **ჯონი ვილკინსონის** მიერ დამატებით დროში გატანილი არეკნით.

საკლუბო დონეზე ჯორჯი ავსტრალიური „ბრამბიზის" ღირსებას იცავდა და ორჯერ ზე 14-ის გამარჯვებულიც გახდა (2001, 2004). კარიერის მიწურულს იგი სათამაშოდ ევროპაში გადმობარგდა და 2 სეზონის განმავლობაში ფრანგული „ტულონის" კვართი მოირგო.

ამჟამად გრეგანი მშობლიურ „ბრამბიზში" მუშაობს მთავარი მწვრთნელის ასისტენტად და ახალგაზრდა მორაგბეებს უზიარებს დაგროვილ გამოცდილებას.

## ჯუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი
(სამხრეთ აფრიკა)

მსოფლიო რაგბის ისტორიაში ალბათ დღესაც ძნელად თუ მოიძებნება **ჯუსტ ფან დერ ვესტჰოიზენის** დარი ფიზიკური მონაცემების მქონე ჰავბეკი. სამხრეთაფრიკელი გოლიათი (188სმ, 88 კგ) ბუნებისგან ნაბოძები სისწრაფისა და ძალის წყალობით დიდი ხნის განმავლობაში შეუჩერებელი გახლდათ სარაგბო მოედანზე. მისი სანაკრებო კარიერა 1993 წელს დაიწყო და ათ წელიწადს გასტანა. ამ დროის განმავლობაში ვესტჰოიზენმა 89 მატჩი ჩაატარა ეროვნული გუნდის რიგებში და „ბოკეს" 190 ქულით შეეწია (38 ლელო).

1995 წელს იგი გახლდათ იმ ტრიუმფალური სამხრეთ აფრიკის ნაკრების წევრი, რომელმაც შინაურ კედლებში მსოფლიოს თასის გათამაშება მოიგო. 1998 წელს კი მან საკუთარი ტიტულების კოლექციას სამი ერის ჩემპიონის ტიტულიც შემატა, და რაც მთავარია, ლეგენდარულ **ჯონა ლომუს** არცერთ იმ მატჩში ლელო არ აქვს გატანილი, რომელშიც ვესტჰოიზენს უასპარეზია.

ჯუსტმა საკლუბო კარიერა ერთადერთ კლუბს, პრეტორიის „ბლუ ბულზს" მიუძღვნა და კარიერის მიწურულს გუნდი ზე 14-ის ჩემპიონობამდე მიიყვანა. 2008 წელს ვეტერანი მორაგბე მძიმე სენით დაავადდა და დღემდე ლოგინზე მიჯაჭვული შეუპოვრად იბრძვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

## გარეთ ედვარდსი
(უელსი)

„უელსელი ჯადოქარი" - როგორც მას მადლიერმა ხალხმა უწოდა ბრწყინვალე სარაგბო კარიერის დასრულების შემდეგ. **გარეთ ედვარდსი** გახლდათ უელსის იმ ოქროს თაობის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც 5 წლის (1969-74) განმავლობაში დომინირებდა მსოფლიოში და ზედიზედ სამჯერ დიდი სლემით მოიგო ხუთი ერის გათამაშება. ედვარდსმა ჯამში 53 სანაკრებო კეპი მოიხვეჭა და 20 ლელოს გატანა მოახერხა ეროვნული გუნდის კვართით. იგი ორგზის იმყოფებოდა „ბრიტანელი ლომების" ტურნეში და ორჯერვე ევროპელებმა გაიმარჯვეს (ახალი ზელანდია 1971, სამხრეთ აფრიკა 1974). ლეგენდარული უელსელი არაერთგზის გახლდათ მიწვეული „ბარბაროსების" შემადგენლობაში და მის მიერ 1973 წელს „ოლ ბლექსთან"' გატანილი ლელო მოგვიანებით მსოფლიო რაგბის ისტორიაში საუკეთესოდ აღიარეს.

გარეთ ედვარდსმა საკლუბო კარიერა 1966 წელს დაიწყო „კარდიფში" და 12 წლის შემდეგ იქვე დაამთავრა. მან მშობლიური გუნდის მაისურით 195 მატჩი გამართა და 69 ლელოს ავტორიც გახდა.

2007 წელს ვეტერანი მორაგბე ბრიტანეთის საპატიო ორდენით დაჯილდოვდა სპორტის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის. 2008 წელს პოპულარულმა გამოცემა Rugby World Magazine-მ ედვარდსი ყველა დროის საუკეთესო ევროპელ მორაგბედ დაასახელა. ამჟამად გარეთი BBC-ის სპორტული კომენტატორია.

## ირაკლი აბუსერიძე

ქართულ რაგბიში ცხრა ნომრის პოზიციაზე ნამდვილად ჭეშმარიტი ლიდერები ირჯებოდნენ. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული **ირაკლი აბუსერიძეა**, რომლის ნაკრებიდან გამოსათხოვარი მატჩი წლეულს, გაზაფხულზე „ბორჯღალოსნებისა" და ესპანეთის ნაკრების დაპირისპირებისას შედგა.

ირაკლი აბუსერიძეს დებიუტი ეროვნულ გუნდში 22 წლის ასაკში, 2000 წელს იტალიის ნაკრებთან მატჩში ჰქონდა. მას შემდეგ „აბუმ" ნაკრებში 85 კეპი მოიხვეჭა, რაც რეკორდული მაჩვენებელია. მის ანგარიშზე რვა ლელოა. აბუსერიძემ მსოფლიოს თასის სამ გათამაშებაში იასპარეზა 2003, 2007 და 2011 წლებში. ის „ბორჯღალოსანთა" კაპიტანი იყო 2008 წლიდან. ერთა თასის გათამაშებაში 12-ჯერ იასპარეზა და ხუთჯერ გუნდთან ერთად პირველობა იზეიმა.

„აბუს" ფრანგული კარიერა ელიტური, მეორე დივიზიონის „ორიაკში" 2003 წელს დაიწყო, მერე იყო „ორლეანი", ბოლოს კი, „ოსერი", სადაც მოთამაშე მწვრთნელი გახლდათ. სანაკრებო კარიერის დასრულების შემდეგ ის სამშობლოში დაბრუნდა და რაგბის კავშირის სპორტულ დირექტორად მუშაობს. პარალელურად კი უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე თბილისის „არმაზის" ღირსებას იცავს.

## დავით კილასონია

**დავით კილასონია** ქართული რაგბის საბჭოთა ეპოქის კაშკაშა ვარსკვლავი იყო. სენაკში დაბადებული ჭაბუკი ხელბურთით იყო გატაცებული. თუმცა, მერე მასში მაინც ოვალური ბურთის თამაშის სიყვარულმა იმძლავრა და ქართულ რაგბიში მთელი ეპოქა შექმნა.

1970 წელს კილასონია თბილისის „ლოკომოტივში" ჩაირიცხა და იქ 1981 წლამდე თამაშობდა. რკინიგზელთა შემადგენლობაში მან სამჯერ მოიპოვა ბრინჯაოს მედლები 1972, 1978 და 1981 წლებში. 1978 წელს „ლოკომოტივმა" საკავშირო თასიც მოიგო. 1978-79 წლებში დავით კილასონია საბჭოთა კავშირის ნაკრების ძირითადი ცხრა ნომერია.

კარიერის დასრულების შემდეგ ერთი წელი „ლოკომოტივისა" და საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ნაკრების მწვრთნელი გახლდათ. დავით კილასონია იყო საქართველოს ნაკრების პირველი მწვრთნელი 1989-90 წლებში, როცა „ბოჯღალოსნები" სამჯერ დაუპირისპირდნენ ზიმბაბვეს ნაკრებს.

ლვაწლმოსილი ცხრა ნომერი დიდი ხანი არაა რაც მშობლირ სენაკს დაუბრუნდა და იქ რაგბისა და ლელობურთის განვითარებას მიჰყო ხელი.


ჯუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი

**გიორგი ბარბაქაძე**
**ბესიკ ჯანგავაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

# არმიამ B ლიგა მოიგო

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშების აღმოსავლეთ ზონაში პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტურილა დარჩა. აქამდე წაუგებლად ასპარეზობს და სატურნირო ცხრილს დამაჯერებლად ლიდერობს თბილისის „თიბისი თსუ", რომელმაც რვა თამაშიდან რვავე მოიგო.

„თიბისიმ" პირველი წრის ბოლოსწინა ტურში დიდი ანგარიშით დაამარცხა თანაქალაქელი „ივერია" - 43:12. სავარაუდოდ, ამჟამინდელ ლიდერს პირველობას ვერავინ შეეცილება. პლეი ოფში გამსვლელი კიდევ ერთი ადგილისთვის კი, ერთბაშად სამი გუნდი, „დინამო", „ვეფხვები" და „ხულიგანა" იბრძოლებენ.

### I ლიგა

### აღმოსავლეთი ზონა

**დევები-მგლები 21:7, დინამო-სტუ 51:7, ვეფხვები-ნიქარა 66:5, ივერია-თიბისი თსუ 12:43, ხულიგანა-ჯვაროსნები 31:6.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. თიბისი თსუ - 38 ქულა, 2. დინამო - 31, 3. ვეფხვები - 30, 4. ხულიგანა - 25, 5. სტუ - 24, 6. დევები - 15, 7. ჯვაროსნები - 12, 8. ივერია - 12, 9. მგლები - 4, 10. ნიქარა - 0.**

### IX ტური

**ნიქარა-დევები, თიბისი თსუ-ვეფხვები, ჯვაროსნები-ივერია, სტუ-ხულიგანა, მგლები-დინამო.**

პირველი წრე დასრულდა დასავლეთ ზონაში, სადაც დაუმარცხებლად ქუთაისის „ბაგრატი" ლიდერობს. ქუთათურებმა პირველი წრის ბოლო ტურში შინ დაამარცხეს უახლოესი მდევარი, ფოთის „რაინდები" - 27:0. შედეგად, „ბაგრატმა" 28 ქულა დააგროვა და შვიდი ქულით უსწრებს მეორე ადგილზე დაწინაურებულ ოზურგეთის „არწივებს", რომელმაც სტუმრად დიდი ანგარიშით სძლია „ბათუმი XV" - 67:0.

მეორე ადგილისთვის ბრძოლაში შესაძლოა ჩაერთოს წყალტუბოს „დინოზავრი", რომელიც მესამეადგილოსან „რაინდებს" სამი ქულით ჩამორჩება.

### დასავლეთი ზონა

**ბაგრატი-რაინდები 27:0, ჯრუჭი-დელფინები 10:0, ბათუმი XV-არწივები 0:67.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბაგრატი - 28 ქულა, 2. არწივები - 21, 3. რაინდები - 20, დინოზავრი - 17, 5. ჯრუჭი - 9, 6. ბათუმი XV - 4, 7. დელფინები - 1,**

### VIII ტური

**ჯრუჭი-რაინდები, ბათუმი XV-დელფინები, დინოზავრი-არწივები**

ჭაბუკთა A ლიგაში ნახევარფინალში გასული გუნდების ვინაობა ერთი ტურით ადრე გაირკვა. A ჯგუფიდან პლეი ოფში თბილისის „აკადემია" და რუსთავის „ხარები" ითამაშებენ. ბოლო ტურში გასარკვევი ისღა დარჩა, ჯგუფში პირველ ადგილს რომელი მათგანი დაიკავებს. B ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია. პირველ ადგილზე აქ ქუთაისის პირველი გუნდი გავიდა, მეორე ადგილი კი თბილისის „ჯიქებმა" მოიპოვა.

### A ლიგა

### A ჯგუფი

**ხულიგანა-იმერეთი 33:7, ხარები-არმია 19:14**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. აკადემია - 50 ქულა, 2. ხარები - 47, 3. ხულიგანა - 31, 4. არმია - 27, 5. ყოჩები - 23, 6. იმერეთი - 7, 7. ვეფხვები - 4.**

### XVIII ტური

**არმია-ვეფხვები, ყოჩები-ხულიგანა, აკადემია-ხარები**

### B ჯგუფი

**არმაზი-ნიქარა 94:3, ქუთაისი 1-ჯიქები 29:5, ტაო-ჯვაროსნები 18:19.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ქუთაისი 1 - 61 ქულა, 2. ჯიქები - 55, 3. ლოკომოტივი - 39, 4. ლელო - 35, 5. არმაზი - 33, 6. ჯვაროსნები - 10, 7. ნიქარა - 10, 8. ტაო - 5.**

### XVIII ტური

**ლოკომოტივი-ტაო, ჯვაროსნები-არმაზი, ლელო-ქუთაისი 1**

B ლიგაში ჩემპიონი „არმია" გახდა, რომელმაც ფინალში რუსთავის „ხარებს" მოუგო 20:3. ბრინჯაოს მედლები აქ წილად ხვდა ქუთაისის მეორე გუნდს, რომელმაც ამავე ქალაქის მესამე გუნდი დაამარცხა 22:12.

### B ლიგა

### III ადგილისთვის

**ქუთაისი 2-ქუთაისი 3 22:12**

### ფინალი

**არმია-ხარები 20:3**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. WTA-ის შემაჯამებელი ტურნირი

# სერენა ფორმაშია, აზარენკას უჭირს

სტამბოლში სტარტი აიღო ქალთა პროფესიული ტურის შემაჯამებელმა ტურნირმა, რომლის ფორმატი უცვლელი დარჩა - სეზონის რვა საუკეთესო ჩოგბურთელი ორ ჯგუფად არის გაყოფილი. დღის პროგრამა გახსნეს ე. წ. "თეთრი ჯგუფის" ბინადრებმა - **ვიქტორია აზარენკამ** და **სარა ერანიმ**. მათ წინა შვიდ შეხვედრაში იტალიელმა მხოლოდ ერთხელ მოიგო - ხუთი წლის წინ კრემლის თასზე. ბოლო ხუთი მატჩში ბელარუსმა ორ სეტში იმარჯვა, აქედან სამში ოთხ გეიმზე მეტი არ დათმო.

თამაშის დასაწყისში ფიზიკურად უფრო კარგად ერანი გამოიყურებოდა, საერთო ჯამში კი პირველი სეტი საკმაოდ ნერვული გამოვიდა. განსაკუთრებით ბევრს ცდებოდა აზარენკა, რომელმაც ჯერ 3:1, შემდეგ კი 5:3 დაწინაურების საშუალება მისცა ერანის. იტალიელმა სეტის მოგებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა.

აზარენკამ გამონახა ძალები თამაშში გარდატეხის შესატანად და გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ მალე ისევ დაუდგა კრიტიკული მომენტი. მან 5:5-ზე საკუთარი გეიმი დათმო და იტალიელმა სეტზე ჩაწოდების უფლება მიიღო. აზარენკამ კიდევ ერთხელ მოახერხა ასეთი საფრთხის მოგერიება და თამაში ტაი-ბრეიკზე გადაიყვანა. იქაც უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგრამ ბოლოსკენ სარა ძალიან დაილალა, 4:5-ზე უხეში შეცდომა დაუშვა და ამას ორმაგი შეცდომაც მოაყოლა.

მეორე სეტში ინტრიგა აღარ იყო. ერანი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ ექიმის დახმარებაც კი დასჭირდა. თუმცა მასაჟმა ვერ უშველა. ბოლოსკენ აპენინელი ძლივს გადაადგილდებოდა კორტზე და მატჩის ბოლო ორი გეიმი "მშრალი" ანგარიშით წააგო.

ჩოგბურთელებს 16-16 ბრეიკ-პოინტი ჰქონდათ, აქედან აზარენკამ შვიდჯერ აიღო მეტოქის მოწოდება, ერანიმ – ხუთჯერ.

■ ■ ■

აზარენკასა და ერანის მატჩმა გამოაჩინა, რომ ბელარუსი შორის არის ოპტიმალური ფორმისგან და ასეთი თამაშით გაუჭირდება **სერენა უილიამსთან** ბრძოლა. ამერიკელმა პირველი ტურის მატჩი ძალიან დამაჯერებლად ჩაატარა.

სერენას მეტოქე იყო გერმანელი **ანჟელიკ კერბერი,** რომელიც სტამბოლში იმის გამო მოხვდა, რომ ტრავმის მიზეზით ვერ ითამაშა წლის შემაჯამებელში **მარია შარაპოვამ.**

უილიამსი და კერბერი მეოთხედ ხვდებოდნენ ერთმანეთს. სერენა წინ იყო 2:1. შარშან მათ ასევე ითამაშეს წლის შემაჯამებელ ტურნირზე და მაშინ ამერიკელმა 6:4, 6:1 მოიგო. ახლა კი გერმანელმა ერთით ნაკლები გეიმი აიღო და უილიამსს ვერანაირი პრობლემა ვერ შეუქმნა.

სერენამ ზედიზედ სამი გეიმის მოგებით დაიწყო შეხვედრა, რის შემდეგაც სამი უნებლიე შეცდომა დაუშვა და გერმანელმა ანგარიში შეამცირა. თუმცა კერბერს მაინც მეორე ნომრად თამაში უწევდა. უილიამსს ბევრი მუშაობა არ სჭირდებოდა თავისი უპირატესობის შესანარჩუნებლად. ბოლო ორი გეიმი მან "მშრალი" ანგარიშით მოიგო. კერბერს კი თავისი თავისთვის უნდა ესაყვედურა ორმაგი ბრეიკ-პოინტის განიავებისთვის.

მეორე სეტის დასაწყისში გერმანელი მაქსიმალურად ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას და მილებაზე წარმატების მიღწევას, მაგრამ ამერიკელი შანსს არ აძლევდა მეტოქეს თავის გეიმზე. საბოლოოდ, გერმანელმა თამაში ისე დაასრულა, რომ ოთხიდან ვერც ერთი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა. მეორე სეტში მან მხოლოდ ერთ გეიმში მიაღწია 40:40-მდე, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა. სადღაც სეტის შუაში კერბერმა საბოლოოდ შეწყვიტა წინააღმდეგობა და ბოლოს, ამერიკელს დამსახურებული გამარჯვება მიულოცა.

■ ■ ■

ყველაზე რთული იყო გამარჯვებულის პროგნოზირება დღის ბოლო მატჩში, რომელშიც **აგნიეშკა რადვანსკა პეტრა კვიტოვას** ხვდებოდა. ამ უკანასკნელს ურთიერთშეხვედრებში დადებითი ბალანსი ჰქონდა, თუმცა შარშან, სტამბოლში მათი მატჩი პოლონელის სასარგებლოდ დასრულდა.

პირველივე გეიმებში გამოჩნდა, რომ რადვანსკას ძალიან გაუჭირდებოდა. მან სასტარტო გეიმში წააგო თავისი მოწოდება, შემდეგ კი სამმაგი ბრეიკ-პოინტიდან ვერ შეძლო საპასუხო ბრეიკის გაკეთება - 2:0 კვიტოვას სასარგებლოდ. პირველი პარტიის დარჩენილი ნაწილი ამგვარი სცენარით წარიმართა: რადვანსკა დიდი მონდომებით ცდილობდა საპასუხო ბრეიკის გაკეთებას, რამდენჯერმე ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ყოველთვის რაღაც აკლდებოდა ანგარიშის გასათანაბრებლად. კვიტოვამ ყველა საკუთარი გეიმი აიღო და პარტია 6:4 მოიგო.

ასეთი პირველი სეტის შემდეგ, თითქოს რადვანსკას საჭირო დასკვნები უნდა გამოეტანა, მაგრამ მეორე პარტიის სტარტზე ისევ წააგო თავისი გეიმი. თუმცა, ამჯერად, შემდეგ გეიმში შეძლო ორმაგი ბრეიკ-პოინტის მიღება და მატჩში პირველი ბრეიკის აღება. თითქოს, ეს გარდამტეხი მომენტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირიქით მოხდა. ძალიან დაძაბულ მესამე გეიმში ჩეხმა მესამე ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, შემდეგ კი თავისი მოწოდებაც აიღო და წინ გაიჭრა - 3:1.

ამ მომენტისთვის, რადვანსკას მხოლოდ ექვსი "ვინერსი" ჰქონდა, კვიტოვას კი ოცზე მეტი. შესაბამისად, კორტზე მიმდინარე მოვლენები სავსებით ლოგიკური იყო. თანაც, უნებლიე შეცდომების რაოდენობა თითქმის თანაბარი გახლდათ. რა თქმა უნდა, პოლონელი ბევრს ცდილობდა, მაგრამ ბრეიკ-პოინტამდე ვერ მიდიოდა, 3:5-ზე კი ერთი დაფარული მატჩბოლის მოგერიება მოუწია. 5:4-ზე კვიტოვა მატჩზე აწვდიდა და საკუთარი შეცდომებით შანსი მისცა რადვანსკას. პოლონელმა ორმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო და ჩეხს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა ამ საფრთხის მოსაგერიებლად. მეტოქეს არ ჩამორჩა პოლონელი და ორი მატჩბოლი მოიგერია. მაგრამ, იმ დღეს აგნიეშკას მოგება არ ეწერა და ახლა, ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი - ჯგუფში სერენა უილიამსის დამარცხება დასჭირდება ნახევარფინალში გასასვლელად.



კვიტოვამ მოგებით დაიწყო

**თეთრი ჯგუფი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-სარა ერანი (იტა) 7:6(4), 6:2.

**წითელი ჯგუფი**

**სერენა უილიამსი (აშშ)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 6:3, 6:1; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 6:4, 6:4.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი




მაიამი ჰიტი

# მენეჯერები მაიამის მხარეს არიან

## კობი ბრაიანტის მორიგი დაქვეითება

მოახლოებული რეგულარული ჩემპიონატის წინ, საინტერესო გამოკითხვა ჩატარდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბების გენერალურ მენეჯერებს შორის.

მათ უნდა ეპასუხათ შეკითხვისთვის - რომელი გუნდი მოიგებს 2013-14 წლების სეზონში ჩემპიონის ტიტულს?

ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა მიიღო ასოციაციის მოქმედმა ჩემპიონმა "მაიამი ჰიტმა" - 75.9 პროცენტი. მეორე-მესამე ადგილებზე ერთნაირი მაჩვენებლით (6.9 პროცენტი) "სან ანტონიო სპურსი" და "ინდიანა პეისერსი" გავიდნენ.

რამდენიმე გენერალურმა მენეჯერმა თავისი ხმა "ჩიკაგო ბულზს", "ლოს ანჯელეს კლიპერსსა" და "ოკლაჰომა-სიტის" მისცა. აღვნიშნავთ, რომ გასული სეზონის წინ, ანალოგიურ გამოკითხვაში ასევე "მაიამიმ" გაიმარჯვა ხმების 70 პროცენტით.

■ ■ ■

ამასობაში, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** კიდევ ერთ რეიტინგში დათმო პოზიციები. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, ESPN-მა გამოკითხვის შედეგად შეადგინა ლიგის საუკეთესო კალათბურთელთა კლასიფიკაცია, რომელშიც კალიფორნიელთა შემტევი მცველი 25-ე ადგილზე გავიდა. ამჯერად, უკვე ნახსენებმა გენერალურმა მენეჯერებმა შეადგინეს საუკეთესო შემტევი მცველების სია. შედეგი კობისთვის მართლაც სავალალოა – მან ხმების მხოლოდ 20 პროცენტი მიიღო! არადა, შარშანდელ ანალოგიურ რეიტინგში ის პირველ ადგილზე იყო 66.7 პროცენტით.

წელს კი პირველი ადგილი "ჰიუსტონ როკეტსის" ლიდერ **ჯეიმს ჰარდენს** ერგო. კიდევ ერთი მოულოდნელობა შემდეგში მდგომარეობს: მაიამელ **დუეინ უეიდს** 30-დან მხოლოდ ერთმა ადამიანმა მისცა ხმა.

NBA საკონტროლო მატჩები

**დეტროიტი-ვაშინგტონი 99:96**

37:25, 28:18, 14:26, 20:27

დ: მონრო (18+7 მოხსნა+5 პასი), სინგლერი (14), ბაინუმი (13+9 პასი), ბილაპსი (12+6 პასი), ჭერებკო (11), დრამონდი (9+14 მოხსნა).

ვ: ბილი (17+7 მოხსნა), ნენე (15+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), სერაფინი (14+11 მოხსნა), უოლი (11).

**ფინიქსი-ოკლაჰომა 88:76**

21:17, 26:18, 19:22, 22:19

ფ: ბლედსოუ (15+7 პასი+6 მოხსნა), დრაგიჩი (15), ტაკერი (13+3 ჩაჭრა), ფრაი (12+9 მოხსნა), გუდვინი (11).

ო: ჯექსონი (18), ლემბი (13+9 მოხსნა), ჯონსი (12), იბაკა (11), ადამსი (10+8 მოხსნა).

**ლეიკერსი-იუტა 108:94**

18:26, 33:19, 25:25, 32:24

ლ: ფარმარი (20), მიქსი (15), ჯონსონი (14+6 მოხსნა), ჰილი (10+5 მოხსნა).

ი: კუკი (18+5 მოხსნა), ჰეივორდი (15+4 ჩაჭრა), ფეივორსი (10+13 მოხსნა), კანტერი (10), ჯეფერსონი (10+5 მოხსნა).

**ატლანტა-ინდიანა 89:107**

24:15, 17:31, 23:29, 25:32

ა: ტიგი (17+8 პასი), სკოტი (17), პორტერდი (12+7 მოხსნა), კეროლი (12), ბრენდი (11+5 მოხსნა).

ი: უესტი (24+7 მოხსნა), სკოლა (20), ჯორჯი (17), უოტსონი (11).

**სან ანტონიო-ორლანდო 123:101**

33:25, 38:21, 31:26, 21:29

ს-ა: მილზი (22+5 ჩაჭრა), ლეონარდი (19+5 მოხსნა), ბელინელი (16), გრინი (14+6 მოხსნა), ჯინობილი (12), დანკანი (10+7 მოხსნა+7 პასი).

ო: ოლადიპო (22+6 პასი+5 მოხსნა), აფლალო (17+6 პასი), მაქსიელი (16+6 მოხსნა), ჰარკლესი (14), ო'ქუინი (10+9 მოხსნა+5 პასი), მური (10).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ტორონტო-ანაჰაიმი 4:2**

0:1, 3:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ბონინო-4 (მარუნი-2, სილფერბერგი-3), 0:2 მ. პერი-4 (ვატანენი-3, იტემი-2), 1:2 კესელი-3 (ვან რიმსდიკი-2, ფრენსონი-8), 2:2 ფანოფი-2 (ლეივო-1, ბოლანდი-4), 3:2 კესელი-4 (რეინჯერი-2),4:2 კესელი-5 (ვან რიმსდიკი-3).

**კოლამბუსი-ნიუ ჯერსი 4:1**

0:0, 2:1, 2:0

**გოლები:** 0:1 რაიდერი-4 (იაგრი-4, ოლეში-2), 1:1 დუბინსკი-2 (უმბერგერი-4, ვიშნიევსკი-5), 2:1 ატკინსონი-3, 3:1 ვიშნიევსკი-1, 4:1 გაბორიკი-4 (დუბინსკი-3, ვიშნიევსკი-6).

**მონრეალი-ედმონტონი 3:4**

2:0, 0:2, 1:2

**გოლები:** 1:0 პლეკანეცი-4 (მარკოვი-4, ბურნივალი-2), 2:0 გალაჰერი-5, 2:1 ჰემსკი-3 (არკობელო-9), 2:2 შმიდი-1 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-3, ებერლე-6), 2:3 პეტრი-2 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-4, ებერლე-7), 2:4 რ. ჯონსი-1 (პერონი-6, არკობელო-10), 3:4 ბ. ჯონტა-2 (პლეკანეცი-2, საბენი-9).

**ფლორიდა-ჩიკაგო 2:3 (ბ)**

0:0, 0:2, 2:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ტეივზი-3 (კიტი-5, პ. კეინი-2), 0:2 ბიკელი-2 (მოუ-4, ჰიალმარსონი-6), 1:2 ფლიშმანი-2 (ბარკოვი-4, ვერსტიგი-3), 2:2 კულიკოვი-1.

**ბულიტები გაიტანეს:** შარპი (ჩიკაგო).

**ვინიპეგი-ვაშინგტონი 4:5 (ბ)**

0:0, 3:3, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 გრაბოვსკი-4 (ერსკინი-1, ჯ. უორდი-3), 1:1 ლიტლი-4 (ლედი-2), 2:1 კლიტსომი-1 (ბოგოსიანი-2, ლედი-3), 2:2 ოვეჩკინი-8 (მ. იოჰანსონი-7), 2:3 ოვეჩკინი-9 (მ. იოჰანსონი-8), 3:3 ველერი-2 (ე. კეინი-3, შიფელი-2), 3:4 ბროუერი-3 (ბექსტრიომი-9), 4:4 ლიტლი-5 (ლედი-4, სეტოგუჩი-3).

**ბულიტები გაიტანეს:** ლედი (ვინიპეგი), ბექსტრიომი (ვაშინგტონი), ო. იოკინენი (ვინიპეგი), ლეიჩი (ვაშინგტონი), სეტოგუჩი (ვინიპეგი), ბროუერი (ვაშინგტონი), ერატი (ვაშინგტონი).

**ფინიქსი-კალგარი 4:2**

1:0, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ვრბატა-5 (იენდლი-3, ეკმან-ლარსონი-4), 2:0 რიბეირო-4 (ბოდკერი-6, მოსი-3), 2:1 სტემპნიაკი-3 (რასელი-3, გალიარდი-3), 2:2 კოლბორნი-1 (ჰუდლერი- 8), 3:2 რიბეირო-5 (იენდლი-4), 4:2 კლინკჰამერი-4.

**აილენდერსი-ვანკუვერი 4:5 (ო)**

2:2, 1:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ნელსონი-1 (რეგინი-2, კლატერბეკი-1), 2:0 მოულსონი-4 (ნილსენი-5, ტავარესი-7), 2:1 კესლერი-4 (ჰამჰუისი-2, ტანევი-4), 2:2 დ. სედინი-3 (ჰანსენი-2, ტანევი-5), 3:2 მოულსონი-5 (ოკსოპო-6, ნილსენი-6), 3:3 ჰ. სედინი-3 (დ. სედინი-7, ვაისი-2), 3:4 ჰიგინსი-3 (ბიეკსა-5, კესლერი-2), 4:4 ნილსენი-5 (ენდრიუ მაკდონალდი-2, ოკსოპო-7), 4:5 რიჩარდსონი-4 (სანტორელი-3, ედლერი-3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ჰეი რეიტინგის მიღმა

ბრიტანელი სუპერმძიმეწონოსანი **დევიდ ჰეი** გააძევეს მსოფლიოს საკრივო ასოციაციის (WBA) რეიტინგიდან. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი პირველ ადგილს იკავებდა წინა კლასიფიკაციაში, მაგრამ დატოვა ის 15-თვიანი პაუზის გამო - ბოლო ბრძოლა ბრიტანელმა 2012 წლის აგვისტოში ჩაატარა. რეიტინგის ახალი ვერსია WBA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ამ ასოციაციის ვერსიით "სუპერჩემპიონი" გახლავთ უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო**, ამასთან, ჩემპიონის "ჩვეულებრივი" ტიტული ვაკანტურია მას შემდეგ, რაც კლიჩკომ რუსი **ალექსანდრ პოვეტკინი** დაამარცხა.

ჰეის რეიტინგიდან გაძევების შემდეგ, პირველი ადგილი კლასიფიკაციაში ვაკანტური გახდა. მეორე პოზიცია უკავია კუბელ **ლუის ორტისს**, მესამე - ამერიკელ **კრის არეოლას**. პოვეტკინი მეოთხე ადგილზეა.

ჰეი მსოფლიოს ჩემპიონი იყო WBA-ის ვერსიით 2009-11 წლებში. 2011 წელს მან დაკარგა ტიტული, როცა წააგო საჩემპიონო შეხვედრა კლიჩკოსთან. თავის მომდევნო ბრძოლას ჰეი 2014 წლის 8 თებერვალს გამართავს თანამემამულე **ტაისონ ფიურის** წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი ასევე არ შედის WBA-ის რეიტინგში.



დევიდ ჰეი

# რინგის მორიგი მსხვერპლი



ფრანსისკო ლეალი

მექსიკელი მოკრივე **ფრანსისკო ლეალი** თანამემამულე **რაულ ირალესთან** ბრძოლიდან სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა, - იუწყება ESPN.

ბრძოლის მსვლელობისას, 57-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოასპარეზე 26 წლის ლეალმა თავის არეში რამდენიმე მძიმე დარტყმა გაატარა. მეექვსე და მერვე რაუნდებში მექსიკელი რინგზე დავარდა და მსაჯმა წამების ათვლა დაიწყო, მაგრამ მოკრივე ახერხებდა წამოდგომას. მეათე რაუნდში ლეალმა ადგომა ველარ შეძლო და რეფერიმ მექსიკელის ნოკაუტით დამარცხება დააფიქსირა.

ბრძოლის შემდეგ, ლეალი კომაში ჩავარდა და მექსიკის ქალაქ კაბო-სან-ლუკასში საავადმყოფოში გადაიყვანეს. მოგვიანებით, მოკრივე ამერიკის ქალაქ სან დიეგოს კლინიკაში დააწვინეს ისე, რომ გონს არ მოსულა და იქ გარდაიცვალა.

სხვათა შორის, 2012 წელს, ლეალი რინგზე რუს **ევგენი გრადოვიჩს** შეხვდა. ბრძოლის შემდეგ, რომელიც რუსის სასარგებლოდ დასრულდა, მექსიკელი ასევე საავადმყოფოში მოხვდა. აღდგენის შემდეგ, ლეალმა კიდევ ხუთ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა.

სულ მექსიკელმა პროფესიულ რინგზე 31 ბრძოლა ჩაატარა, მოიგო 20 (13 – ნოკაუტით), რვაჯერ დამარცხდა და სამი ბრძოლა ფრედ დასრულდა.

# ყოფილი ჩემპიონი კოკაინს ასაღებდა



ჰერბი ჰაიდი

მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ბრიტანელმა **ჰერბი ჰაიდმა** დამნაშავედ სცნო თავი ნარკოტიკების გავრცელებაში. ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო სხდომა 22 ოქტომბერს, ქალაქ ნორვიჩში გაიმართა.

სხდომის დროს, მოსამართლე **მარკ ლეკრაფტმა** 41 წლის ბრიტანელს ნარკოტიკებით ვაჭრობაში ბრალდება მოუხსნა, მაგრამ დატოვა გავრცელების ბრალდება. ჰაიდს განაჩენს 29 ნოემბერს გამოუტანენ. მანამდე კი მოკრივე ვალდებული იქნება ატაროს ელექტროსამაჯური და დაიცვას კომენდანტის საათი. ჰაიდმა ღამე მხოლოდ საკუთარ სახლში უნდა გაათიოს. მოსამართლის თქმით, მოკრივეს ორწლიანი პატიმრობა ემუქრება.

ჰაიდთან დაკავშირებით გამოძიება 2013 წლის თებერვალში დაიწყო მას შემდეგ, რაც ამ თემაზე სტატია დაიბეჭდა გაზეთ "სანში". იანვარში, ყოფილმა ჩემპიონმა კოკაინის მიყიდვა სცადა გამოცემის ჟურნალისტზე, რომელმაც თავი ბიზნესმენად გაასაღა. ამის შემდეგ, ჰაიდი დააპატიმრეს, მაგრამ მალე თავდებით გაათავისუფლეს.

ჰერბი ჰაიდი 2010 წლის შემდეგ არ გასულა რინგზე. სულ მას პროფესიონალებში 53 ბრძოლა აქვს ჩატარებული, რომელთაგანაც მოიგო 49 (43 – ნოკაუტით) და ოთხი წააგო. 1999 წელს, ბრიტანელი დამარცხდა **ვიტალი კლიჩკოსთან**, რითაც დათმო ჩემპიონის ტიტული WBO-ს ვერსიით.

ამბები

კრივი

## კლიჩკოებმა გერმანელობა უარყვეს

უკრაინელმა მოკრივემ **ვიტალი კლიჩკომ** უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისმა უმცროსმა ძმამ – **ვლადიმერმა** გერმანიის მოქალაქეობა მიიღო იმ მიზნით, რომ ეს ქვეყანა წარმოადგინოს 2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადის საკრივო ტურნირზე.

*"გაკვირვებულმა წავიკითხე ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ჩემმა ძმამ გერმანიის მოქალაქეობა მიიღო, - ამბობს უფროსი კლიჩკო. - ეს სრული სისულელეა, რომელიც, პირველ რიგში, ჩემ წინააღმდეგ არის მიმართული. ამ ჭორის გამავრცელებელ ყველა პროვოკატორს მინდა ვუთხრა: "ვერ ელირსებით!"*

შეგახსენებთ, რომ ვლადიმერ კლიჩკომ მართლაც მოისურვა 2016 წლის ოლიმპიადაზე გამოსვლა, მაგრამ, არსებული წესების თანახმად, ამის უფლება ვერ მოიპოვა.

კრიკეტი

## ვატიკანი გუნდს ქმნის

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა სააგენტო "როიტერმა". ვატიკანი აპირებს შექმნას კრიკეტში საკუთარი ნაკრები, რომელიც ინგლისის ეკლესიის გუნდის მთავარი კონკურენტი უნდა გახდეს.

სააგენტოს მონაცემებით, ვატიკანის ლიგა კრიკეტში წარმოდგენილი უნდა იყოს გუნდებით, რომლებშიც რომის კათოლიკური კოლეჯებისა და სემინარიების მღვდლები და სემინარისტები ითამაშებენ. გუნდები ერთმანეთს შეეჯიბრებიან Twenty20-ის სისტემით, რომლის დროსაც ერთი შეხვედრა სამი საათი გრძელდება.

საუკეთესო მოთამაშეები შევლენ ვატიკანის ნაკრებში, რომელიც ლონდონში Lord's-ის სტადიონზე დაუპირისპირდება ინგლისის ეკლესიის გუნდს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| ლევერკუზენი-შახტარი | 4:0 |
| მანჩესტერ იუნ-სოსიედადი | 1:0 |
| გალათასარაი-კოპენჰაგენი | 3:1 |
| რეალი-იუვენტუსი | 2:1 |
| ანდერლეხტი-პსჟ | 0:5 |
| ბენფიკა-ოლიმპიაკოსი | 1:1 |
| ცსკა-მანჩესტერ სიტი | 1:2 |
| ბაიერნი-პლზენი | 5:0 |
| **იტალია** | |
| **Lega Pro** | |
| იშია-ბენევენტო | 1:0 |
| აპრილია-ფროსინონე | 0:1 |
| ასკოლი-გროსეტო | 0:4 |
| კუნეო-პიზა | 5:2 |
| მონცა-რენატე | 4:3 |
| პერუჯა-სანტარკანჯელო | 3:0 |
| პონტედერა-ენტელა | 0:1 |
| ბარლეტა-ლეჩე | 0:1 |
| ვენეცია-კრემონეზე | 0:3 |
| პრო პატრია-პრო ვერჩელი | 1:0 |
| ვიჩენცა-დელტა | 2:2 პენ. 4:3 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ბუხბახი-ბაიერნი II | 0:3 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლეიძსოეში-პორტიმონენსე | 3:3 |
| კოვილია-სპორტინგი B | 0:2 |
| ტონდელა-პორტუ B | 1:1 |
| ვიზეუ-ოლივეირენსე | 3:0 |
| ავეში-პენაფიელი | 0:1 |
| ბრაგა B-ატლეტიკო | 2:1 |
| მორეირენსე-ბეირა მარი | 1:0 |
| მადეირა-ფარენსე | 0:0 |
| სანტა კლარა-ბენფიკა B | 0:2 |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 17** | |
| სლოვაკეთი-საემიროები | 2:0 |
| ჰონდურასი-ბრაზილია | 0:3 |
| იტალია-ურუგვაი | 1:2 |
| ახ. ზელანდია-კოტ დ'ივუარი | 0:3 |
| **ევრო 2014** | |
| **UNDER 17** | |
| რუმინეთი-ბელარუსი | 2:0 |
| ალბანეთი-ფინეთი | 0:0 |
| **კვიპროსის თასი** | |
| აე ზაკაკიუ-აე კუკლიოფი | 2:5 |
| დოქსა-ასილი | 9:0 |
| ენ პარეკლისიასი-ოლიმპიაკოსი | 0:2 |
| ენოსისი-ხალკანორასი | 3:3 დ.დ. 5:3 |
| ეთნიკოსი-აიია | 2:0 |
| ნეა სალამისი-კარმიოტისა | 4:1 |
| ნიკოსი-ომონია (ნ) | 0:4 |
| ომონია (ა)-ერმისი | 0:5 |
| ონისილოსი-აპეპ | 3:1 |
| ოტელოსი-აეკ | 1:1 დ.დ. 1:2 |
| პაეკ-არისი | 0:1 |
| ანორთოსისი-ანაგენისი | 0:0 პენ. 5:4 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| ზენიცა-მორავცე | 1:2 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დინამო (ს-პ)-მორდოვია | 0:3 |
| სიბირი-არსენალი | 0:3 |
| ენისეი-ტორპედო | 1:0 |
| გაზოვიკი-სალუტი | 3:0 |
| ხიმიკი-ბალტიკა | 1:1 |
| ანგუშტი-ალანია | 1:0 |
| ნეფტეხიმიკი-ნალჩიკი | 0:0 |
| შინიკი-ლუჩ ენერგია | 1:0 |
| **პოლონეთის თასი** | |
| გკს-ზაგლები | 0:1 |
| **სლოვენიის თასი** | |
| ალუმინი-გორიცა | 0:1 |
| ოლიმპია-დომჟალე | 2:0 |
| რუდარი-ცელიე | 4:0 |
| **ბულგარეთის თასი** | |
| დობრუჯა-ოგორიშტე | 1:0 |
| სოზოპოლი-აკადემიკი | 1:1 |
| **ლიტვის თასი** | |
| ტრაკაი-მრუ | 3:0 |
| შიაულიაი-გრანიტასი | 1:1 |
| შალგირისი-კრუოია | 2:1 |
| **ბოსნიის თასი** | |
| სლიკა-ბრატსტვო | 4:0 |
| ნაფრონი-მლადოსტი | 1:1 |
| ოლიმპიკი-ბრუდე | 2:0 |
| შიროკი ბრიეგი-რადნიკი | 4:1 |
| სლავია-ჟელეზნიჩარი | 0:2 |
| სლობოდა-ველეჟი | 2:3 |
| **ჩერნოგორიის თასი** | |
| სელიკი-რუდარი | 0:0 |
| ლოვჩენი-ცრვენა სტიენა | 8:0 |
| გრბალი-რიბნიცა | 3:1 |
| იეზერო-ზეტა | 2:1 |
| მოადოსტი-მორნარი | 4:0 |
| მოგრენი-ბოკელი | 4:0 |
| პეტროვაცი-ზაბიელო | 1:1 |
| **არგენტინა** | |
| ოლ ბოისი-ტიგრე | 0:0 |
| **პარაგვაი** | |
| დეპ. კარაპეგუა-პრეზიდენტე | 2:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროთასი** | |
| ლუკოილი-ხიმკი | 79:85 |
| სპარტაკი-პანიონიოსი | 68:69 |
| ხიმიკი-ნ. ნოვგოროდი | 78:76 |
| ნიმბურკი-ციბონა | 84:76 |
| კალევი-ვეფ რიგა | 62:67 |
| რადნიჩკი-ნილანი | 92:89 |
| ცედევიტა-შარლერუა | 88:75 |
| სკოპიე-მაკაბი (ჰ) | 83:86 |
| ნეპტუნასი-ბეშიქთაში | 70:72 |
| ასესოფტი-პინარი | 72:80 |
| ფევარვარი-პაოკ | 88:89 |
| ერტლანდი-ოსტენდე | 69:84 |
| ალბა-სარაგოსა | 71:68 |
| ვილერბანი-ოლიმპია | 64:56 |
| გრაველინი-ტელეკომ ბონი | 74:66 |
| ოგოკეა-ჰაპოელი (ი) | 67:74 |
| ლე მანი-კანტუ | 65:77 |
| სასარი-ბილბაო | 94:100 (ო) |
| ვარეზე-პარიზი | 77:71 |
| ვალენსია-ულმი | 88:74 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ამური-ბარისი | 3:4 |
| ადმირალი-ავანგარდი | 4:1 |
| მეტალურგი (ნ)-ავტომობილისტი | 1:3 |
| სიბირი-იუგრა | 7:2 |
| აკ ბარსი-დონბასი | 1:0 |
| ტორპედო-ზაგრები | 2:1 (ო) |
| დინამო (მ)-დინამო (მნ) | 4:0 |
| დინამო (რ)-ცსკა | 4:3 |
| **შვედეთი** | |
| ფერიესტადი-ჰვ 71 | 3:5 |
| შელეფტეო-ბრინასი | 3:7 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბაზელი** | |
| ლოდრა-გასკე | 6:4, 6:2 |
| მატიო-კუდლა | 6:4, 7:5 |
| პოსპიშილი-ჰაასე | 6:4, 6:4 |
| დელ პოტრო-ლააკსონენი | 6:4, 6:4 |
| ნიშიკორი-დოდიგი | 1:6, 2:6 |
| ისტომინი-ფედერერი | 6;4, 3:6, 2:6 |
| დიმიტროვი-შტეპანეკი | 6:3, 6:3 |
| **ATP. ვალენსია** | |
| ფ. მაიერი-შარდი | 6:4, 5:7, 6:3 |
| გულბისი-ისნერი | 6:7, 6:7 |
| ნიემინენი-პერი | 6:3, 6:3 |
| გრანოლერსი-ფონინი | 3:6, 2:6 |
| ფერერი-მონფილსი | 6:3, 6:2 |
| კოლშრაიბერი-ჰაასი | 3:6, 6:3, 6:3 |
| ბუატისტა აგუტი-ტურსუნოვი | 2:6, 6:7 |
| **WTA. სტამბოლი** | |
| ნა ლი-ერანი | 6:3, 7:6 |
| აზარენკა-იანკოვიჩი | 4:6, 3:6 |
| ს. უილიამსი-ა. რადვანსკა | 6:2, 6:4 |

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 15 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 10 | 21 | (მზე) |
| ბათუმი | 12 | 19 | (მზე) |
| ფოთი | 10 | 20 | (მზე) |
| ზუგდიდი | 8 | 21 | (მზე) |
| გორი | 7 | 17 | (მზე) |
| თელავი | 5 | 14 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 6 | 14 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | -2 | 8 | (თოვლჭყაპი) |
| ბორჯომი | 3 | 16 | (მზე) |
| მესტია | 2 | 16 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2921 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6670 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6899 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2513 |

## TV პროგრამა

**24 ოქტომბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლევერკუზენი-შახტარი.
12:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ანდერლეხტი-პსჟ.
14:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ცსკა-მანჩესტერ სიტი.
16:00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
18:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. შალკე-ჩელსი.
20:00 ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
21:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
23:05 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-ეინდჰოვენი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. ჩემპიონის გზა. სან ანტონიო-მაიამი.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ტრაბზონი-ლეგია (LIVE).
23:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. გალათასარაი-ოლიმპიაკოსი (LIVE).
01:00 კალათბურთი. NBA. ჩემპიონის გზა. სან ანტონიო-მაიამი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
12:20 სპორტ-NEWS.
12:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
15:10 საჩოგბურთო მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
00:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ინტერვიუ ჯეისონ კიდთან

# იდეებს ჯექსონისგან და პოპოვიჩისგან ვიღებ

**დამდეგი რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა იქნება "ბრუკლინ ნეტსის" თამაში ჯეისონ კიდის ხელმძღვანელობით, რომელსაც არანაირი სამწვრთნელო გამოცდილება არ გააჩნია და მოთამაშის კარიერიდან პირდაპირ მწვრთნელობაზე გადაერთო.**
**სეზონის წინ ლეგენდარული გამთამაშებელი ლაპარაკობს თავის გადაწყვეტილებაზე, სამწვრთნელო კარიერის თავისებურებებზე, საკუთარი მუშაობის მეთოდიკაზე...**

**- კალათბურთელობის პერიოდში თქვენ მიეჩვიეთ გამთამაშებლის პოზიციიდან მოედანზე თამაშის კონტროლს. დღეს ასეთი შანსი არ გაქვთ და მხოლოდ მწვრთნელის პოსტიდან უნდა შეიტანოთ კორექტივები. შეეგუეთ ამას?**

- ვცდილობ ვენდო ჩემს შეგირდებს და მათი იმედი მქონდეს. "ნეტსში" მუშაობის პირველი დღიდან მუდმივად ვლაპარაკობ იმაზე, რომ მზად ვარ ავიღო ტაიმ-აუტი, გავაკეთო შეცვლები ან მივცე რჩევები, მაგრამ მე არ შემიძლია კალათში სროლა და თავის დაცვა - თამაშის გეგმა ბიჭებმა საკუთარი ძალებით უნდა შეასრულონ. ნდობას ჩემთვის უდიდესი როლი აქვს. ყოველ წუთს ტაიმაუტს ვერ ავიღებ, ამიტომაც, ხანდახან უბრალოდ იმის იმედად უნდა ვიყო, რომ ჩემი შეგირდები დაცვაში თავს არ შეირცხვენენ და ბურთებსაც ჩააგდებენ. თავად გესმით, რომ "ბრუკლინი" ახალგაზრდული გუნდი არ არის და გამოცდილება არ აკლია, მოთამაშეებს ბევრი რთული მომენტი გადაულახავთ. ამიტომაც, ჩვენთვის აუცილებელია შევახამოთ ყოველი კალათბურთელის ძლიერი მხარეები, გამოვიმუშავოთ ერთმანეთისადმი ასპროცენტიანი ნდობა და მუდმივად კავშირი მოედანზე. ამაზე კეთდება აქცენტი საწვრთნელი ბანაკის დროს.

**- ასეთი მიდგომა ძალიან ჰგავს ფილ ჯექსონის მუშაობის მეთოდიკას.**

- მართლაც ასეა. ეს არ არის ჩემი ნოვატორული მიდგომა. ეს არის ერთგვარი ნაზავი იქიდან, რაც მე კარიერაში მინახავს. ასეთი ურთიერთობა ჰქონდა მოთამაშეებთან არა მხოლოდ ფილ ჯექსონს, არამედ გრეგ პოპოვიჩსაც. როცა კალათბურთელები ენდობიან თავიანთ მწვრთნელს, ისინი მზად არიან ზედმეტი ირბინონ, ადრე მივიდნენ ვარჯიშზე, გვიან წავიდნენ, უყურონ ზედმეტ ვიდეოს. ჯექსონმა და პოპოვიჩმა უდიდეს სიმაღლეებს მიაღწიეს, რადგან აქცენტს აკეთებდნენ ნდობაზე და გუნდის შიგნით ურთიერთგაგებაზე. რატომ არ უნდა ვცადო მე მათი მეთოდის კოპირება?

**- მოგვიყევით თქვენს სამწვრთნელო შტაბზე...**

- ჩემ გარშემო შეკრებილნი არიან ძალიან საინტერესო და ძლიერი სპეციალისტები – ლოურენს ფრენკი, ჯონ უელში, ჯო პრანტი, როი როჯერსი. მათ ბრწყინვალედ ესმით არა მხოლოდ სამწვრთნელო სამუშაოს სპეციფიკა, არამედ შეუძლიათ ხუთ წამში დაგიხაზონ შეტევა. მე ეს ჯერ არ მისწავლია, მაგრამ მესმის, რომ აუცილებელია და ვაგრძელებ დახვეწას. დღეს ჩვენი ერთობლივი მუშაობა ასეთია: თუ მე ვიღებ ტაიმ-აუტს გუნდის დასაშვიდებლად ან გასამხნევებლად, მაშინ თავად ვახერხებ ყველაფრის მოგვარებას. მაგრამ თუ ჩვენ შეტევის მომზადება გვჭირდება, ჩემი ზეპირი ახსნა საკმარისია. მაგრამ მაინც ვეკითხები ბიჭებს: "სრული სიცხადისთვის სქემა ხომ არ გჭირდებათ?" და თუ ეს საჭიროა, მაშინ საქმეში ლოურენსი ან ჯონი ერთვება.

**- ვინ არის თქვენს სამწვრთნელო შტაბში იდეების გენერატორი?**

- თითოეული ჩვენგანი. რა თქმა უნდა, გუნდში საკუთარი იდეებითა და გეგმებით მივიდა, მაგრამ თუ რომელიმეს საინტერესო აზრი გაუჩნდება, მზად ვართ ყველამ მოვუსმინოთ და ერთად მივიღოთ გადაწყვეტილება. რაც მეტი ასეთი ინფორმაცია გვექნება, მით უკეთესი, რადგან ეს ზრდაში გვეხმარება მეც და გუნდსაც.

**- გრძნობთ საკუთარ მხრებზე პასუხისმგებლობას?**

- იყო მთავარი მწვრთნელი - უდიდესი პასუხისმგებლობაა. ის შესამჩნევად განსხვავდება იმისგან, რასაც მოთამაშე გრძნობს. როცა გამთამაშებელი ვიყავი, მხოლოდ იმაზე ვაგებდი პასუხს, როგორ თამაშობდა დანარჩენი ოთხი კალათბურთელი, რომლებიც ჩემთან ერთად იყვნენ მოედანზე. ახლა კი უფრო მეტზე უნდა ვიფიქრო - მოთამაშე ხუთეულზე, სათადარიგოთა სკამზე, სამწვრთნელო შტაბზე. და ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმ მოვალეობებისა, რომელსაც მთავარი მწვრთნელი იღებს NBA-ის კლუბთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ. ამ ლიგაში საუკეთესო მოთამაშეები საშუალო და კარგი კალათბურთელებისგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ სურთ სხვებმა ავარჯიშონ და მიმართულება მისცენ. ისინი მზად არიან ბოლომდე იმუშაონ და სწორედ საქმისადმი ამგვარ მიდგომას გაჰყავს ისინი სრულიად ახალ დონემდე. ამიტომაც, ჩემს შეგირდებთან პირველ შეხვედრაზე მოვუწოდე ყველა მოთამაშეს ურთიერთნდობისკენ და გამოვთქვი სურვილი, რომ ისინი წარმატებულ კალათბურთელებად დარჩენილიყვნენ.



**- თქვენს მეუღლეს როგორი რეაქცია ჰქონდა თქვენს სამუშაოში კარდინალურ ცვლილებაზე?**

- რა თქმა უნდა, ჩვენ განვიხილეთ შექმნილი სიტუაცია და მან მიიჩნია, რომ მწვრთნელობის დაწყება – შესანიშნავი იდეა იყო. მაგრამ "ბრუკლინში" ჩემი მუშაობის პირველი ორი კვირის შემდეგ, მან წუწუნი დაიწყო იმის გამო, რომ ძალიან დაკავებული ვიყავი და უფრო მეტ დროს გუნდთან ერთად ვატარებდი, ვიდრე ოჯახთან. მეუღლესა და ბავშვებსაც უწევთ გარკვეულ ცვლილებებთან შეგუება: ადრე, როცა ჩემი თამაშის სანახავად მოდიოდნენ, ისინი მოედანზე მეძებდნენ, ახლა კი მუდმივად მათი თვალთახედვის არეში ვიქნები.

**- წარსულში რომელმა მწვრთნელმა მოახერხა თქვენი გაყვანა ახალ დონეზე?**

- ყველამ იცის, რამდენად ბრწყინვალე სპეციალისტია რიკ კარლაილი. ყველა კალათბურთელს სურს მიიღოს თავისუფლება მოედანზე ზუსტად იმ მომენტამდე, როცა ისინი ამ თავისუფლებას იღებენ, მაგრამ შემდეგ არ იციან როგორ მოიქცნენ. ამისთვის საჭიროა ვარჯიშებისადმი სისტემური მიდგომა და მწვრთნელის ჩანაფიქრის გაგება. სწორედ ეს გამოგვივიდა "დალასში", როცა ასოციაციის ჩემპიონები გავხდით.

**- რა გაკვეთილი მიიღეთ იმ სეზონიდან?**

- პირველ რიგში, გუნდში მართლაც ოჯახური სიტუაცია იყო. ბევრ დროს ვატარებდით ერთად, ოჯახებით გვქონდა ურთიერთობა. გარდა ამისა, ჩვენი საკალათბურთო IQ-ის დონე ძალიან მაღალი იყო. "დალასი" არ იყო NBA-ის ყველაზე სწრაფი გუნდი, მით უმეტეს, ყველაზე მძლავრი და ათლეტური, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვრჩებოდით ერთიან გუნდად იმის მიუხედავად, ვიგებდით თუ ვაგებდით მატჩებს. ჩვენ ერთმანეთს ვენდობოდით მოედანზე და არ გვყავდა ისეთი ადამიანი, რომელიც ყველას და ყველაფერს გვერდზე გაწევდა და მარტო, თავისი ხელებით შეძლებდა გუნდისთვის წარმატების მოტანას. რა თქმა უნდა, "მავერიქსში" იყო და არის დირკ ნოვიცკი. მას შეუძლია შეასრულოს გამარჯვების ტყორცნა ან დაეხმაროს პარტნიორებს ამა თუ იმ ხერხით გამარჯვების მოპოვებაში. მაგრამ ნებისმიერი ჩვენი შედეგი იყო თითოეულის ძალისხმევის ნაყოფი. ამით განსხვავდებოდა "დალასი" ნებისმიერი მეტოქისგან.

**- ჰგავს თუ არა დღევანდელი "ბრუკლინი" 2011 წლის "დალასს"?**

- ჰგავს და ძალიან ბევრი რამით. არც ისე სწრაფი და ფიზიკურად არც ისე ძლიერი, მაგრამ ძალიან მაღალი საკალათბურთო ინტელექტის დონით. იმის გააზრებით, როგორ უნდა თამაში და როგორ არ უნდა გააკეთო ეს. არავინ გადიოდა მოედანზე მხოლოდ იმისთვის, რომ მას ფულს უხდიდნენ. თითოეულ გუნდს აქვს გარკვეული პერიოდი იმისთვის, რომ საჩემპიონო ტიტული მოიპოვოს. ახლა, "ბრუკლინის" დრო მოვიდა და გასახდელში ამას ყველა გრძნობს.

**- რა დასკვნების გაკეთება შეიძლება დამდეგი სეზონისთვის "ბრუკლინის" შემადგენლობის გაანალიზებისას?**

- "ნეტსს" ჰყავს მოთამაშეები, რომლებმაც იციან და ესმით კალათბურთი, აქვთ მოედანზე გასვლისა და გამარჯვების სურვილი. კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ ასაკოვანი მოთამაშეების სიმრავლეზე, მაგრამ, სინამდვილეში ეს ასე არ არის. "ბრუკლინის" გამათამაშებელი ჯერ 30 წლისაც არ არის, სასტარტო ცენტრი სულაც 25 წლისაა. ამიტომაც, ახალგაზრდობისა და გამოცდილების ნაზავი, რომელიც ჩვენ შევკრიბეთ, საუკეთესოდ მიმაჩნია ასოციაციაში.

**- დერონ უილიასი გააგრძელებს პროგრესს თუ მან მიაღწია თავისი შესაძლებლობების ზღვარს?**

- დერონი უბრალოდ საკუთარ თავს უნდა ჰგავდეს. ამბობენ, რომ გამთამაშებელი უნდა ებრძოდეს მოედანზე საკუთარ ეგოიზმს, მაგრამ უილიამსს ეს პრობლემა არ აქვს, რადგან ყოველთვის გუნდურ თამაშს ანიჭებდა უპირატესობას. უნდა ისროლოს თუ არა მან უფრო მეტი? თუ მას სურვილი ექნება, ის უპრობლემოდ მიაღწევს საშუალოდ 20 ქულას მატჩში. მისი თამასა უნდა ავწიოთ ჩვენ – სამწვრთნელო შტაბმა და პარტნიორებმა.

**- დაინტერესებული იყავით თუ არა "ბრუკლინში" მუშაობით იქამდე, სანამ კლუბი "ბოსტონთან" გრანდიოზულ ტრეიდს განახორციელებდა?**

- რა თქმა უნდა, დაინტერესებული ვიყავი. მზად ვიყავი მიმეღო "ბრუკლინის" წინადადება და მემუშავა იმ ბიჭებთან, რომლებიც იმ მომენტისთვის უკვე იყვნენ კლუბში. მე მაინტერესებს ახალგაზრდა გამთამაშებლებთან მუშაობა, რომლებსაც შემიძლია დავეხმარო რჩევებით. მე არ გამოვყოფ უილიამსს სხვა მოთამაშეებისგან, რადგან ერთი კალათბურთელი, თუნდაც აბსოლუტურად სრულყოფილი, საკმარისი არ არის მიზნის მისაღწევად.

**გია თვალაბეიშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608